მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

IMS



სექსისტური ენა და გენდერული დეზინფორმაცია

2023

USAID
ამერიკელი ხალხისგან

unag
საქართველოს გაეროს ასოციაცია

სექსისტური ენა და გენდერული დეზინფორმაცია

2023

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

ავტორები:
ნათია კეკენაძე, თინა გოგოლაძე, სალომე გიუნაშვილი

რედაქტორი:
თამარ კინწურაშვილი

მონიტორები:
თამარ გაგნიაშვილი, სოფო ჩხაიძე, მაია ჩალაღანიძე, მარიამ ქავთარაძე, სოფო გოგაძე, ლიკა მაჭარაძე, ხატია ლომიძე, ლეილა ჩხეტიანი

დიზაინი:
ბესიკ დანელია

გარეკანის ფოტო:
SHUTTERSTOCK, CALYPSOART

ანგარიში მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ პროექტის „გენდერული დეზინფორმაცია და ინკლუზიური მედიაგაშუქება“ ფარგლებში, International Media Support-ის (IMS) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს International Media Support-ის პოზიციად.

ანგარიში ეყრდნობა მედია მონიტორინგის მონაცემებს, რომელსაც მედიის განვითარების ფონდი USAID-ის პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში ახორციელებს. პროგრამა ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

ISBN 978-9941-8-6450-6

შესავალი

გენდერის ტერმინის პოლიტიზირება და გენდერთან დაკავშირებული თემების პოლიტიკური ბრძოლისათვის გამოყენება ბოლო წლებში ტენდენციად იქცა, რასაც არა მხოლოდ ულტრამემარჯვენე და კრემლისტური აქტორები, არამედ სახელისუფლებო პარტია და მასთან დაკავშირებული აქტორებიც მიმართავენ. სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსი, ანტილიბერალური დისკურსის გასაძლიერებლად და ანტიდასავლური განწყობების გასაღვივებლად აქტიურად გამოიყენება, ამასთანავე ის ოპონენტების დისკრედიტირების ინსტურმენტია, რომელიც პოლიტიკურად ტურბულენტური ფაზების დროს ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება.

ბოლო წლებში საჯარო სივრცეში აქტიური პირების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტად გენდერული დეზინფორმაციაც იქცა, რომელიც ძირითადად ონლაინ სივრცეში ვლინდება და გენდერისა და დეზინფორმაციის ინტერსექციაზე აკეთებს აქცენტს, როდესაც ქალები, არაბინარული ადამიანები და საზოგადოების ისეთი მარგინალიზებული წევრები, როგიცაა LGBTQIA+ თემი, ყალბი და არაზუსტი ინფორმაციის სამიზნე არაპროპორციულად ხდებიან.

წინამდებარე კვლევა სექსისტური სიძულვილის ენის, გენდერული დეზინფორმაციისა და ანტილიბერალური დისკურსის მხრივ საქართველოში არსებული პრობლემების ანალიზს და მათი წყაროების გამოვლენას ისახავს მიზნად. ანგარიშის I ნაწილი სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების რაოდენობრივ მონაცემებს და ტერმინოლოგიას მიმოიხილავს. II ნაწილში მოცემულია თვისებრივი ანალიზი, რომელიც სექსისტური სიძულვილის ენის გამოყენების ინდიკატორების მიხედვითაა განხორციელებული, III ნაწილი გენდერული დეზინფორმაციის მაგალითებს და მათ ტიპოლოგიას მიმოიხილავს, ბოლო, IV ნაწილში კი იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტისა და ბავშვების დაცვის მოტივით, საზოგადოების მობილიზების მიზნით გავრცელებული მთავარი გზავნილებია მოცემული.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, ანტიგენდერული და ანტილიბერალური დისკურსის ანალიზი, სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის, ასევე გენდერული დეზინფორმაციის ძირითადი წყაროებისა და თავდასხმების სამიზნეების შესწავლა, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული იმ ძირითადი გზავნილების გამოვლენა, რომელსაც ანტილიბერალური, ულტრამემარჯვენე და კონსერვატიული ძალები საზოგადოებრივ აზრის მობილიზებისათვის იყენებენ.

კვლევის მონაცემების შესაკრებად, მედიის განვითარების ფონდის მონიტორთა ჯგუფის მიერ ხორციელდება მედია მონიტორინგი. საკვლევი ველი მოიცავს ანტიდასავლურ, ანტილიბერალურ, ულტრამემარჯვენე და კონსერვატიულ მედია პლატფორმებს, რომლებიც სექსისტური და ჰომოფობიური გზავნილების გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ; ასევე სახელისუფლებო და ოპოზიციურ მედიუმებს. მედია მონიტორინგისათვის შეირჩა, როგორც ტრადიციული მედია საშუალებები (ტელევიზია, ონლაინ მედია, ბეჭდვითი მედია), ისე სოციალური მედიის სუბიექტები. სოციალური მედიის მონიტორინგისთვის გამოყენებოდა ფეისბუქის ანალიტიკური ინსტრუმენტი Crowdtangle.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. მედიის მონიტორინგის შედეგად შეკრებილი მონაცემების ანალიზი შერეული მეთოდოლოგიით განხორციელდა, კერძოდ, გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი.

დაკვირვების საგანს წარმოადგენდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სტერეოტიპიზაციის შემცველი გზავნილების თემატიკა, წყაროები, ადრესატები, გამოყენებული ტერმინოლოგია, დარღვევის ტიპები.

თემატიკა, მოიცავს, როგორც ფართო სფეროებს, როგორიცაა პოლიტიკა, კანონმდებლობა, განათლება, გენდერი და სხვა, ასევე, იმ სპეციფიურ მგრძნობიარე საკითხებს, რაც მედიის განვითარების ფონდის ადრე ჩატარებული კვლევების საფუძველზე განისაზღვრა, როგორც ის ძირითადი თემები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის გამოიყენებოდა.

ეს სპეციფიური თემებია:

- ღირებულებების დაცვა
- იდენტობის დაცვა
- ოჯახების ინსტიტუტის დაცვა
- ბავშვების დაცვა

სექსისტური სიძულვილის ენის შემცველი დარღვევების ტიპოლოგია განისაზღვრა გენდერბა-რომეტრის ინდიკატორების მიხედვით, რომლებიც, საექსპერტო ფოკუს ჯგუფების საფუძველზე შეიმუშავა ორგანიზაციამ „საფარი“[I]. წინამდებარე კვლევაში, მედია მონიტორინგის მიერ გამოვ-ლენილი დარღვევების ტიპოლოგიური კლასიფიცირება განხორციელდა იმ ექვსი ინდიკატორით, რომლებიც წინა კვლევების თანახმად, ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა. ესენია:

1. **ანტიფემინიზმი/მიზოგინია** – ქალებსა და ქალთა უფლებებზე თავდასხმები;
2. **გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა** – შეურაცხყოფის მიყენება და დაცინვა სხეულის, გარეგნობის, საუბრის მანერის, ჩაცმულობის ნიადაგზე;
3. **გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა** – ინტელექტუალური უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების დაკნინება;
4. **მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა** – ზნეობრივი ღირებულებების საფუძველზე თავდასხმა;
5. **ეიჯიზმი** – დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით.
6. **გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა** – თავდასხმები ქალის გენდერული როლის, ქცევის, დანიშნულების, საქმიანობის თუ სხვა მახასიათებლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენე-ბის საფუძველზე.

მედიის განვითარების ფონდი (MDF) წარმოდგენილ კვლევაში EU Disinfo Lab-ის გენდერული დეზინფორმაციის შემდეგ დეფინიცის ეყრდნობა:

> **„გენდერული დეზინფორმაცია გენდერისა და დეზინფორმაციის ინტერსექციაზე აკეთებს აქცენტს, როდესაც ქალები, არაბინარული ადამიანები და საზოგადოების ისეთი მარგინა-ლიზებული წევრები, როგიცაა LGBTQIA+ თემი, არაპროპორციულად ხდებიან ყალბი და არაზუსტი ინფორმაციის სამიზნე. გენდერისა და დეზინფორმაციის შერწყმის ტექნიკები მრავალგვარია; მაგალითად, ისეთი მიზოგენური კომენტარების გავრცელება, რაც გენდე-რულ სტერეოტიპებს ამძაფრებს; გრაფიკული კონტენტის სექსუალიზება, ონლაინ შევიწ-როება, მათ შორის ძალადობრივი მუქარების გავრცელება, კიბერთავდასხმები და ა.შ.[II]“**

გარდა ამისა, კვლევაში განხილული ფაქტობრივი უზუსტობის მქონე მაგალითები შეფასებულია ისეთი ინდიკატორებით, როგორიცაა სლატშეიმინიგი და მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვა.

> **„სლატშეიმინგი“ (slut-shaming) გულისხმობს ადამიანების, უმეტესად, ქალების და გოგო-ების კრიტიკას იმის გამო, რომ მათი ქცევა, გარეგნობა თუ ჩაცმულობა არ შეესაბამება სექ-სუალობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს და წარმოდგენებს. ასეთ ქცევად თუ გარეგნობად მიიჩნევა, მაგალითად, სექსუალური, პრო-ვოკაციული ჩაცმულობა, კონტრაცეპციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა, ქორწინებამდე-ლი სექსი ან შემთხვევითი სექსი. სლატშეიმინგი ასევე ხშირად გულისხმობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მთლიანად ან ნაწილობრივ დადანაშაულებას მისი ქცევითა თუ ჩაცმულობით ამ ძალადობის პროვოცირებაში. სლატშეიმინგი გამოიყენება ქალების შერც-ხვენის, სტიგმატიზების მიზნით.**

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გადამოწმებადი ინფორმაციის იდენტიფიცირების შემ-დეგ, ინფორმაციის გადამოწმება და მასალისთვის რეიტინგის მინიჭება „მითების დეტექტორის“ მეთოდოლოგიით[III] ხდება, რომელიც საერთაშორისო გამოცდილებას და სტანდარტებს ეფუძნება.

მედია მონიტორინგის სუბიექტების შერჩევა. მედია მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა, როგორც ტრადიციული (12 მედია საშუალება: 7 ტელევიზია, 3 ბეჭდური და 2 ონლაინ გამოცემა), ისე სოციალური მედია, კერძოდ, ფეისბუქის ანგარიშები (151).

ტელევიზიები: სატელევიზიო რეიტინგებში მოწინავე ტელეარხების თოქ-შოუები – ტვ იმედის „იმედი ლაივი" და მთავარი არხის „ღამის მთავარი", რომლებსაც განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკა აქვთ და პოლიტიკური პოლარიზაციის სხვადასხვა პოლუსებს (სახელისუფლებო, ოპოზიცური) წარმოადგენენ, ასევე სახელისუფლებო პოსტვ (გადაცემა „სამნი და კო"), რომელსაც ამავდროულად ნაწილობრივ ანტილიბერალური სარედაქციო პოლიტიკა აქვს.

ანტილიბერალური და კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის ტელევიზიების თოქ-შოუები, რომელთა შერჩევა ამ გამოცემების ანტილიბერალური სარედაქციო პოლიტიკის გამო მოხდა. ეს პლატფორმებია:

- კრემლისტურ პარტია „პატრიოტთა ალიანსთან" დაკავშირებული „ობიექტივი" (გადაცემა „სტუდია N8")
- კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული „ალტ-ინფო" (გადაცემა „ალტ-ანალიტიკა"),
- სეზონი ტვ (გადაცემა „დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად"), რომლის მფლობელი სტალინისტი და მოძრაობა „ერთად ძლიერი საქართველოსთვის" წევრი, ყოფილი მოკრივე გიორგი კანდელაკია.
- ერი მედია (გადაცემა „გონიერი)

გაზეთები: „კვირის პალიტრა", ანტილიბერალური და ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკის გამოცემები „ასავალ-დასავალი" და „ალია". ონლაინ გამოცემები: კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის „საქართველო და მსოფლიო" (www.geworld.ge) და მასთან დაკავშირებული Split News (www.spnews.io/ge).

გარდა ტრადიციული მედიისა, სოციალურ ქსელებში მონიტორინგის სუბიექტებად შემდეგი აქტორების ფეისბუქ ანგარიშები შეირჩა:

1. **ულტრამემარჯვენე, ანტიდასავლური, ანტილიბერალური/კრემლისტური ჯგუფები:** ა) ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობასთან; ბ) პატრიოტთა ალიანსთან; გ) ქართულ მარშთან; დ) ქართულ იდეასთან ე) პრიმაკოვის რუსულ-ქართულ ცენტრთან, ა) მსოფლიო საოჯახო კონგრესის საქართველოს წარმომადგენელ ლევან ვასაძესთან და სხვა აქტორებთან დაკავშირებული ანგარიშები.
2. **რელიგიური ჯგუფები:** ცალკეული სასულიერო პირების ფეისბუქ გვერდები და ინდივიდუალური ანგარიშები, რელიგიური ფეისბუქ გვერდები.
3. სხვადასხვა ანტილიბერალური/კონსერვატიული პლატფორმები.
4. ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიშები.
5. ოპოზიციასთან დაკავშირებული ანგარიშები.

მონიტორინგის სუბიექტი ფეისბუქ ანგარიშების სრული სია, რომელიც პერიოდულად ახლდება, ხელმისაწვდომია გენდერბარომეტრის ვებ-გვერდზე: https://genderbarometer.ge/methodology/

I გიორგი ურჩუხიშვილი, სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ინდიკატორები, სამუშაო ფოკუს-ჯგუფების ანგარიში, საფარი თბილისი, 2020

II EU DisinfoLab & #ShePersisted, 12 `October, 2022. Gender-Based Disinformation 101: Theory, Examples, and Need for Regulation https://bit.ly/3JZmtLn

III ფაქტების გადამოწმების მეთოდოლოგია https://mythdetector.ge/ka/methodologia/

მთავარი მიგნებები

2023 წლის (1 იანვარი – 31 დეკემბერი, 2023) მედია მონიტორინგის მონაცემების ანალიზისას შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სექსისტური და ჰომოფობიურ ხასიათის 5695 კომენტარიდან/პოსტიდან უმრავლესობა (3915) ტრადიციულ მედიაში გამოვლინდა.
- ჰომოფობიური შინაარსსა (48%) და სექსისტურ სიძულვილის ენას, გენდერულ სტერეოტიპებს (43%) შორის მხოლოდ მცირე სხვაობა იყო, ხოლო ერთდროულად, როგორც სექსისტური, ისე ჰომოფობიური ხასიათის შინაარსი მხოლოდ 9% იყო.
- მონაცემების დინამიკაში ანალიზი აჩვენებს, რომ ჰომოფობიისა და სექსისტური ენის ყველაზე მკაფიო გამოვლინებები პოლიტიკურად ტურბულენტურ ფაზებს უკავშირდება. მსგავსი გამოხატვა 2023 წელს ნახტომისებურად გაიზარდა „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის საწინააღმდეგო პროტესტის დროს, პრაიდის კვირეულის დროს და საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესში.

სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია

- სექსისტური შინაარსის შემცველი კომენტარების/პოსტების ყველაზე დიდი წილი, როგოც ტრადიციულ, ასევე, სოციალურ მედიაში პოლიტიკას უკავშირდებოდა და უმეტესწილად საქართველოს პრეზიდენტს და ოპოზიციონერ ქალ პოლიტიკოსებს, ასევე, ქალ აქტივისტებს და უფლებადამცველებს მიემართებოდათ.
- სექსისტური სიძულვილის ენის ექვსი ინდიკატორის ანალიზის მიხედვით, როგორც სოციალურ, ისე ტრადიციულ მედიაში ყველაზე მეტი შემთხვევა მორალური კრიტერიუმებით თავდასხმას უკავშირდებოდა და ყველაზე ხშირად მრუშობით შერცხვენას მიმართავდა. ტრადიციულ მედიაში კი ანტიფემინისტური და მიზოგინიური შინაარსის განცხადებებიც ჭარბობდა.
- ფემინიზმი დასავლეთიდან თავსმოხვეულ მოვლენად წარმოჩინდებოდა, რომელიც კაცის ჩაგვრასა და ოჯახების დანგრევაზე იყო ორიენტირებული და ანგარებითი მოტივით მკვიდრდებოდა. ხდებოდა ფემინიზმის საკითხის ევროინტეგრაციასთან, კერძოდ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან მანიპულაციური დაკავშირება.
- გენდერული სტერეოტიპები ამკვიდრებდა აზრს, რომ ქალები ისტერიულები, სექსუალურად დაუკმაყოფილებლები არიან, პოლიტიკოსი ქალების ქცევა გაუწონასწორებელია, ქალის ნდობა არ შეიძლება და საქმე კაცთან უნდა დაიჭირო, ქართველი ქალის ადგილი კი ოჯახშია.

- პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიური ქალები გარკვეულ შემთხვევებში თავდასხმის სამიზნეები მასკულინური თვისებების და ნაკლები ფემინურობის გამო ხდებოდნენ.
- შედარებით ნაკლები იყო გარეგნული მახასიათებლებით, გონებრივი შესაძლებლობებით და ასაკობრივი ნიშნით დაცინვის შემთხვევები.
- საქართველოს პრეზიდენტის, ოპოზიციონერი ქალების, უფლებადამცველების და საპროტესტო აქციების მონაწილეების დისკრედიტაციის მიზნით, ანონიმური სახელისუფლებო, გარკვეულ შემთხვევებში კი კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული გვერდები, ხშირად ვიზუალურ მანიპულაციას იყენებდნენ და დასპონსორებული სახით ავრცელებდნენ.
- თუ ანონიმური სახელისუფლებო ანგარიშები ოპონენტების წინააღმდეგ მეტწილად მორალური კრიტერიუმებით თავდასხმებს მიმართავდნენ, ოპოზიციურ პარტია ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ანგარიშები – გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვას.
- ანონიმური გვერდების გარდა, სიძულვილის ენას ქალი კოლეგების მიმართ მმართველი პარტიის წარმომადგენელი კაცებიც მიმართავდნენ.
- ანტიფემინისტური/მიზოგინური სიძულვილის ენის მხრივ კრემლისტური პარტიები (კონსერვატიული მოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი) და მედია (სეზონი ტვ), ასევე, სასულიერო პირები გამოირჩეოდნენ.

ჰომოფობია

- 3270 ჰომოფობიური კომენტარიდან/პოსტიდან ყველაზე მეტი (2558) ტრადიციულ მედიაზე მოდის.
- ჰომოფობიური შინაარსის ზრდა, როგორც რუსული ტიპის აგენტების შესახებ კანონს, ასევე, პრაიდის კვირეულს, საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესს და ჰომოსექსუალობის პროპაგანდის აკრძალვის კანონმდებლობას შეეხებოდა.
- ჰომოფობიური კომენტარების მთავარ წყაროს სამონიტორინგო ტრადიციული მედია (31,7%) წარმოადგენდა, რომელსაც პოლიტიკოსები (30,8%) მცირედით ჩამორჩებოდნენ. შედარებით მცირე იყო სოციალური მედიის (10,5%), საზოგადოების (9,8%), სასულიერო პირების (9,4%) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (7,7%) მაჩვენებელი.
- პარტიებიდან ყველაზე ხშირად ჰომოფობიური კომენტარების წყარო ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა (960) იყო, რასაც პატრიოტთა ალიანსი (41) და სახელისუფლებო პარტია ქართული ოცნება (28) მოსდევდა. ჰომოფობიური შინაარსის კომენტარებით გამოირჩეოდა ასევე, მმართველ პარტიასთან დაკავშირებული მოძრაობა „ხალხის ძალა“ (17).
- ჰომოფობიური გზავნილების გავრცელების მხრივ, კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის სეზონი ტვ (527) და ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“ (115) ლიდერობდნენ, რომელთაც სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის პოსტვ ანალიტიკა (50) მოსდევდა.

გენდერული დეზინფორმაცია

- 2023 წელს ფაქტების გადამოწმების პლატფორმამ „მითების დეტექტორი“ გამოავლინა 62 გენდერული დეზინფორმაცია, რომელთაგან 37 ჰომოფობიური შინაარსის იყო, 25 კი სექსისტურ ან ქალებზე მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის ნიშნებს შეიცავდა.
- გენდერული ნიშნით დეზინფორმაციის ყველაზე მეტი შემთხვევა დასავლეთის წინააღმდეგ იყო მიმართული (27), საიდანაც ჰომოფობია (18) დომინირებდა. უკრაინის წინააღმდეგ მიმართულ გენდერულ დეზინფორმაციაშიც (10) ყველაზე მეტი შემთხვევა (7) ჰომოფობიური შინაარსის იყო.

- ქართველი პოლიტიკოსებისა და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ კი მეტწილად სექსისტური შინაარსის დეზინფორმაციას (6) ვხვდებით, ჟურნალისტების წინააღმდეგ კი - როგორც ჰომოფობიურ (4), ასევე, სექსისტურს (3).
- დარღვევის ტიპოლოგიიდან ყველაზე ხშირად ვიზუალური მანიპულაცია გამოიყენებოდა (54,8%), რაც ფოტოფაბრიკაციის/მანიპულაციის 22 შემთხვევას და ვიდეომანიპულაციის/ფაბრიკაციის 12 შემთხვევას აერთიანებს. დეზინფორმაციის არავიზუალური ფორმების გამოყენებას 21 შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, მანიპულაციის – 3, ხოლო გაყალბებული ციტატის – 2 შემთხვევაში.
- ყველაზე ხშირად გენდერული დეზინფორმაციის და მორალური კრიტერიუმების ნიშნით თავდასხმის სამიზნე დასავლელი პოლიტიკოსები, ასევე, ქართველი ქალი პოლიტიკოსები და პოლიტიკოსებთან დაკავშირებული პირები იყვნენ. სამ შემთხვევაში სამიზნე უკრაინის პირველი ლედი, ოლენა ზელენსკა იყო. ერთ შემთხვევაში გენდერული დეზინფორმაციის სამიზნეს საქართველოში ამერიკის ელჩი, რობინ დანიგანიც წარმოადგენდა.
- ქართველი პოლიტიკოსებიდან სლატშეიმინგის სამიზნე პრეზიდენტი. სალომე ზურაბიშვილი იყო, რომლის წინააღმდეგ პორნოსაიტიდან აღებული ფოტოს დარედაქტირებული ვერსია მას შემდეგ გავრცელდა, რაც მან ოპოზიციური ტელეარხის გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია შეიწყალა.
- გენდერული დეზინფორმაციის ყველაზე ხშირი სამიზნე პატიმრობაში მყოფი საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხელ სააკაშვილის დედა, გიული ალასანია გახდა, რომლის წინააღმდეგ რამდენიმე ფოტომანიპულაცია გავრცელდა. ალასანიას წინააღმდეგ სახელისუფლებო ტელეკომპანია PosTV-ის მიერ გავრცელებული სიუჟეტი კი დადგმული დეზინფორმაციის შთაბეჭდილებას ტოვებდა.
- დეზინფორმაცია, რომელიც ქალი პოლიტიკოსების მორალური კრიტერიუმების ნიშნით გაკიცხვას ისახავდა მიზნად, ფინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სანა მარინის, ასევე, ესტონეთის პრემიერ-მინისტრ კაია კალასის და ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის წინააღმდეგ გავრცელდა.
- ქართველი ჟურნალისტების წინააღმდეგ გავრცელებული სამივე გენდერული დეზინფორმაცია ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიების ჟურნალისტებს შეეხებოდათ. სლატშეიმინგის ორივე შემთხვევა „მთავარი არხის“ და „ტვ პირველის“ ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ გავრცელდა.
- ჰომოფობიური დეზინფორმაცია, როგორც ოპონენტების დისკრედიტაციის პოლიტიკური ინსტრუმენტი, სხვადასხვა სამიზნის მიმართ გამოიყენებოდა. მსგავსი დეზინფორმაცია ამერიკის პრეზიდენტ ჯო ბაიდენს, უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს და ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს შეეხებოდა, საქართველოს შემთხვევაში კი დეზინფორმაციის სამიზნეები პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები იყვნენ.

მობილიზება იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტის და ბავშვების დასაცავად

- გამოიკვეთა 4 თემა, რომელთა ირგვლივაც ანტილიბერალური ჯგუფები საზოგადოების მობილიზებას ცდილობდნენ. გაანალიზებული 1936 კომენტარიდან, ყველაზე მეტი გზავნილი იდენტობის დაცვას (40,6%) უკავშირდებოდა; ღირებულებებისა (23,4%) და ბავშვების დაცვის (21,7%) თემატიკა კი თითქმის თანაბრად იყო წარმოდგენილი, რასაც ოჯახის დასაცავად (14,4%) საზოგადოების მობილიზებისკენ მიმართული გზავნილები მოსდევდა.

- იდენტობასთან დაკავშირებული 784 კომენტარიდან ყველაზე დიდი წილი დასავლეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, მათ შორის, ხელისუფლების მიერ უკან გაწვეული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ რუსული ტიპის კანონისა და პრაიდის კვირეულის კონტექსტში.
- იდენტობასთან დაკავშირებით, მკვიდრდებოდა აზრი, რომ დასავლეთი ჰომოსექსულობის თავსმოხვევით ტრადიციულ იდენტობას გვაკარგვინებს, მათი დაფინანსება კი უმეტესწილად იდენტობასთან ბრძოლასა და ლგბტქი+ თემის პროპაგანდას ხმარდება.
- რუსული ტიპის აგენტების შესახებ კანონის განხილვის დროს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე, კრემლისტური და კონსერვატიული აქტორები უცხოურ დაფინანსებას იდენტობასთან ბრძოლის მიზნებთან აკავშირებდნენ.
- ევროკავშირში ინტეგრაცია/სტატუსის მონიჭება, ისევე, როგორც პროდასავლურობა და ლიბერალობა, იდენტობის დაკარგვასთან იყო გათანაბრებული, რუსეთი კი იდენტობის დამცველად იყო წარმოჩენილი.
- იდენტობის საკითხები კონფლიქტებთან მიმართებითაც განიხილებოდა. ვრცელდებოდა გზავნილები იმის შესახებ, რომ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები დასავლეთის ექსპერიმენტი იყო, რომელიც ღმერთთან ბრძოლას და ჰომოსექსუალური იდენტობის თავსმოხვევას ისახავდა მიზნად; საქართველოს შემთხვევაში კი აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ იდენტობადაკარგული ქვეყანა აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენის გამონახვას ვერ შეძლებდა.
- ღირებულებებთან დაკავშირებული კომენტარებიდან დომინირებდა გზავნილი, რომელიც ლგბტქი+ ადამიანების მხარდაჭერას და ჰომოსექსულობას – ტრადიციულ ღირებულებებთან, ხოლო ლიბერალიზმს ზნეობრივ/ქრისტიანულ საზოგადოებასთან შეუთავსებლად მიიჩნევდა; ამასთანავე, ევროინტეგრაციის პროცესი თავსმოხვეულ უცხო ღირებულებებთან და ტრადიციულის დაკარგვასთან იყო დაკავშირებული.
- ბავშვების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილებიდან ყველაზე მეტი გარყვნილების პროპაგანდისგან/იდენტობის დაკარგვისგან მათ დაცვას შეეხებოდა.
- სკოლებში სექსუალური/სამოქალაქო განათლების სწავლება გარყვნილების პროპაგანდასთან იყო გაიგივებული; მედია და ინტერნეტი ბავშვთა გარყვნის ინსტრუმენტებად განიხილებოდა, ისევე, როგორც გარკვეულ შემთხვევებში მაკდონალდსი და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- აღსანიშნავია ისიც, რომ „მაკდონალდსის“ წინააღმდეგ კამპანიას მანიპულაციურად ბავშვების გარყვნილებად როგორც მმართველი პარტია, ასევე, საპატრიარქო აფასებდა.
- ასევე, აქტუალური იყო არასრულწლოვნებში სქესის შეცვლის და გენდერული თვითგამორკვევის საკითხები, რაც მოზარდებისთვის საფრთხედ განიხილებოდა.
- ოჯახის ინსტიტუტის დაცვასთან დაკავშირებულ გზავნილებში აბორტის თემა დომინირებდა, რაც მკვლელობად და ცოდვად განიხილებოდა, რომელზეც პასუხისმგებლობა მხოლოდ ქალს ეკისრებოდა.
- აბორტის აკრძალვის მოთხოვნასთან ერთად ისმოდა კანონმდებლობის იმ ნაწილის გადახედვის მოწოდებებიც, რომელიც ოჯახში ძალადობას ეხება. ტრადიციული ოჯახის საფრთხედ, როგორც ოჯახის მოდერნიზება და გენდერული პროპაგანდა, ასევე, ფემინზმიც განიხილებოდა.
- ოჯახის, როგორც ქალის და მამაკაცის ერთობის, შესახებ გზავნილები მეტწილად საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის უნგრეთში ამერიკელი ულტრაკონსერვატორების კონფერენციაში მონაწილეობას უკავშირდებოდა, სადაც მან ჰომოფობიურ კონტექსტში ტრადიციული ოჯახის ფასეულობების შენარჩუნებას გაუსვა ხაზი.

სარჩევი

	1. სექსისტური სიძულვილის ენა/გენდერული სტერეოტიპიზაცია და ჰომოფობია	15
1.1	ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები	15
1.2	სექსისტური სიძულვილის ენა/გენდერული სტერეოტიპიზაცია	18
1.3	ჰომოფობია	23
1.4	ტერმინოლოგია	26
	2. სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპიზაციის თვისებრივი ანალიზი	35
2.1	ანტიფემინიზმი/მიზოგინია	35
2.2	მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა	39
2.3	გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა	49
2.4	გონებრივი ნიშნით შეურაცხყოფა	53
2.5	გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფა/ დაცინვა	54
2.6	ეიჯიზმი	59
	3. გენდერული დეზინფორმაცია	63
3.1	ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები	63
3.2	დეზინფორმაცია ქალი პოლიტიკოსების, დაკავშირებული პირების და ჟურნალისტების წინააღმდეგ	65
3.3	ჰომოფობიური დეზინფორმაცია პოლიტიკოსების, უკრაინაში მებრძოლების, ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტების და სხვათა მიმართ	71
3.4	ბავშვები და სექსუალური განათლება დასავლეთში	76
3.5	იდენტობის დაკარგვა და ოჯახური ძალადობა	77
	4. მოგბილიზება იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტისა და ბავშვების დასაცავად	79
4.1	იდენტობის დაცვა	79
4.2	ღირებულებების დაცვა	82
4.3	ბავშვების დაცვა	84
4.4	ოჯახის ინსტიტუტის დაცვა	86

დიაგრამები და ცხრილები

დიაგრამა 1.	სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების რაოდენობა თვეების მიხედვით (იანვარი-დეკემბერი 2023)	16
დიაგრამა 2.	სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების დღიური საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი თვეების მიხედვით (2023)	16
დიაგრამა 3.	სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების თანაფარდობა (2023 წელი)	17
დიაგრამა 4.	სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების რაოდენობა, ტრადიციული და სოციალური მედიების მიხედვით (2023)	17
დიაგრამა 5.	ჰომოფობიური და სექსისტური კომენტარების / პოსტების განაწილება ტრადიციულ და სოციალურ მედიაში (2023)	18
დიაგრამა 6.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია ტრადიციულ და სოციალურ მედიებში (2023)	19
დიაგრამა 7.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ მედიებში (2023)	20
დიაგრამა 8.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების წყაროები, სფეროების მიხედვით (2023)	20
დიაგრამა 9.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია, წყაროების მიხედვით (2023)	22
დიაგრამა 10.	ჰომოფობიური გზავნილების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ მედიაში (2023)	23
დიაგრამა 11.	ჰომოფობიური სიძულვილის ენის წყაროები (2023)	24
დიაგრამა 12.	ჰომოფობია – წყაროები სუბიექტების მიხედვით (2023)	25
დიაგრამა 13.	სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატი ქალები, ინსტიტუციონალური და სხვა აფილიაციის მიხედვით	29
დიაგრამა 14.	სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატები (ყველაზე ხშირი შემთხვევები)	30
დიაგრამა 15.	გენდერული დეზინფორმაცია სამიზნეების მიხედვით	63
დიაგრამა 16.	გენდერული დეზინფორმაციის ტიპოლოგია	64

დიაგრამა 17.	გენდერთან დაკავშირებული 4 სპეციფიკური თემის ხვედრითი წილი	79
დიაგრამა 18.	იდენტობის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	80
დიაგრამა 19.	ღირებულებების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	82
დიაგრამა 20.	ბავშვების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	84
დიაგრამა 21.	ოჯახის ინსტიტუტის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	86

ცხრილი 1.	შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია სექსისტური და გენდერული სტერეოტიპების 6 კატეგორიის მიხედვით	27
ცხრილი 2.	ჰომოფობიური ტერმინები	32
ცხრილი 3.	გენდერული დეზინფორმაცია / მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვა ქალი პოლიტიკოსების და პოლიტიკოსებთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ	66
ცხრილი 4.	გენდერული დეზინფორმაცია/მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვა ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ	70
ცხრილი 5.	ჰომოფობიური დეზინფორმაცია პოლიტიკოსების წინააღმდეგ	72
ცხრილი 6.	ჰომოფობიური დეზინფორმაცია უკრაინაში მებრძოლების წინააღმდეგ	73
ცხრილი 7.	ჰომოფობიური დეზინფორმაცია ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტების და სხვათა მიმართ	74

I. სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია და ჰომოფობია

1.1. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

ერთწლიანმა მედია მონიტორინგმა საკვლევ პერიოდში (1 იანვარი – 31 დეკემბერი, 2023) სექსისტური და ჰომოფობიური ხასიათის 5695 დისკრიმინაციული შინაარსი გამოავლინა, საიდანაც 3915 შემთხვევაში წყარო ტრადიციული, ხოლო 1780 შემთხვევაში სოციალური მედია იყო.

სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის დინამიკაში ანალიზი აჩვენებს, რომ მისი ყველაზე მკაფიო გამოვლინებები პოლიტიკურად ტურბულენტურ ფაზებს უკავშირდებოდა. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2023 წლის მარტსა და ივლისში დაფიქსირდა, რაც მარტში (696) – „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან სამოქალაქო პროტესტს[1], ხოლო ივლისის თვეში (877) პრაიდის მხარდამჭერ კვირეულს[2] უკავშირდებოდა. სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის მაჩვენებელი ნოემბრისა (508) და დეკემბრის (502) თვეებშიც გაიზარდა, რაც საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესს უკავშირდებოდა[3].

1 რადიო თავისუფლება, 10 მარტი, 2023. „პარლამენტმა „აგენტების“ კანონპროექტი ჩააგდო“, https://www.radiotavisupleba.ge/a/32311562.html

2 ნეტგაზეთი, 8 ივლისი, 2023. „ჩაშლილი პრაიდის ქრონოლოგია, რომელიც პოლიციამ მოძალადეებისგან არ/ვერ დაიცვა“, https://netgazeti.ge/life/679030/

3 ინტერპრესნიუსი, 14 დეკემბერი, 2023. „ევროპულმა საბჭომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა“, https://www.interpressnews.ge/ka/article/781434-evropulma-sabchom-sakartvelos-kandidatis-statusi-mianicha/

დიაგრამა 1. სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების რაოდენობა თვეების მიხედვით (იანვარი-დეკემბერი 2023)



2023 წლისთვის სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების ინტენსივობის საჩვენებლად, მონიტორინგის მიერ გამოვლენილი კომენტარების/პოსტების დღიური საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი, როგორც მედია მონიტორინგის ყოველი თვისათვის, ისე მონიტორინგის მთლიანი საანგარიშო პერიოდისთვის (1 იანვარი – 31 დეკემბერი, 2023) გამოვთვალეთ.

გამოვლენილი შინაარსის ყველაზე მაღალი დღიური საშუალო სტატისტიკური რაოდენობა ივლისის თვეში დაფიქსირდა და დღეში საშუალოდ 28,3 ჩანაწერი შეადგინა. ყველაზე დაბალი თვის მაჩვენებელი აგვისტოში იყო – დღეში საშუალოდ 3,3 კომენტარი/პოსტი. მთლიანად 2023 წლისთვისთვის სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსის გამოვლენის დღიური საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი 15,6 კომენტარს/პოსტს შეადგენს.

დიაგრამა 2. სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების დღიური საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი თვეების მიხედვით (2023)

2023 წელს მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილი 5695 კომენტარიდან/პოსტიდან ყველაზე მეტი – 2747 (48%) ჰომოფობიური შინაარსის იყო, 2426 (43%) – სექსისტური სიძულვილის ენისა და გენდერული სტერეოტიპების შემცველი, ხოლო 522 (9%) – ერთდროულად, როგორც სექსისტური, ისე ჰომოფობიური ხასიათის.

დიაგრამა 3. სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების თანაფარდობა (2023 წელი)



2023 წლის 12 თვის მონაცემების თანახმად, ტრადიციულ მედიაში სექსისტური სიძულვილის ენისა და ჰომოფობიური შინაარსის შემცველი განცხადებები (3915) სოციალური მედიის (1780) ანალოგიურ მაჩვენებელს ორჯერ აღემატება.

დიაგრამა 4. სექსისტური და ჰომოფობიური კომენტარების / პოსტების რაოდენობა ტრადიციული და სოციალური მედიების მიხედვით (2023)



მედიის განვითარების ფონდის მიერ 2023 წლის პირველ საანგარიშო პერიოდში (იანვარი-მაისი) გამოქვეყნებულ კვლევაში „ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი მობილიზება საქართველოში[4]“, როგორც ტრადიციულ, ისე სოციალურ მედიაში სექსისტური/გენდერულად სტერეოტიპული კომენტარების/პოსტების რაოდენობა ჰომოფობიური შინაარსისას აჭარბებდა. ეს მაჩვენებელი 2023 წლის მეორე ნახევარში ნაწილობრივ შეიცვალა, რაც მეტწილად თბილისი პრაიდს და საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას უკავშირდებოდა: 2023 წლის ერთიანი მონაცემების თანახმად, ჰომოფობიურმა გზავნილებმა ტრადიციულ მედიაში სექსისტურს გადააჭარბა; სოციალურ მედიაში კი სურათი არ შეცვლილა და კვლავ სექსისტური კომენტარები/პოსტები დომინირებდა.

დიაგრამა 5. ჰომოფობიური და სექსისტური კომენტარების / პოსტების განაწილება ტრადიციულ და სოციალურ მედიაში (2023)



1.2 .სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია

მედია მონიტორინგის 12 თვიან პერიოდში გამოვლენილი 2955 სექსისტური სიძულვილის ენის შემცველი განცხადებიდან/პოსტიდან ტრადიციულ მედიაზე – 1805, ხოლო სოციალურზე 1150 კომენტარი/პოსტი მოდის.

დარღვევის ტიპოლოგია. სექსისტური შინაარსის ტიპოლოგიზაცია მეთოდოლოგიის ნაწილში წარმოდგენილი სექსისტური სიძულვილის ენის ექვსი ინდიკატორის მიხედვით განხორციელდა. მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგით გამოვლენილი ზოგიერთი კომენტარი/პოსტი ერთდროულად დარღვევის რამდენიმე ტიპს მიესადაგა, რამაც 14% შეადგინა.

[4] თ. კინწურაშვილი, ლ. ხომერიკი, კვლევის ანგარიში „ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი მობილიზება საქართველოში“, მედიის განვითარების ფონდი, 2023 https://mdfgeorgia.ge/uploads//Gender-3-GEO-web.pdf

სექსისტური სიძულვილის ენის ექვსი ინდიკატორის მიხედვით, 2023 წელს როგორც სოციალურ (805), ისე ტრადიციულ მედიაში (910) ყველაზე მეტი – მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის შემცველი კომენტარი/პოსტი გამოვლინდა. ტრადიციულ მედიაში მაღალი იყო ანტიფემინისტური და მიზოგინიური შინაარსის (500) განცხადებების რიცხვი, რასაც გენდერული სტერეოტიპიზაციის (401), გარეგნული მახასიათებლებით (206) და გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფის/დაცინვის მაგალითები (134) მოსდევდა. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვის შემცველი განცხადებები, ასევე, მაღალი იყო სოციალურ მედიაშიც (164), თუმცა ტრადიციულ მედიასთან შედარებით, გენდერული სტერეოტიპით გაკიცხვის (99), გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვის (55) და ანტიფემინიზმის/მიზოგენიის (52), ასევე, ეიჯიზმის (16) შემთხვევები შედარებით დაბალი იყო.

დიაგრამა 6. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია ტრადიციულ და სოციალურ მედიებში (2023)



თემატიკა. 2023 წელს სექსისტური შინაარსის შემცველი კომენტარების/პოსტების ყველაზე დიდი ნაწილი, როგოც ტრადიციულ (1176), ასევე სოციალურ მედიაში (790) პოლიტიკას უკავშირდებოდა. პოლიტიკასთან დაკავშირებული სექსისტური განცხადებები/პოსტები უმეტესწილად საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს და სხვადასხვა ოპოზიციონერ ქალ პოლიტიკოსს მიემართებოდა. ტრადიციულ მედიაში 811, ხოლო სოციალურში – 509 კომენტარი/პოსტი გენდერის თემატიკას უკავშირდებოდა, რასაც კანონმდებლობასთან დაკავშირებული კომენტარები/პოსტები (ტრადიციულში – 184, სოციალურში – 32) მოსდევდა.

დიაგრამა 7. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ მედიებში (2023)



წყაროები. 2023 წელს სექსისტური სიძულვილის ენის გამოყენების ყველაზე დიდი წილი მედია მონიტორინგის სუბიექტ ფეისბუქ ანგარიშებზე (778) მოდის, რასაც სამონიტორინგო ტრადიციული მედია საშუალებები (757) მცირედით ჩამორჩებიან. შემდეგ ადგილებზე პოლიტიკოსები (619), საზოგადოების წარმომადგენლები (494) და სასულიერო პირები (169) არიან.

დიაგრამა 8. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების წყაროები სფეროების მიხედვით (2023)



2023 წელს სექსისტური სიძულვილის ენა/გენდერული სტერეოტიპები ყველაზე ხშირად კრემლისტურ სეზონი ტვ-სა (649) და სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მქონე პოსტვ-ზე (160)

გვხვდებოდა. მონიტორინგის სუბიექტი ბეჭდური მედიიდან კი – ანტიდასავლური და ქსენოფობიური სარედაქციო პოლიტიკის გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (120). ონლაინ მედიებიდან ეს ტენდენცია კრემლთან დააკავშირებულ ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიოში“ (www.geworld.ge) (33) ჭარბობდა.

2023 წლის მედია მონიტორინგმა გამოავლინა, რომ პოლიტიკური პარტიებიდან სექსისტური განცხადებების საგრძნობლად დიდი წილი პარტია „ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობაზე“ (532) მოდის. პარტიის წევრები სექსისტური შინაარსის განცხადებებს უმეტესწილად მათივე პარტიასთან დაკავშირებული ტელევიზიის „ალტ-ინფოს“ ეთერში აკეთებდნენ. პარტიებს შორის სექსისტური განცხადებებით გამოირჩეოდა, ასევე, მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ (19), რომელსაც კრემლისტური პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ (37) და მმართველ პარტიასთან დაკავშირებული „ხალხის ძალა“[5] (21) მოსდევს.

სასულიერო პირებიდან ყველაზე მეტ სექსისტურ განცხადებას „ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერი მღვდელი, დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი ავრცელებდა (43), რომელიც ამ მიზნით პირად ფეისბუქ ანგარიშებსაც იყენებდა. სექსისტური კომენტარების მხრივ, ასევე, გამოირჩეოდა დეკანოზი გიორგი რაზმაძეც (11), რომელიც სეზონი ტვ-ს პირდაპირ ეთერში და „საქართველო და მსოფლიოს“ გვერდზე ხშირად ჩნდება.

2023 წელს მედია მონიტორინგის სუბიექტი ფეისბუქ ანგარიშებიდან ყველაზე მეტი სექსისტური პოსტი განათავსა გვერდმა „Gen-Z თაობა[6]“, რომელიც 2023 წლის აპრილის თვეში იმ ახალგაზრდების დისკრედიტაციის მიზნით შეიქმნა, ვინც ე.წ რუსული ტიპის „აგენტების კანონის“ (უცხოეთის გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტი)[7] გაწვევის მოთხოვნით, მარტში საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა. გვერდი საპროტესტო აქციების შემდეგ, აპრილი-მაისის თვეში, განსაკუთრებით აქტიურობდა, თუმცა მაისიდან აღნიშნული გვერდი ხელმისაწვდომი აღარ არის.

სექსისტური პოსტებით გამოირჩეოდნენ ხელისუფლების მხარდამჭერი და ოპოზიციის მადისკრედიტირებელი გვერდები – „ტერენტი გლდანელი“ (110), „აგენტურა“ (59) და „არ აგარევინებთ“ (21); ასევე, ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან დაკავშირებული – „კონსერვატიული ფლანგი“ (99). მორალური კრიტერიუმით თავდასხმის შემცველ კომენტარებთან ერთად ფეისბუქ გვერდები/ჯგუფები გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფის/დაცინვის მეთოდს და ქალი პოლიტიკოსების მიმართ ვიზუალურ მანიპულაციას ხშირად მიმართავდნენ.

---

5 2022 წელს საპარლამენტო ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ რამდენიმე დეპუტატი „კულუარული სიმართლის“ სათქმელად გამოეყო. მოგვაინებით მათ მოძრაობა „ხალხის ძალა“ დააფუძნეს და მმართველ პარტიასთან საპარლამენტო უმრავლესობაც შეინარჩუნეს. რადიო თავისუფლება, 2 აგვისტო, 2022 https://www.radiotavisupleba.ge/a/31970666.html

6 მითების დეტექტორი, 18 აპრილი, 2023. სახელისუფლებო და ანტიდასავლური ანგარიშები ლაზარე გრიგორიადისის წინააღმდეგ https://bit.ly/3wzBYon

7 რადიო თავისუფლება, 10 მარტი, 2023. „პარლამენტმა „აგენტების“ კანონპროექტი ჩააგდო“, https://www.radiotavisupleba.ge/a/32311562.html

დიაგრამა 9. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია ფყაროების მიხედვით (2023)



1.3. ჰომოფობია

1 წლიანი მედია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი 3270 ჰომოფობიური შინაარსიდან ტრადიციულ მედიაში – 2558, ხოლო სოციალურში 712 გავრცელდა. პირველ საანგარიშო პერიოდთან (იანვარი-მაისი) შედარებით, წლის მეორე ნახევარში (ივნისი-დეკემბერი) ჰომოფობიური განცხადებები ტრადიციულ მედიაში თითქმის გაორმაგებულია. ჰომოფობიური გზავნილების ზრდა 3-8 ივლისს პრაიდის მხარდამჭერ კვირეულს და მის წინააღმდეგ ანტი-ლგბტ მობილიზებას უკავშირდებოდა. გზავნილები შინაარსობრივად პრაიდის ძალადობრივი ჩაშლისკენ მოწოდებებს, მის პროპაგანდისტულ ხასიათს და საქართველოში ლგბტქი თემის პროპაგანდის კანონით აკრძალვას შეეხებოდა.

თემატიკა. როგორც წლის პირველ ნახევარში (იანვარი-მაისი)[8], ასევე, ივნის-დეკემბრის პერიოდში ჰომოფობიური შინაარსი ყველაზე ხშირად სწორედ პოლიტიკის თემატიკას უკავშირდებოდა (ტრადიციული მედია – 1864; სოციალური – 473). ტრადიციულ მედიაში გენდერისა (719) და კანონმდებლობის (337) თემატიკასთან დაკავშირებული ჰომოფობიური განცხადებების რიცხვიც მაღალი იყო.

შინაარსობრივად, როგორც ტრადიციული, ისე სოციალური მედიის ჰომოფობიური განცხადებები ანტიდისკრიმინაციულ კანონს, ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობას, ჰომოსექსუალობის პროპაგანდის აკრძალვას და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს შეეხებოდა.

დიაგრამა 10. ჰომოფობიური გზავნილების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ მედიაში (2023)



[8] თ. კინწურაშვილი, ლ. ხომერიკი, კვლევის ანგარიში „ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი მობილიზება საქართველოში“, მედიის განვითარების ფონდი, 2023 https://mdfgeorgia.ge/uploads//Gender-3-GEO-web.pdf

წყაროები. 2023 წლის მედია მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ჰომოფობიური კომენტარების/პოსტების მთავარ წყაროს სამონიტორინგო ტრადიციული მედია (31,7%) წარმოადგენს, რომელსაც პოლიტიკოსები (30,8%) მცირედით ჩამორჩებიან. ასევე, შედარებით მცირეა სოციალური მედიის (10,5%), საზოგადოების (9,8%), სასულიერო პირების (9,5%) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (7,7%) მაჩვენებელი.

დიაგრამა 11. ჰომოფობიური სიძულვილის ენის წყაროები (2023)



როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, პარტიებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური კომენტარის წყარო ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა (960) იყო. პატრიოტთა ალიანსთან (41) და სახელისუფლებო პარტია ქართულ ოცნებასთან (28) ერთად ჰომოფობიური შინაარსის კომენტარებით გამოირჩეოდა მოძრაობა „ხალხის ძალა“ (17). რაც შეეხება სამონიტორინგო ტრადიციულ მედიას, ჰომოფობიური გზავნილების გავრცელების მხრივ, კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის სეზონი ტვ (527) და ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“ (115) ლიდერობდნენ, რომელთაც სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის პოსტვ ანალიტიკა (50) მოსდევს.

პირველ საანგარიშო პერიოდში მომზადებული კვლევის მსგავსად, სასულიერო პირებიდან ჰომოფობიური გზავნილებით გამოირჩეოდა დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი (159). საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური განცხადებები „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებას“ (68) ეკუთვნის, რომელსაც „საქართველო უპირველეს ყოვლისა (27) და საზოგადოებრივი მოძრაობა |ლევან ვასაძე – ერთობა, რაობა, იმედი“ – ერი(15) მოსდევენ.

სამონიტორინგო ფეისბუქ ანგარიშებიდან ჰომოფობიური განცხადებები ყველაზე ხშირად რელიგიური ხასიათის ფეისბუქ გვერდზე ZNEOBA[9] (56) და დიდგორი TV-ზე (42) გვხვდება.

[9] https://www.facebook.com/zneoba.ge.new

დიაგრამა 12. ჰომოფობია – წყაროები სუბიექტების მიხედვით (2023)

1.4. ტერმინოლოგია

კვლევის პერიოდში (1 იანვარი – 31 დეკემბერი, 2023) მედია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსის შემცველი 5695 დისკრიმინაციული გზავნილიდან, შეურაცხყმყოფელ ტერმინს 4074 მასალაში/პოსტში (72%) ვხვდებით.

მედია მონიტორინგის როგორც პირველ, ისე მეორე საანგარიშო პერიოდში ტრადიციულ მედიაში შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენების მაჩვენებელი, სოციალურ მედიასთან, შედარებით უფრო მაღალია და 83,9%-ს შეადგენს.

როგორც სამონიტორინგო ტრადიციულ მედიაში, ისე სოციალურ მედიაში სიძულვილის ენის/შეურაცხყმყოფელი ლექსიკის ძირითადი ადრესატები საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი (321), ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ქალები (450), ჟურნალისტები და სამოქალაქო აქტივისტები, ასევე, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ პუბლიკაციებში/პოსტებში მრავლად იყო უხამსი ლექსიკით გაჯერებული ტერმინები. ოპონენტი პოლიტიკოსების მადისკრიმინირებელი ფეისბუქ გვერდები ასეთ ლექსიკას ფოტოვიზუალური მანიპულაციის შემთხვევაშიც აქტიურად იყენებენ.

2023 წლის კვლევის მეორე საანგარიშო პერიოდში (ივნისი-დეკემბერი, 2023) ყველაზე ხშირად, როგორც ტრადიციულ (390), ისე სოციალურ მედიაში (94) შეურაცხყმყოფელი ტერმინები მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის კატეგორიაში გვხვდება. ტრადიციულ მედიაში, ასევე, მაღალია იმ განცხადებების რაოდენობა, რომლებიც გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე (249) სექსისტური სიძულვლის ენის ადრესატებს შეურაცხყოფს.

ანტიგენდერული. სექსისტური და გენდერულად სტერეოტიპული ტერმინები კატეგორიზებულია იმავე ჩარჩოს მიხედვით, რომლითაც მოვახდინეთ სექსისტური სიძულვილის ენის შემცველი დარღვევების ტიპოლოგიის განსაზღვრა. შესაბამისად, ტერმინები დალაგდა 6 კატეგორიის მიხედვით, ხოლო ყველაზე ფართო კატეგორიაში, „მორალური კრიტერიუმების მიხედვით თავდასხმა“, თავის მხრივ, გამოიყო 5 ქვეკატეგორია. ეს კატეგორიებია:

1. მრუშობასთან დაკავშირებული ტერმინები („სლატშეიმინგი“);
2. მიუღებელი მორალური ქცევა, რომელიც ნაწილობრივ „სლატშეიმინგის“ კატეგორიასაც მოიცავს;
3. ანტიეროვნული/რელიგიური;
4. ანტისახელმწიფოებრივი/მერკანტილური;
5. ანტილიბერალური, როდესაც ტერმინ ლიბერალის ნეგატიურ კონტექსტში გამოყენება მეტწილად სამოქალაქო აქტივისტების მიმართ ხდებოდა.

ცხრილი 1. შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია სექსისტური და გენდერული სტერეოტიპების 6 კატეგორიის მიხედვით

კატეგორია	ტერმინები
1. მორალური კრიტერიუმების მიხედვით თავდასხმა	
1.1 სლატშეიმინგი	წარმატებული ბოზობისათვის / ბორდელიდან გამოგდებული / კარვის ქალები / სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ქალები / სველი ოცნებები / დენიკინის ბოზი / სურვილაშლილი / სტაჟიანი მასტურბატორები / პროსტიტუტკები / ცუნცულა თუ ხვანცალა / ტელე სექს ბულდოგები / ახუნტრუცებული / თვითგამოცხადებული ლოლიტა / ათას ღობეზე გადამხტარი / პორნო პოლიტიკოსები / მუხლებზე დაცემული / გადაკუზული ერთი რიგითი ყლიფონა / როსკიპები / ანგელოზივით გოგო, ისიც გახვრეტილი / ანანისტი / აზაბოჩენი / სუტინიორი / კახპური ვიშვიში /
1.2 მიუღებელი მორალური ქცევის მხილება	მადამ სოდომია / ლოთი ქალი / შემარცხვენელი ქალი / უზნეო დედაკაცი / უხამსი / გათახსირებული / დენაგავიზაცია / ნაგავი სოციუმი / ზნეობრივად ღირსებააყრილი / ნამუსგარეცხილი / მორალურად მიწასთან გართხმული და გასწორებული ადამიანი / გახრწნილი ქალი / სამარცხვინო ქალი / გათახსირებულო / ცუდად გაზრდილი / ლოთ ბაზარა / მრგვალი ბაღის ნარკომანკა / ნაძირალა გარეწარი ქალი / სულიერად მახინჯი ქალი / ტუტუცი დიშოვკები /
1.3 ანტიეროვნულობა/ ანტირელიგიურობის ბრალდებები	ქალი დივერსანტი / უსამშობლო / ანტი-ქართველი / სულის სიმყრალე / საქართველოს მტერი / უსამშობლო მანქურთი / ეროვნული ბოზები
1.4 ანტისახელმწიფოებრივი/ მერკანტილური	„რამკიანი“ აგენტი/მესაბოტაჟე ქალი / დასავლურად შეფუთული / გენეტიკური მოღალატე / რუსეთის ნომრიანი მომზადებული აგენტი / გახაზული აგენტი / უცხო ქვეყნის გავლენის აგენტი / შპიონი / უცხო ქვეყნის დაქირავებული აგენტი / დასავლური ტროას ცხენი / მიყიდული ქალი / შადიმანები/
1.5 ანტილიბერალური ბრალდებები	ლიბერასტები ვიღაცა მაიმუნები / ლიბერალური აგრესია / სალიბერასტეთი / სექტანტები / სოროსის ლეკვებო

კატეგორია	ტერმინები
2. ანტიფემინიზმი/მიზოგინია	გენდეროიდი ქალები / ვიღაც კვოტირებული / ორგანიზაცია „ფუჩუ“, ფემინისტები / ემანსიპირებული ფემინისტი ქალი / ზონდერ ფემინისტი / ფემინისტკა / ზონდერ ფემინისტკა / ფემინისტურ-ფაშისტური ზონდერები / მსუქანი ფემინისტები / ნაბოზრების ჯგუფი / კვოტირებული პარლამენტარი ქალები / დაჩუტულ ყ...ეთა და დაჩამიჩებულ ფუჩუთა ჯოგი / უკაცო ქალები / შხამიანი არსება / შლეგი /
3. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვა/შეურაცხყოფა	სექსუალური ბურვაკი / გასაბერი ქალი / თვალებგადმოკარკ-ლული / ქალი შეშლილი სახით / ჩიბურაშკა / ქალ-ფუნა / მადამ ზურაბი / ცხვირის ოპერაციის მსხვერპლი / ჭოკით მხტომელი / ქალის მსგავსი / მსუქანი ფემინისტები / ყიზილბაში წითელთავიანი / ჩაპუტკუნ-ჩაკურატებული / ჭინკასავით რომ გამოიყურება / დაჯღანული ქალი / მეჭეჭებიანი ღორი / გასაქირავებელი პლასმასი ქალი / ლურჯთმიანი სატანა / სკუნსი / სილიკონიანი ტიპი / ქვაზე დახატული ეშმაკი / განაზებული / წითელთავიანი / ყიზილბაში / ზონტიკიანი ქათამი / დაჯღანული ქალი / სექსუალური ბურვაკი / შემოტმასნილ ჯინსები / კვაზი-პრეზიდენტი / კოჭლი იხვი / ბეწვების მბრძანებელი / ბარძაყებგადმოლაგებული ქალი / პლასტელინი პრეზიდენტი / ძროხის სახეობის / ანაკლიის ჭაობის ბაყაყი / საღორის ტყის ბინადარი/
4. გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე შეურაცხყოფა	ნაღდი ქართველი ქალი / ქალური თვისებები / სათამადო კაცები არიან / მაინც მანდილოსანია / განაზებული / ქალბატონისგან მიკვირს / ქალობის არაფერი სცხიათ / ქალი ქალს არა ჰგავს / დედაშვილობის მადლს შეურაცხყოფს / კომუნალური ბინის დიასახლისები / ჭირვეული დედაკაცი / ქალი დივერსანტი / წუპაკი არსებები / სათნო ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა / ცუდად გაზრდილი „ისტერიჩკა“ / კიკიმორკა დედაკაცი
5. გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვა	სულელუკა / ჭკუიდან გადასული ქალი / არაჯანსაღი ფსიქიკა / ბეცი / დებილი / შეურაცხადი / იდიოტი / უმწვავესი ტვინის უჯრედების განლევა / ქერქეტა დედაკაცი / არცთუ ისე ჭკვიანი ქალი / სულელი / უწიგნური / უნიჭო / წერა-კითხვის უცოდინარი / კრეტინი / დაბალი ინტელექტის / დაბალი განვითარების / „ჭკვიანი პატრიოტები“ / ტვინგამორეცხილი / უტვინო / აზრდა-კარგულნი / ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ორფეხები

კატეგორია	ტერმინები
6. ეიჯიზმი	სალომე ბაბო / თინეიჯერი ბოზი / ბებერი თავი / ამ ხნის ქალი / კლიმაქტორულ ასაკში შესული / გადაბერებულები / ბებიაჩემის ხნის / ნაკოლკებიანი ბებოები / მოზარდზე ცანცარა / კლიმაქსიანი სულელი / ფერადი ჯენზი თაობა / ტვინგამორეცხილი, გენმოდიფიცირებული ახალგაზრდები / გადაგვარებული ახალგაზრდა / „ჯენ ზი პლასტი“, „ჯენზე ზი“ / ლიბერასტი ახალგაზრდები / სექსზე დაგეშილი თაობა / როსკიპების თაობა

ადრესატები. 2023 წლის მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ სექსისტური ენის ტერმინოლოგიას ყველაზე ხშირად ქალი პოლიტიკოსების, პირველ რიგში ოპოზიციონერი ქალების (450) და პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის (321) წინააღმდეგ იყენებდნენ, რომელთა წინააღმდეგაც ანონიმური სახელისუფლებო ფეისბუქ ანგარიშები მიზანმიმართულ შეურაცხმყოფელ განცხადებებს აქტურად ავრცელებდნენ. ასევე, მაღალი იყო სამოქალაქო აქტივისტების/არასამთავრობო ორგანიზაციების (229), დასავლელი პოლიტიკოსი ქალების (183), ჟურნალისტების (163) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ მიმართული შეურაცხმყოფელი განცხადებები (163).

დიაგრამა 13. სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატი ქალები ინსტიტუციონალური და სხვა აფილიაციის მიხედვით



2023 წელს სექსისტური თავდასხმების ყველაზე ხშირი სამიზნე საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი (321) იყო, რომლის წინააღმდეგაც მეტწილად ეიჯისტურ და მორალური კრიტერიუმების საფუძველზე შერცხვენას მიმართავდნენ. სალომე ზურაბიშვილის შემდეგ კი ამერიკის ყოფილი ელჩი, კელი დეგნანი მოდის (124). გენდერული სტერეოტიპებითა და მორალური კრიტერიუმებით შერცხვენის ადრესატები იყვნენ ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ პირები, მათ შორის, ყველაზე მეტი განცხადება მისი დედის, გიული ალასანიას (122) წინააღმდეგ გვხვდება. ქალი პარლამენტარებიდან სექსისტური სიძულვილის ენის ყველაზე ხშირი სამიზნეები იყვნენ: ელენე ხოშტარია (76), ხათუნა სამნიძე (70) და ანი წითლიძე (78). ყოფილი სახალხო დამცველის, ნინო ლომჯარიას (69) წინააღმდეგ შეურაცხყოფელი ტერმინები მას შემდეგ გააქტიურდა, რაც მან მოძრაობა „საქართველოს ევროპული ორბიტა“ დააფუძნა. შეურაცხმყოფელი ენის სამიზნე ქალთა უფლებადამცველი, ბაია პატარაიაც (35) იყო.

სიძულვილის ენის ადრესატებს შორის მცირე რაოდენობით არიან მმართველი პარტიის პოლიტიკური თანამდებობის მქონე ქალები: თეა წულუკიანი (4), ნინო წილოსანი (4), მაია ბითაძე (3), ქეთევან დუმბაძე (1).

დიაგრამა 14. სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატები (ყველაზე ხშირი შემთხვევები) [1]



[10] 2023 წლის 11 ნოემბერს თამარ ჩერგოლეიშვილმა „ტაბულას“ დირექტორის თანამდებობა დატოვა და პარტიის „ევროპული საქართველო“ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერთო.
https://tabula.ge/ge/news/710231-vushveb-chemgan-tavisupal-tsurvashi-tabulas

ჰომოფობიური ტერმინოლოგია. მედია მონიტორინგის პერიოდში (2023 წლის 1 იანვარი – 31 დეკემბერი) გამოვლენილი ჰომოფობიური ტერმინების დავყავით 4 კატეგორიად, რომლებიც, თავის მხრივ, შემდეგ ქვეკატეგორიებს მოიცავს:

1. ქცევასთან დაკავშირებული ტერმინები
   1.1 ჰომოსექსუალობის ცოდვასთან გაიგივება;
   1.2 ჰომოსექსუალური ურთიერთობების გარყვნილებად/ამორალურობად შეფასება;
   1.3 ლგბტქი იდენტობის ავადმყოფობად/ნორმიდან გადახრად შეფასება;
   1.4 ლგბტქი თემის წევრთა გამოხატვის თავისუფლების პროპაგანდად შეფასება;
   1.5 ერთი სქესის პირთა ქორწინებასთან დაკავშირებული ტერმინები;
   1.6 ჰომოსექსუალობის პედოფილიასთან/ინცესტთან გაიგივება.

2. იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინები
   2.1 გაურკვეველ გენდერზე/იდენტობაზე აპელირება;
   2.2 იდენტობის ნიშნით დაკნინება;
   2.3 დეჰუმანიზაცია.

3. ტერმინები, რომელიც აერთიანებს ანტიდასავლურ და ჰომოფობიურ შინაარსებს
   3.1 ანტილიბერალური ხასიათის ჰომოფობიური ტერმინები;
   3.2 ევროპისა და ზოგადად, დასავლეთის გარყვნილების სათავედ წარმოჩენა.

ჰომოფობიური გზავნილები პრაიდის კვირეულს, ლგბტქ თემის მხარდამჭერ, როგორც პოლიტიკოსებს, ასევე, სამოქალაქო აქტივისტებს და საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებს უკავშირდებოდა.

ლგბტქი თემის წინააღმდეგ მიმართული ტერმინები შინაარსობრივად მათ დეჰუმანიზაციას, ცოდვებთან, ავადმყოფობასთან და ნორმიდან გადახვევასთან დაკავშირებას ახდენდა. ჰომოფობიური სიძულვილის ენის ტერმინები ზოგჯერ მოიცავდა „ნეიტრალურ“ ტერმინებსაც, რომლებიც სხვადასხვა განცხადებაში ადრესატების წინააღმდეგ ნეგატიურ კონტექსტში გამოიყენებოდა. მაგალითად, „ლესბოსელი“, „ლგბტ“, „გეი“, „ლიბერალიზმი“.

ცხრილი 2. ჰომოფობიური ტერმინები

ტიპოლოგია		ტერმინები
ლგბტქი+ იდენტობის ადამიანების მოხსენიება სხვადასხვა ტერმინის ვარიაციით	ლგბტქ	მილიტარიზებული ლგბტ / ლგბტ ქიუარ ხროვა / ლგბტ იმპერია / ლგბტ ბუნაგი/ ლგბტ აბლაბუდა / ლგბტ ცისარტყელას ფერის საროსკიპო / ლგბტობიზმის პოლიტიკა / ლგბტ მეტანკეები / ლგბტ საკითხები / ლგბტ ორგანიზაციები /ლგბტ მოძრაობა / ლგბტ დროშები / ლგბტ ტერორიზმი / ლგბტ აქტივისტი / ლგბტ მიმართულების არსებები / ლგბტ ჯვარი / ლგბტ აღვირახსნილი აგენტურა / ლგბტ გაუკუღმართეული ფორმები / ლგბტ ნახირი / ლგბტ თემის მიმდევრები / ლგბტქ+, გარყვნილების ელემენტები / ლგბტ პრობლემა / ლგბტ რეკლამა / ფარული ლგბტეები / ლგბტ დიქტატურის დამყარება / ლგბტ პარლამენტარები / ელგებეტე ასინეთები, / გაელგებეტევებული / ელგებეტე ექსპერიმენტი / ლგბტ გარყვნილი / ლგბტზაცია
	გეი	გეი ორგიები / გეი-მამაო / გეი აგენტურა / გეი კონჩიტები / გადამდგარი გეი / გეი აქტივისტები / გეი პროპაგანდა / გეი მილიტარისტები / გეი-ქვეყანა [უკრაინა] / გეი მსვლელობები / გეი პოლიტიკური პარტია / გამოხატვის გეი თავისუფლება / გეი, რაღაც საზიზღობა / გეი პროპაგანდისტი / გეი, პედოფილების საზოგადოება / გეი კანონები / გეი პარადის ჩამტარებელზე უარესი / გეი ორგანიზაცია / გეი რევოლუცია / გეი მანიფესტზე ხელმომწერი / გეი ფილმები / გეი ქანდაკებები / გეი მემორანდუმები / გეი კარტელები / გეი-ქვია-ტრანსგენდერ-გენდერ-ფლუიდ საზოგადოება /
	„პიდარასტი“	პიდარასტი / პიდარასტზე უარესი / პიდარასტული ჰაბიტუსი / პრო-პიდარასტობა / პიდარასტული კულტურა / პიდარასტული ცივილიზაცია / მოპიდარასტო / პიდარასტობის იმპორტი / მებრძოლი პიდარასტები / პიდარასტული ფლანგი / გაპიდარასტების საქმე / ძაან პიდარასტობა / პიდარასტულ დღის წესრიგზე აღზდა / პიდარასტული ერთობის ნაწილი / პიდარასტების ერთ-ერთი მედროშე / ერთი მუჭა პიდარასტები / ბიოლოგიურად პიდარასტი /პიდარასტები-მამაძაღლები / ბაევოი პეტუხი /
	ტრანსგენდერი	გამოტრანსგენდერებული ტიპი / გეოპოლიტიკური ტრანსგენდერიზმი / ტრანსგენდერების ნორმალიზება / ტრანსგენდერი ბავშვები / ტრანსგენდერების პროპაგანდისტი „მაგდონალდსი“ / ტრანსგენდერი ადმირალი / ვიღაც ტრანსგენდერები / ტრანსგენდერების პროპაგანდა / ტრანსგენდერების დროშა / ტრანსგენდერი პედოფილი / ტრანსგენდერი ავადმყოფი / ტრანსგენდერი, ქალბატონი თუ ვაჟბატონი /
	ლესბოსელი	ლესბოსური ორგიები / ლესბოსელების აგენტები / ლესბოსელური ფილმი / ლესბოსელური პირველი არხი / სულიერი ლესბოსელები / ლესბოსელთა ათმეთაური / ლესბოსელი ზანგი / ვარდისფერი სამყარო / ლეზბოსელური არხი / ლეზბიანკა /
	მამათმავალი	მამათმავალი / მამათმავლობის პარპაში / გამამათმავლებული ქართველები / გამამათმავლება
	ჰომოსექსუალი	ჰომოსექსუალობა / ჰომოსექსუალური მიდრეკილებების მქონე მჯღაბნელები / ჰომოსექსუალური ფორმები / გაჰომოსექსუალება / ჰომოსექსუალური ორგიები / ჰომოსექსუალობის ნორმალურობის პროპაგანდა /
	დედათმავალი	დედათმავლური ორგიები / დედათმავალი

ტიპოლოგია		ტერმინები
ქცევასთან დაკავშირებული	ცოდვა	სოდომური ცოდვა / სოდომ-გომორული ცოდვა / ცოდვაში მყოფი ადამიანები / ცოდვაში ჩალპობა / საშინელი ცოდვა / ცოდვის ნორმალიზება / ცოდვის პროპაგანდა / ბოროტი ცოდვების პროპაგანდა / სოდომური ცოდვის მიმდევართა პროპაგანდია / სოდომური მედია / სოდომიის დღეები / გარყვნილებისა და სოდომიის მიმდრევრები / სოდომიის დაკანონებისთვის / სოდომისტი პარლამენტარები / სოდომისტური საქართველო / სოდომური ლიტერატურა / სოდომიის ფურცელი
	გარყვნილება/ ამორალუ-რობა	გარყვნილების ჰაბი / უწესო ცხოვრების წესი / გარყვნილი თბილისი / გათახსირებულები / გარყვნილების პარპაში / გარყვნილების პროპაგანდისტები / ამორალური დღის წესრიგი / გარყვნილი მდგომარეობა / გარყვნილების ფორმა / გარყვნილების სიმბოლიკა / გარყვნილების დროშები / სექსუალური გარყვნილება / სამყაროს გარყვნა / გარყვნილი საწოლები / გარყვნილთა სექტა / ამორალური მდგომარეობის ხალხი / უზნეობის ქომაგობა / სიბილწეში მცხოვრები / სულიერი საწამლავი /
	ავადმყოფობა/ ნორმიდან გადახრა	ავადმყოფური ლგბტ კულტურა / ბუნებაში არსებული საშინელი ანომალია / გაუკუღმართებული ადამიანები / გადაგვარებული ადამიანები / პერვერტი / სენი / დაავადება / პათოლოგები / ავადმყოფური მიდრეკილებების მქონე პიროვნებები / სიგიჟის გამოვლინებები / საგიჟეთ საპიდარასტეთი / გონებანაღრძობი ადამიანები / ჭირი / დახარვეზებული ადამიანი / დეფექტური აზროვნების ადამიანები / არაჯანსაღი აზროვნების / პერვერტების ბოგინი არაჯანსაღი ორიენტაციის / არატრადიციული ორიენტაცია
	პრაიდი/ გამოხატვის თავისუფლების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული	ლგბტქ ცხოვრების დღესასწაული / ლგბტ პრაიდები / ლგბტ პროპაგანდის ჩატარება / ლგბტ თემის მხარდამჭერი ღონისძიება / გეი პარადების ჩატარების მცდელობა / გეი კონჩიტების აქცია / გეი პიდარასტული ელფური ფესტივალი (პრაიდი) / გეი პარადების ქვეყანა / ლგბტ კვირეული / ლგბტ აღლუმის / პიდარასტული წვეულებები / პიდარასტული რაღაც ფართი / გეების დღესასწაული / სოდომიის დღეები / გარყვნილების ფესტივალი / გარყვნილების პარადი / გარყვნილების საჯარო პროპაგანდა / ავადმყოფური გარყვნილების ფესტივალი / გაუკუღმართებული მოთხოვნილებების ზეიმი / გარყვნილების საჯარო პროპაგანდა / გეების დღესასწაული / პედოფილიური შინაარსის გეი პროპაგანდისტული ფესტივალი / საქონლების პროპაგანდისტული ფესტივალი
	ლგბტ პროპაგანდა/ თვითდამკ-ვიდრება	ცისფერი ტერორი / ზღვარგადასული პროპაგანდა / ლგბტ პროპაგანდისტული წიგნები / ზღვარგადასული პროპაგანდა / გეი პროპაგანდა / გეი აგიტაცია / ერთსქესიანთა პროპაგანდის თავსმოხვევა / ბოროტი ცოდვების პროპაგანდა / პროპაგანდისტული ფილმები / პროპაგანდისტული წიგნები / ლგბტ პროპაგანდა
	ქორწინება	ერთნაირსქესიანთა ქორწინება / ორი მამაკაცის ქორწინების რეგისტრაცია / ყველა მამაკაცის გათხოვება / კაცს არასოდეს ერქმევა ცოლი /
	თემის პედოფილიას-თან დაკავშირება	ელგებეტე პედოფილები / პედოფილიის რომანტიზება / ვიღაც გარყვნილი პედოფილები / პედოფილიური სიგიჟეა / ელგებეტე პროპაგანდის შემცველი მულტფილმები ბავშვებისთვის / ბავშვების გარყვნაზე მიმართული / პრო-პედოფილური / პედოფილიური ცივილიზაცია / პედოფილიის შინაარსი

ტიპოლოგია		ტერმინები
იდენტობას-თან დაკავ-შირებული	გაურკვეველი გენდერი/ იდენტობაზე აპელირება	გენდერიზაცია / სქესშეცვლილი შვილი / რაღაცა გაურკვეველი ორიენტაციის ჰაბიტუსი / გენდერული პროკურატურის დაჯგუფებები / „ახალი გენდერულ იდენტობა / გაუგებარი სქესი / გენდერული პოლიცია / გენდერული აღზრდა / გენდერ-ფემინისტური-ზონდერ ჯგუფები / ზონდერ-გენდერები / სქესარეული ხალხი / გაურკვეველი სქესის წყვილები /
	იდენტობის ნიშნით დაკნინება	ფერადი ახალგაზრდა პიდარასტი ბიჭი / მოპუწკუნი მიხვრა-მოხვრით / საყურიანი ბიჭები / კაცად გადაკეთებული გოგონები / საყურეებიანი ლაზარე / კონჩიტების დედოფალი / ვიღაც საყურეებიანი პიდარასტები / საყურიანი კონჩიტა / კაცად გადაკეთებული გოგონები / პიდარასტივით გავლა / შილაკიანი და „კრუჟაოიანი“ ძუძუგადმოგდებული ბიჭები
	დეჰუმანიზაცია	გეი ნახირი / ადამიანის ცხოველიზაციის პროცესი / ცხოველის დონეზე დასვლის პარადი / ცხოველზე უარესები / საქონელი საზოგადოება / საქონლური აღვირახსნილობა / ღორები / ვიღაც უბედური / მახინჯი / სოციალურ ნაგავი / საღორის ტყის ბინადარი / ქათმები / მეტრაკეები / ვიღაც ცხოველებს შორის სიყვარული / ვიღაც გამოშტერებული ჯენზი გამოთაყვანებული / უკანალიები / საქონლური ცინიზმი / ქათმების ბრიგადირი / აყროლებულუ ქიუარ ჯოგი / დენაგავიზაცია /
	ანტიდასავ-ლური ანტილიბერა-ლური	ლგბტ ლიბერასტული სექტა / სრული გამოლიბერალური / გეი ვიღაცა ლიბერალი / ლიბერასტ-ფაშისტური ტელევიზიები / ლიბერალური დიქტატი / მედასავლეთე ლიბერასტები / სისხლიანი ლიბერასტული რეჟიმი / ლიბერასტიული მედიები / ცოტა მოლიბერასტო / მოლიბერასტო ელემენტები / თეთრკანიანი ლიბერასტები
	გეი ევროპა/ გარყვნილი დასავლეთი	გეი ევროპა ევროსოდომიტი კავშირის დროშა / ელგებეტე თანამეგობრობის გაძლიერება / გეი ევროკავშირი / პიდარასტული ევროპა / იმათთან პიდარასტობა კაია / ყველა პიდარასტი პროდასავლელია / ამერიკა თანამედროვე სოდომ-გომორი / ევროპა არის გარყვნილი / გაპიდარასტდა მთელი დასავლეთი / ცისფერი კოლექტიური დასავლეთის / შიგევროპელი ლიბერასტები / პიდარასტული ევროპული მომავალი /პიდარასტების კავშირი

II. სექსისტური სიძულვილის ენის / გენდერული სტერეოტიპიზაციის თვისებრივი ანალიზი

2.1. ანტიფემინიზმი/მიზოგინია

ერთწლიანმა მედია მონიტორინგმა ანტიფემინისტური და მიზოგინური განწყობების შემცველი 552 გზავნილი გამოავლინა, საიდანაც ყველაზე მეტი (500) ტრადიციულ მედიაზე მოდის, შედარებით ნაკლები, 52 – სოციალურზე.

სექსისტური გზავნილები ქალთა მოძრაობების, ქალი აქტივისტების და უფლებადამცველების, პოლიტიკოსი ქალების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებებს აღვივებდა. ქალებს მოიხსენიებდნენ შემდეგი ტერმინებით: „ფემინისტურ-ფაშისტური ზონდერები“[11], „სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ქალების რევოლუცია“[12], „გენდეროიდი ქალები“[13], „გიჟი ფემინისტები“[14], „ზონდერ ფემინისტები“[15], „ფემინისტი ნაბიჭვარი“[16].

ანტიფემინისტური/მიზოგენური სიძულვილ ენის მხრივ კრემლისტური პარტიები (კონსერვატიული მოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი) და მედია (სეზონი ტვ), ასევე, სასულიერო პირები გამოირჩეოდნენ. ფემინიზმი დასავლეთიდან თავხსმოხვეულ მოვლენად წარმოჩინდებოდა, რომელიც კაცის ჩაგვრასა და ოჯახების დანგრევაზე იყო ორიენტირებული და ანგარებითი მოტივით მკვიდრდებოდა. ხდებოდა ფემინიზმის საკითხის ევროინტეგრაციასთან, კერძოდ, ევროკაშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან მანიპულაციური დაკავშირება.

[11] სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან, 19 ივნისი, https://bitly.ws/3fUNi
[12] სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან, 5 ივნისი, https://bitly.ws/3fUNm
[13] ასავალ-დასავალი, 25 დეკემბერი – 7 იანვარი
[14] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 16 ოქტომბერი, https://bitly.ws/3fUNn
[15] სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 18 ივლისი, https://bitly.ws/3fUNs
[16] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 1 ნოემბერი, https://bitly.ws/3fR5a

დასავლეთი/ევროკავშირი ფემინიზმს და კაცების ჩაგვრას ახალისებს	**გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა:** „... ეს არის დასავლეთში დამკვიდრებული რაღაცა სიმახინჯე, კაცები დაკოდეს, ეს ფემინისტი ბოზი ქალები თავზე დაასვეს... ეგ არის ფემინისტების მახე, მაგ მახეში არ უნდა გავებათ ჩვენ“[17]. **გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა:** „ევროკავშირი საქართველოში გარყვნილების პროპაგანდას ეწევა, ფემინიზმს გვიმკვიდრებს, ანტიქრისტიანულ დღის წესრიგს გვიმკვიდრებს...[18]“
ლიბერალური ფემიზნიზმი/ ევროკავშირი ოჯახს მიზანმიმართულად ანგრევს	**გიორგი ქარდვა, კონსერვატიული მოძრაობა:** „იმხელა უპირატესობა მიანიჭა ქალს სისტემამ, ამ ლიბერალურმა ფემინისტურმა სისტემამ, რო კაცს დასავლეთში ეშინია ქალთან ურთიერთობაში შევიდეს. აქედან გამომდინარე აღარ იქმნება ოჯახი, აქედან გამომდინარე არ ჩნდება ახალი ადამიანი, ანუ არ ხდება გამრავლება და ეგეც, ეგ უნდათ, კაცო, გლობალისტებს, ლიბერალებს აბა საბოლოო ამოცანა“.[19] **ნიკოლოზ მუავანაძე, სეზონი ტვ-ის წამყვანი:** „ესე იგი, [ევროკავშირში] შეიძლება ისეთი კანონები მიგვაღებინონ, რომ კაცები, მაგალითად, ქალებთან ურთიერთობის დროს, ბაია პატარაიას ნებართვის გარეშე ვერ შევლენ ქალთან... ამათ ფემინისტურ-პიდარასტულ გარკვეულ აზროვნებას არა აქვს ზღვარი“.[20]
ფემიზნიზმის დამკვიდრება ანგარებით ხდება	**ერმილე ნემსაძე:** „...ორგანიზაცია „ფუჩუ“ პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ მოძრაობას, ეგ ფუნქცია გაქვთ, ქალის სასქესო ორგანოდ ხართ გადაქცეული, კახპები ხართ უბრალოდ, ფულის გამო ყველაფრის მკადრებლები ხართ რა“.[21]
ქართველებს გენდერული თანასწორობა სხვისგან არ ესწავლებათ	**ვაუა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „მე რა უნდა მასწავლო, გენდერობა? ხო და როდესაც შუშანიკ დედოფალი მყავდა წამებული და როცა ქეთევან წამებული მყავდა, ხო? და როცა მაია წყნეთელი და ქალი და კაცი ერთიანად იბრძოდა სჯულისთვის, ქრისტიანობის დასაცავად, სამშობლოს გადასარჩენად და ეხლა შემოაქვთ ე.ი. გენდერობა და რაღაც ამ გენდერობის იარლიყის ქვეშ შემოდის ეს სოდომისტური ცოდვის პროპაგანდა მასობრივად“.[22]
ნამდვილი ქალი ფემინიზმით არ მოიწამლება	**სტეფანე კალაიჯიშვილი, მიტროპოლიტი:** „ნამდვილი ქალი, ვინც ღირსეული ადამიანია, ის ფემინიზმის ბაცილით არ მოიწამლება[23]“.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპი მიზოგინიურ კონტექსტში განიხილებოდა, რა დროსაც მათი ტრადიციული როლების გადაფასება დასავლურ კონიუნქტურას მიეწერებოდა.

17 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 1 ნოემბერი, https://bitly.ws/3fR5a
18 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 20 დეკემბერი, https://bitly.ws/3fR54
19 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 27 დეკემბერი, https://bitly.ws/3fR5h
20 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 13 დეკემბერი, https://bitly.ws/3fR4M
21 Ermile Nemsadze, 3 მარტი, https://bitly.ws/3fAqt
22 ობიექტივი, სტუდია 8, 24 ნოემბერი, https://bitly.ws/3fR5q
23 ჭყონდიდის ეპარქია/Diocese of Chkondidi, 22 იანვარი, https://bit.ly/44dIYUj

აჩი ფურცელაძე, მომღერალი: „ჩვენთან არ არსებობს ქალის ინსტიტუტი, თუ როგორ უნდა მოუაროს კაცს... ქართველი ქალები „გაბლატავებულები“ არიან. დაამუღამეს გენდერული თანასწორობა და გითანაბრდებიან. რაღაც მომენტში უნდათ, რომ გაგასწრონ. „საკონტროლო პაკეტს“ მაინც კაცი უნდა ფლობდეს 51% – კაცი, 49% – ქალი...“[24]

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ-ის წამყვანი: „ამათ, ამერიკელებს რა უნდათ იცი? ქართველი კაცი იყოს მიმტანი... რომ გამოდიან ქუჩაში, ევროპაში გვინდაო, მართლა ევროპული იდეალები კი არ უნდათ, ქალებს უნდათ ბოზობა, კაცებს უნდათ ნარკოტიკები. აი ეს არის ევროპა.“[25]

გურამ ფალავანდიშვილი, ბავშთა დაცვის საზოგადოება: „რა ანბანური ჭეშმარიტების მტკიცება გვიწევს ამ „დასავლეთის“ გადამკიდე. ოჯახის თავი კაცი თუ არაა, ის ოჯახი დაკნინებულია“.[26]

სოციალური მედია და მიმები პარლამენტარი ოპოზიციონერი ქალების, უფლებადამცველების და საპროტესტო აქციების მონაწილეების დისკრედიტაციისთვის აქტიურად გამოიყენებოდა და ამ მხრივ, როგორც ხელისუფლებასთან დაკავშირებული, ასევე, ანტილიბერალური ფეისბუქ ანგარიშები აქტიურობდნენ. მაგალითად, ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური გვერდი „აგენტურა“ ნაციონალური მოძრაობის (თინა ბოკუაჩავა, ანი წითლიძე), ასევე, რესპუბლიკური პარტიის (ხათუნა სამნიძე), პარტიების „საქართველოსთვის“ (ანა ბუჩუკური)[27] და ლელოს (სალომე სამადაშვილი) წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმებს აქვეყნებდნენ, რომლებშიც ქალი პოლიტიკოსების სიძლიერეს ფოტომანიპულაციით აშარჟებდნენ[28]. ერთ შემთხვევაში, ასევე, ხდებოდა პარლამენტარი ქალების მიკრო დივებად მოხსენიება[29]. აღსანიშნავია, რომ სამივე პოსტი დასპონსორებული იყო[30].

„რომელი უფრო ძლიერი პოლიტიკოსია?“ – ანა გახარია vs გიორგი ბუჩუკური

„ძლიერი ქალები“ მისის პარლამენტი 2023

„ნაცების დამრტყმელი ძალა“ This micro Divas are coming to Parliament

24 სპლიტ-ნიუსი, 30 ნოემბერი, https://bitly.ws/3fAqE
25 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 24 ოქტომბერი, https://bitly.ws/3fUQd
26 გურამ ფალავანდი ᲚᲦ, 20 ოქტომბერი, https://bitly.ws/3fAmZ
27 აგენტურა, 5 ოქტომბერი, https://bit.ly/3TeqwXb
28 აგენტურა, 3 ნოემბერი, https://bitly.ws/3fR4p
29 აგენტურა, 20 სექტემბერი, https://bitly.ws/3fR3R
30 აგენტურა, ფეისბუქის რეკლამების ბიბლიოთეკა, https://bitly.ws/3fR6f

ოპოზიციონერი ქალი პოლიტიკოსები და აქტივისტები სექსისტური ენის სამიზნე მათი პროტესტის ან სოლიდარობის გამოხატვის გამო ხდებოდნენ. ულტრამემარჯვენე ფეისბუქ ანგარიში Ermile Nemsadze „დაუკმაყოფილებელ ქალებად“ და „ერის პრობლემად“[31] სახავდა მარტის საპროტესტო აქციების მონაწილე ქალ პოლიტიკოსს, ეკა ბესელიას და სხვა აქტივისტებს, ვინც არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ კანონს აპროტესტებდნენ; მეორე შემთხვევაში კი ოპოზიციონერ ქალებსა და უფლებადამცველებს უკრაინის დროშით სოლიდარობის გამოხატვის გამო სექსისტური კომენტარით აქილიკებდა[32].

„ეკა ბოსელია და ქალები როგორც ასეთი... დაუკმაყოფილებელი ქალები ერის პრობლემად გვექცა“.

„ქალთა პატრიოტული ორგანიზაცია საქართველოში „თავისუფლება უპრაინას და ფუჩუს“.

მარტის საპროტესტო აქციების შემდეგ ზოგადად აქტივიზმის მიზანმიმართული დისკრედიტაცია ხდებოდა. „ქართველი ლიბერალი გოგოს“, „ქართველი ბანძი გოგო აქტივისტის starter pack“ შესახებ პოსტებს სახელისუფლები ფეისბუქ ანგარიშები, „პოლიტიკური სატირა“[33] და „ტერენტი გლდანელი“[34] აქვეყნებდნენ. „ქართველი ლიბერალი გოგოს მხილების“ ვიდეო ანიმაცია კი დასპონსორებული სახით ვრცელდებოდა.

31 Ermile Nemsadze, 18 მაისი, https://bitly.ws/3fUPA
32 Ermie Nemsadze, 9 ივნისი, https://bitly.ws/3fAjP
33 პოლიტიკური სატირა / Political Satire, 29 აგვისტო, https://bitly.ws/3fUNE
34 ტერენტი გლდანელი, 15 ივნისი, https://bitly.ws/3fUPk

სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატები იყვნენ ის ქალებიც, რომლებიც სექსუალური შევიწროების ფაქტებზე საჯაროდ საუბრობდნენ. ამასთან, რიგ შემთხვევებში სხვადასხვა წყაროები სექსუალური შევიწროვების მსხვერპლი ქალების ბრალდებებს[35] ეჭვქვეშ აყენებდნენ და პოლიტიკურად მოტივირებულად აფასებდნენ. ამ მხრივ, სექსუალურ შევიწროვებაში მხილებული, სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის Postv-ის დირექტორი, შალვა რამიშვილი[36] და მისი მხარდამჭერები, მათ შორის, მმართველი პარტიიდან, გამოირჩეოდნენ.

ლალი მოროშკინა, „ძლიერი ქალი, ძლიერი სახელმწიფო“: **„გადაავსეს ციხეები ვითომ მოძალადე კაცებით, ირჩევენ სამიზნეს და ორკესტრირებულად ანადგურებენ. რას გავხართ, რას? ყველა უღირსმა მეძავმა ხმა ამოიღო. ჩემი თაობის მამაკაცები ომმა და წამალმა შეიწირა, ჩემი შვილების თაობას სამ გროშიანი კიკუების მდედრიონი ანადგურებს!“**[37]

შალვა რამიშვილი, პოსტვ-ის წამყვანი: **„დღეს სხვათა შორის ვიდეოებში შემხვდა ქალბატონი, რომელიც ჩემს მსხვერპლად მუშაობს, კარადაში რომ ზის ხანდახან, ის ადამიანი ახლა არის პოლიტიკური მიმომხილველი, პატიჟებენ და პოლიტიკურ სენსიტიურ თემებზე აკეთებს კომენტარებს“.**[38]

გია ვოლსკი, ქართული ოცნება: **„... ეს არის გამიზნული, კარგად ჩამოყალიბებული სტრუქტურული შეტევა, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ფაქტებიც, რომელიც 8 თუ 9 წლის წინ მოხდა, მაგრამ ამაზე აგებულია კარგად გამიზნული, ორგანიზებული პიარშეტევა[39]“.**

2.2. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა

მონიტორინგის პერიოდში ტრადიციულ მედიაში – მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის შემცველი 910 კომენტარი/პოსტი, ხოლო სოციალურში 805 გამოვლინდა.

მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა ძირითადად, პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიურ ქალებზე მათი დისკრედიტაციის მიზნით ხორციელდებოდა.
ოპოზიციონერ ქალებს ტერმინებით „აწყვეტილი ქალი“[40], „მეძავი“[41], „აშვებული“[42], „დასაბმელი“[43], „5-ლარიანი ძუკნები[44]“ მოიხსენიებდნენ. დასავლელი პოლიტიკოსები/დიპლომატების მიმართ

35 on.ge, 21 მარტი, კიდევ 3 ქალი შალვა რამიშვილს სექსუალურ შევიწროებაში ამხელს, https://bit.ly/3wDI6fv
36 ნეტგაზეთი, 27 მარტი, სახელმწიფო თათია სამხარაძის წინააღმდეგ, https://bitly.ws/3fUMZ
37 Split News, 31 მარტი, https://bitly.ws/3fAqU
38 პოსტვ, სამნი და კო, 8 მაისი, https://bitly.ws/3fUN7 (ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის)
39 რეზონანსი, 29 მარტი, https://bitly.ws/3fAnc
40 სეზონი ტვ, დღის შეჯამება, 17 ივლისი, https://www.myvideo.ge/?video_id=4192239
41 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 1 ნოემბერი, https://www.myvideo.ge/v/4206383
42 სეზონი ტვ, დღის შეჯამება, 17 ივლისი, https://www.myvideo.ge/?video_id=4192239
43 სეზონი ტვ, დღის შეჯამება, 30 ოქტომბერი, https://www.myvideo.ge/v/4205992
44 სეზონი ტვ, დღის შეჯამება, 3 მარტი, https://www.myvideo.ge/v/4166607

კი შემდეგი ტერმინები გამოიყენებოდა: „წარმატებული ბოზობისთვის[45]“, „ახუნტრუცებულები[46]“, „სექსუალურად გაუკუღმართებულები“[47].

სლატშეიმინგი. სექსისტური სიძულვილის ენის ფორმა „სლატშეიმინგი“ (მრუშობით შერცხვენა) მორალური კრიტერიუმებით თავდასხმისას აქტიურად გამოიყენებოდა და მას ოპონენტი ქალების მიმართ როგორც მმართველი პარტიის წარმომადგენლები და ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური გვერდები, ასევე, კრემლისტური და ულტრამემარჯვენე აქტორებიც მიმართავდნენ.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის საქმიანობის კრიტიკას პარლამენტის დამოუკიდებელი ქალი დეპუტატის, თეონა აქუბარდიას მხრიდან მის მიმართ კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი ბერაიას სექსისტური სიძულვილის ენა მოჰყვა;[48] ხოლო ნაციონალური მოძრაობის დეპუტატის, ანი წითლიძის შემთხვევაში დისკრიმინაციული განცხადებები მმართველი პარტიის წარმომადგენელმა, ალუდა ღუდუშაურმა მის მიმართ შეურაცხმყოფელი რეპლიკის საპასუხოდ გამოიყენა.[49]

ირაკლი ბერაია, ქართული ოცნება: **„...როდესაც საქართველოს საკითხი [ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე] გადიოდა, [თეონა აქუბარდია] არცერთხელ დარბაზში არ მჯდარა, იყო გაქცეული, ან შოპინგზე ან მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, პახმელიაზე ბალიშიდან ეზარებოდა თავისი წამოწევა... რეალური მიზეზი, რის გამოც ქალბატონი აქუბარდია ყოველთვის მოიხსენიებს ბოლო ერთი წელია ჩვენს კომიტეტს და მეც არც თუ ისე, რა თქმა უნდა, სახარბიელოდ... არის ის, რომ მას არ ეძლევა სხვადასხვა პლატფორმების დეზინფორმაციისთვის გამოყენების საშუალება, მისნაირებთან და ვიღაც ვიღაცეებთან სელფების გადაღების და გაფეისბუქების საშუალება, აეროპორტის ლაუნჯებში შესვლის, იქ გასკდომის და გამოთრობის საშუალება და გაშხლართვის... მოვუწოდებ ამ ადამიანს მისი გრძელი და ყველგან ნამყოფი ენით ჩემი და ჩემი კომიტეტის სახელის ხსენებისგან თავი შეიკავოს.“**[50]

ალუდა ღუდუშაური, ქართული ოცნება: **„...დღედაღამ შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს ანა წითლიძე და ძლივს ერთი ბოტასი ჩაიხუტა [სააკაშვილის]... იმ ქალების ჩამონათვალშიც ვერ ჯდები, ვისაც სააკაშვილი ევასებოდა და დაწყნარდი ეხლა, წადი ეხლა აქედან რა, წადი, შე ბანძო, გაიარე ეხლა რა.“**[51]

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ-ს წამყვანი: „...[ანი წითლიძე, თეონა აქუბარდია] ბოზანდარები არიან და პრასტიტუტკები არიან და თქვა კიდევაც ამ კაცმა [ბერაიამ, ღუდუშაურმა],

---

45 სეზონიTV, დღის შეჯამება, 29 ივნისი, https://www.myvideo.ge/v/4189274

46 სეზონი ტვ, დღის შეჯამება, 28 ივლისი, https://www.myvideo.ge/v/4194891&rc=1

47 სეზონი ტვ, დღის შეჯამება, 25 სექტემბერი, https://www.myvideo.ge/v/4200210

48 რადიო თავისუფლება, 1 ნოემბერი „მოუწევთ ბერაიას და ღუდუშაურს თავის მართლება სექსუალური შევიწროების საქმეზე?“, https://bit.ly/3TrDuSO

49 ნეტგაზეთი, 31 ოქტომბერი, „წითლიძემ ღუდუშაურს პარლამენტში დებილი უწოდა, მან ქალ დეპუტატს სექსისტური ფრაზით უპასუხა“, https://bitly.ws/3fV5w

50 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 1 ნოემბერი, https://www.myvideo.ge/v/4206391

51 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 1 ნოემბერი, https://www.myvideo.ge/v/4206391

რომ ენა ნამყოფიო და გაშხლართული... სპლაშნოი სექსები აქვთ, უცხოეთში რომ დადიან... და მეც ვეთანხმები – არიან ბოზები."[52]

შოთა მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა: „...აი, ვიღაც ბოზი როა, მაგის მიმართ უნდა მოიქცე, როგორც მანდილოსნის მიმართ... თან ის რო მუშტებს იქნევს, ის ქალი და იფურთ-ხება... ვიღაცა შმარები [ხათუნა სამნიძე, ანი წითლიძე, თეონა აქუბარდია] რაღაცას ყვირიან პარლამენტში. ვიღაცამ იქიდან პასუხი გასცა, ისიც ძალიან მოკრძალებული ფორმით. რა ორდღიანი ისტერიკა აწიეთ..."[53]

მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვის სუბიექტი იყო საქართველოს პრეზინდეტი, სალომე ზურაბიშვილიც, რომლის მიმართ სექსისტური სიძულვილის ენა პრეზიდენტის მიერ ოპოზიციური არხის დირექტორის შეწყალებას[54], ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის კრიტიკას,[55] ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლას[56], კანდიდატის სტატუსის მხარდასაჭერი ევროპული ტურნეს გამო იმპიჩმენტის პროცესის ინიცირებას[57] და პარლამენტარი ქალების მიმართ მმართველი პარტიის სექსისტური ენის ნეგატურად შეფასებას[58] უკავშირდებოდა. მას „კახპად"[59], „შვილის ნათლიაზე გათხოვილად[60]", „ვნებას აყოლილად"[61] და „ავხორცად"[62] მოიხსენიებდნენ. ზოგ შემთხვევაში თავდასხმის ობიექტი ის პრეზიდენტ სააკაშვილის შეწყალების შესაძლებლობის გამო იყო.

გელა ზედელაშვილი, ასავალ-დასავალის ჟურნალისტი: „...ისე, სალომე ბაბო, ამ საახალწ-ლოდ არ შეიწყალო [სააკაშვილი], თორემ ორბელიანების სასახლე კი არა, ბიძია თომას ქოხიც სანატრელი გაგიხდება. ჰო, კიდევ: ფეხი ჩამოიღე, თორემ მაგ მითხრა-მითხრაში უკვე ეგ შენი დამპალი ამინისტიაც გიჩანს!"[63]

სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ სლატშეიმინგი სოციალური მედიითაც ხორციელდებოდა და ამ მხრივ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური გვერდები – Gen Z თაობა[64], „პოლიტიკური აბსურდი", „აგენტურა" და „ტერენტი გლდანელი", ასევე, მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა" ლიდერთან, ვატო შაქარიშვილთან დაკავშირებული „არ აგარევინებთ" აქტიურობდნენ. ასეთი შეტევები ოპოზიციური „მთავარი არხის" დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას შეწყალების შემდეგ განსაკუთრებით გამძაფრდა.

52 სეზონი, ნიკოლოზ მჟავანაძის დღის შეჯამება, 1 ნოემბერი, https://bitly.ws/3fArA
53 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 1 ნოემბერი, https://www.myvideo.ge/v/4206385
54 პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალა, რადიო თავისუფლება, https://bitly.ws/3fAob
55 პუბლიკა 26 მაისი, პრეზიდენტის კრიტიკული სიტყვა ხელისუფლებისადმი დამოუკიდებლობის დღის ცერემონიაზე. https://bit.ly/43hrF4K
56 ნეტგაზეთი, 31 მაისი, ევროპარლამენტარების გამოხმაურება ზურაბიშვილის სიტყვაზე, https://netgazeti.ge/news/672520/
57 რადიო თავისუფლება, 18 ოქტომბერი, პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ შედგა, https://bitly.ws/3fVUI
58 ფორმულა, 31 ოქტომბერი, „მიუღებელია, სირცხვილია, ჩემი სოლიდარობა ქალებს" – პრეზიდენტი დეპუტატების შეურაცხყოფაზე https://bit.ly/4ciR2qO
59 Ermile Nemsadze, 20 მაისი, https://bitly.ws/3fAnX
60 Ermile Nemsadze, 10 სექტემბერი, https://bitly.ws/3fAo5
61 საქართველო უპირველეს ყოვლისა • Georgia First, 19 ოქტომბერი, https://bitly.ws/3fAo7
62 სეზონი, ნიკოლოზ მჟავანაძის დღის შეჯამება, 1 ნოემბერი, https://bitly.ws/3fAog
63 ასავალ-დასავალი, 18-24 დეკემბერი
64 ფეისბუქ ანგარიში 2023 წლის მაისიდან ხელმისაწვდომი არ არის

„ლეგენდის თანახმად, საფრანგეთში 17 საუკუნის მიწურულს, პატიმარს შიმშილით სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა პატიმარი წლების განმავლობაში არ კვდებოდა, მიზეზი იხილეთ ფოტოზე[65]“.

„როცა სულ დედის მუ***ს გაგინებს, მაგრამ შეგიყვარდა[66]“.

სახელისუფლებო ფეისბუქ გვერდები – „არ აგარევინებთ[67]“ და „აგენტურა“[68] – გარკვეულ შემთხვევებში პრეზიდენტის პირად ცხოვრებაზე აკეთებდნენ სექსისტურ კომენტარებს და ამ მიზნით ზურაბიშვილის წინააღმდეგ თავად ნიკა გვარამიას შეურაცხმყოფელ საარქივო განცხადებებსაც („რეზიდენტი *ლექალა“) იყენებ დნენ.

პრეზიდენტის წინააღმდეგ პოსტების ნაწილი ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ფეისბუქ გვერდებს (აგენტურა და არ აგარევინებთ) დასპონსორებული ჰქონდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის ტელეკომპანია „იმედმა“ ნიკა გვარამიას საარქივო ჩანაწერი[69], სადაც ოპოზიციური „მთავარი არხის“ დირექტორი პრეზიდენტს „რეზიდენტ @ლექალად“ მოიხსენიებს, ფეისბუქზე მისი გათავისუფლების დღეს გამოაქვეყნა და დაასპონსორა კიდეც, თუმცა ფეისბუქის რეკლამის ბიბლი-

„დაჭრიჭინებდა დახტოდა, გათხოვდა მერე გაბოზდა“.

„რეზიდენტი *ლექალა“, გამოსახულია სალომე ზურაბიშვილის ფოტომანიპულაცია წარწერით: „როცა საკუთარ ნათესავს გაყევი ცოლად, პრეზიდენტი გახდი და ახლა ხალხთან ხარ, მაგრამ მაინც ცოტა ზევით...“

65 არ აგარევინებთ, 23 ივნისი, https://bit.ly/49UXnHC
66 არ აგარევინებთ, 25 ივნისი, https://bit.ly/49WqU3t
67 არ აგარევინებთ, 1 ივლისი, https://bitly.ws/3fAof
68 აგენტურა, 6 ოქტომბერი, https://bitly.ws/3fV2Z
69 ტვ იმედი, 22 ივნისი, https://www.facebook.com/tvimedi/videos/811046283598492

ოთეკის თანახმად, პლატფორმის საზოგადოებრივი წესების დარღვევის გამო ამ ვიდეოს რეკლამირება შეჩერებულია.



ტელეკომპანია „იმედის“ რეკლამა ფეისბუქზე შეჩერებულია

ანონიმური ფეისბუქ ანგარიში „აგენტურა“ ოპოზიციონერი ქალების ანა წითლიძის[70] და ელენე ხოშტარიას[71] წინააღმდეგ სექსიტურ ფოტომანიპულაციებს ავრცელებდა, სადაც მათი დაცინვა სხეულისა და სექსუალობის ნიადაგზე ხდებოდა.

„ანა წითლიძე: ჩემთან სულ გამოწვევები და სიახლეებია. „თუ არ გაქვს პირადი ცხოვრება, ესე იგი, არ გინდა“.

„ლიაკას პატრონი არ ყავდა თორე ახლა ასეთი გოგო უნდა იყოს“.

70 აგენტურა, 29 აგვისტო, https://bitly.ws/3fV3F
71 აგენტურა, 29 დეკემბერი, https://bit.ly/4chBbJd

მრუშობით შერცხვენის ხშირ სამიზნეს წარმოადგენდნენ ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული ქალები. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე მისი დედა, გიული ალასანია იყო. ალასანიას წინააღმდეგ მიმართულ გზავნილებში სლატშეიმინგთან ერთად გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვა და ეიჯისტური შეფასებებიც გვხვდებოდა.

> ბაჩო ოდიშარია, პოსტვ-ის წამყვანი: **„ეს პერვერსიული ქალბატონი [გიული ალასანია], ეს თვითგამოცხადებული ლოლიტა.“**[72]

როგორც ხელისუფლებასთან დაკავშირებული (აგენტურა[73], „პოლიტიკური სატირა“),[74] ასევე, კონსერვატიული („კოსერვატიული ფლანგი“[75]) ანონიმური ფეისბუქ გვერდები აქვეყნებდნენ ფოტოფაბრიკაციებს და მიმებს, სადაც ალასანიასთან ერთად პრეზიდენტის და კაცი პოლიტიკოსის (გუბაზ სანიკიძის) სექსუალობის გაქილიკება, ასევე, გიული ალასანიას მრუშობით შერცხვენა ხდებოდა, რაც ექს-პრეზიდენტის დედის ნაციონალური მოძრაობის წევრ გიორგი ჩალაძეზე დაქორწინების შესახებ მოარულ ჭორებს უკავშირდებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში პოსტებს უხამსი კომენტარებიც ახლდა თან.

კვლევა: ყველაზე სექსუალური ქალი პოლიტიკოსი
გუბოზ სანიკიძე – 96%, გიული ალასანია – 69%, სალომე ზურაბიშვილი – 6.9%

„მიშას დედ-მამა, 20 ივლისიდან კინოთეატრებში“

მიშას ყავს ყველაზე დედისმ***ნელი ექიმი

---

72 პოსტვ, სამი და კო, 19 ივლისი, https://www.myvideo.ge/v/4192606
73 აგენტურა, 13 ნოემბერი, https://bit.ly/3TD7kDO
74 ტერენტი გლდანელი, 28 ივლისი, https://bitly.ws/3fV6p
75 კოსერვატიული ფლანგი, 18 იანვარი, https://www.facebook.com/konservatori1/posts/192692920011665

„ტაბულას“ ყოფილი რედაქტორის, ამჟამად პარტია „ევროპული საქართველოს“ წევრის, თამარ ჩერგოლეიშვილის წინააღმდეგ სლატშეიმინგს სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის POSTV-ანალიტიკას,[76] ანონიმური ფეისბუქ გვერდების, „ქვეყნის მტრები[77]“ და „აგენტურა“[78] მხრიდან ჰქონდა ადგილი. ვრცელდებოდა ვიდეო, რომელშიც მანიპულაციურად იყო ამოჭრილი ის ფრაგმენტი, სადაც ჩერგოლეიშვილი ცეკვის სწავლის გამოცდილებას იხსენებს. მანიპულაციურად ამოჭრილი ფრაზა – „ვიკარგებოდი ჩემს მასწავლებელ გიორგი ხავთასთან ერთად 1 საათი დარბაზში და იქიდან გამოვდიოდი ოფლიანი“ – მცდარ კონტექსტში ვრცელდებოდა. ამასთანავე, „აგენტურის“ პოსტი დასპონსორებული იყო.



„ვისთან იკარგებოდა ჩერგო“?



„ბოკერიამ რა არიო“

თამარა და ცეკვის მასწავლებელი

სლატშეიმინგის სამიზნე მომღერალი, ირმა სოხაძე სკოლებში სექსუალური განათლების დანერგვის მნიშვნელობაზე საჯარო საუბრის გამო გახდა[79]. ამ თემაზე პოსტებს ულტრამემარჯვენე ფეისბუქ გვერდები, „საქართველო უპირველეს ყოვლისა“[80] და „კონსერვატიული ფლანგი“[81] აქვეყნებდნენ. ამ უკანასკნელს ევროკავშირის დროშა მანიპულაციურად, დასავლეთიდან თავსმოხვეული გარყვნილების საილუსტრაციოდ ერთვოდა.

„ქალბატონო ირმა [სოხაძე], როგორც მახსოვს კომუნისტების დროს თქვენ მიერ მიღებული ადრეული სექსუალური განათლებიდან მიღწეულ შედეგებზე მიდიოდა სერიოზული საუბრები და ეხლა ამ ბავშვებს მაინც დაანებეთ თავი და ერთი კარგად გაიგეთ, რასაც სექსუალურ თავისუფლებას ეძახით ეგ იგივე სხეულით ბოზობაა“.

ყოველ კვირას სექსის გაკვეთილები ტრენერი ირმა სოხაძე

76 POSTV – ანალიტიკა, 8 დეკემბერი, https://bitly.ws/3fAom
77 ქვეყნის მტრები, 8 დეკემბერი, https://bitly.ws/3fAon
78 აგენტურა, 8 დეკემბერი, https://bitly.ws/3fV5b
79 პალიტრავიდეო, 17 ნოემბერი, https://bitly.ws/3fArN
80 საქართველო უპირველეს ყოვლისა, 12 დეკემბერი, https://bitly.ws/3fArR
81 კონსერვატიული ფლანგი, 14 დეკემბერი, https://www.facebook.com/photo/?fbid=342694018517492&set=a.257548357032059

ანტისახელმწიფოებრივი/ანტიეროვნული/ანგარებიანი ქმედება. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმები მხოლოდ ადრესატი ქალების მრუშობით შერცხვენას არ მოიცავდა. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ქალებს ფინანსური ინტერესების სანაცვლად, ეროვნული ინტერესების უგულებელყოფაში და უცხო ქვეყნების ინტერესების გატარებაში ადანაშაულებდნენ, ზოგჯერ მათ დასავლური კონსპირაციის აგენტებადაც კი განიხილავდნენ.

გზავნილების ხშირ სამიზნეს კვლავაც საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი წარმოადგენდა, რაც ძირითადად „მთავარი არხის" დამფუძნებლის შეწყალებას და საგარეო კურსთან დაკავშირებით მის განცხადებებს უკავშირდებოდა. მას „გენეტიკურ მოღალატეს"[82], „დასავლურად შეფუთულს"[83], „უცხოტომელ დედაკაცს",[84] „არაქართული საქმის მკეთებელს"[85] უწოდებდნენ, გარკვეულ შემთხვევებში კი მის იმპიჩმენტსაც ითხოვდნენ. ამ მხრივ, როგორც კრემლისტური აქტორები (ალტ-ინფო, Publicist.ge[86]), ასევე, სახელისუფლებო ანონიმური ანგარიშები (პოლიტიკური სატირა,[87] არ აგარევინებთ[88]) გამოირჩეოდნენ.

ზურა მახარაძე, ალტ ინფო-ს წამყვანი: „უცხო ქვეყნის აგენტი დაგვისვით პრეზიდენტად და მაგ ქალს რა უნდა მოვთხოვოთ?"[89]



დაიწყოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტი! „უცხოური გავლენის აგენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამიას შეწყალებით სასტიკად შეურაცხყო საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი... უცხოელ პარტნიორთა დავალებისამებრ, სალომე ზურაბიშვილმა მიიღო საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება... ეს არის „ქართული ოცნების" ამომრჩევლების ღალატი...

„ეროვნება – ნახევრადფრანგი, პროფესია – აგენტი [შეთავსებით პრეზიდენტი] ხასიათით – ალქაჯი მოწოდებით – მოღალატე"

სალი დეგნანი

82 სეზონი ტვ, დღის შეჯამება, 1 ნოემბერი, https://www.myvideo.ge/v/4206285&rc=1
83 საქართველო და მსოფლიო, 29 ივნისი, http://geworld.ge/ge/mfutavni/
84 ასავალ-დასავალი, 27 ნოემბერი – 3 დეკემბერი
85 რეზონანსი, 14 დეკემბერი, https://bitly.ws/3fVFh
86 Publicist.ge, 27 მაისი, https://bitly.ws/3fV8q
87 პოლიტიკური სატირა/ Political Satire, 23 ივნისი, https://bit.ly/4cg9qRk
88 არ აგარევინებთ, 26 ივნისი, https://www.facebook.com/100087663338616/posts/217587907839986/
89 ალტ-ინფო, რეალპოლიტიკა, 22 ივნისი, https://www.myvideo.ge/?video_id=4187532

ლელოს წევრის სალომე სამადაშვილის ქვეყნის მტრად და „ტუტუც ალქაჯად“ მოხსენიება კი („პოლიტიკოსები 1 ლარიდან[90]“) უკრაინის სოლიდარობის ნიშნად ოპოზიციონერი პარლამენტარის მიერ უკრაინის დროშის სიმბოლიკის ტარებას უკავშირდებოდა.

დაეთრევიან უცხო ქვეყანაში უცხო ქვეყნის სიმბოლიკით.
ეს მხარდაჭერა აღარ არის, ეს არის ყველაფერი საკუთარის ზიზღი.
კიდევ ერთი ტუტუცი – ალქაჯი სამადაშვილი.

მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვის სუბიექტი გახდა მმართველი პარტიის წარმომადგენელი, გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი, პრაიდის ჩაშლასთან დაკავშირებით მისი ნეგატიური გამოხმაურების გამო[91]. წილოსანის ქალობის და დედობის ეჭვქვეშ დაყენების გარდა, ამ ქმედების ანტიქართულად და ანტიეროვნულად შეფასება მოხდა[92]. ყოფილი სახალხო დამცველის, ნინო ლომჯარიას ქვეყნის და დედაეკლესიის მტრად გამოცხადება სასულიერო პირის[93] მხრიდან და მუქარები მის დაპატიმრებაზე კი, ნინოწმინდის პანსიონში ბავშვთა უფლებების ხელყოფის გამო დაწესებულების დახურვის მოთხოვნას და ამ თემაზე გავრცელებულ 2021 წლის დეზინფორმაციას[94] უკავშირდებოდა.

90 პოლიტიკოსები 1 ლარიდან, 25 მაისი, https://www.facebook.com/100053734415935/posts/807442484139465/
91 ტაბულა, 9 ივლისი, https://bitly.ws/3fAjC
92 Ermile Nemsadze, https://bitly.ws/3fAjJ
93 მამა სპირიდონ ცქიფურიშვილი, 4 სექტემბერი, https://bitly.ws/3fAjS
94 მითების დეტექტორი, 24 ნოემბერი. კრემლისტური და სახელისუფლებო პლატფორმები ნინო ლომჯარიას და ტვ ფორმულას წინააღმდეგ დეზინფორმაციას ავრცელებენ, https://bit.ly/3wTNUI3

Ermile Nemsadze, 10 ივლისი: „[ნინო წილოსანი] ქოცი ქალი როგორც ასეთი... 3 შვილის დედა, ბიზნეს Lady და პოლიტიკ Women-ი... ვერ გათხოვდი ქალზე ან ვერმოიყვანე ცოლი თუ ასე გიჟდებოდი ამ გარყვნილებაზე, სამშვილს რაღას აჩენდი? ეს არის რეალური სახე ქოცნაცების არანაირი ზნეობა, არანაირი მორალი, არანაირი პატიოსნების და რწმენის ნატამალი, შუშის თვალებით დაყენებული პოზა და ბარბაროზმებით ტლიკინი კამერებთან არა აგრესიას... შინაგანად კი დაუფარავი ზიზღი და სიძულვილი ყველაფერი ქართულის და ეროვნულის მიმართ...“

მამა სპირიდონ ცქიფურიშვილი: “...ნუ გეშინია ნინიჩკა [ლომჯარია], როგორც შეგპირდი ქალთა კოლონიაში მოგინახულებ და დაგეხმარები ქვეყნისა და დედაეკლესიის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტების მონანიების შემთხვევაში“.

„ლგბტ პროპაგანდისტობაში“ და უცხო ღირებულებების იძულებით თავსმოხვევაში ანონიმური სახელისუფლებო ფეისბუქ გვერდი, „აგენტურა“ ამერიკის ელჩს, კელი დეგნანს ადანაშაულებდა[95] და ამ თემაზე ვიზუალურ მანიპულაციებსაც ავრცელებდა, რომელთაგან ერთ-ერთში ის ჟურნალ Vogue-ს გარეკანზე ლგბტ და ნაცისტური სიმბოლიკით მანიპულაციურად იყო გამოსახული[96]. აგენტურის ორივე პოსტი დასპონსორებული სახით ვრცელდებოდა.

[95] აგენტურა, 6 ივლისი, https://bit.ly/4ak11KZ
[96] აგენტურა, 13 ივლისი, https://bit.ly/3TDmhFO



#LGBTპროპაგანდისტი კელი დეგნანი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი!

SOS საქართველოში ახალი „ნამესტნიკი“ დაინიშნა

ქართველი მომღერლის, ნანი ბრეგვაძის გადაწყვეტილებას დრაგბოლში მონაწილეობის შესახებ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური ანგარიშები ქვეყნის შეურაცხყოფად და თავსმოხვეულ მოვლენად წარმოაჩენდნენ, რა დროსაც „აგენტურის“ ვიზუალურ მანიპულაციას[97] ევროკავშირის ლოგო ჰქონდა დართული; ფეისბუქ ანგარიში „მ****ნთ მოქალაქეთა კავშირი“ კი ნანი ბრეგვაძეს „დრაგქვინად“ და „მონად“ მოიხსენიებდა, რის საილუსტრაციოდაც რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინთან ერთად გადაღებულ მომღერლის საარქივო ფოტოს აქვეყნებდა.[98]

ეს არის LGBT ორგანიზაციების ვერაგული, პროპაგანდისტული ნაბიჯი. ნანი ბრეგვაძეს მისდამი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამო, ქართულმა საზოგადოებამ სააკაშვილის გათავისუფლების კამპანიაში მონაწილეობაც კი აპატია, მაგრამ მისი მხრიდან მსგავს ამორალურ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, მთელი ქვეყნის შეურაცხყოფა იქნება.



„მონობა ქართულად“ Leni Aznavour: დრეგქვინი და ბორისკა... ერთ დროს რუსეთებშიც კარგად გრძნობდა თავს, მერე უბრალოდ ევროპის ფინანსებმა უკეთესი ოფორთუნითი გაუხსნა“.

[97] აგენტურა, 19 დეკემბერი, https://bit.ly/3PpRJ7Z

[98] მოგიტყანთ მოქალაქეთა კავშირი, 23 დეკემბერი, https://bitly.ws/3fVah

2.3. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა

2023 წელს გენდერული სტერეოტიპით გაკიცხვის შემცველი 500 გზავნილი გამოვლინდა, მათგან ტრადიციულ მედიაში – 401, ხოლო სოციალურში – 99.

ქალების აქტივობა, მათ შორის მწვავე საკითხებზე პროტესტის გამოხატვა, სტერეოტიპულად ფასდებოდა, რა დროსაც შემდეგი გზავნილები მკვიდრდებოდა:

- ქალები ისტერიულები არიან, პოლიტიკოსი ქალების ქცევა გაუწონასწორებელია;
- პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური ქალები სექსუალურად დაუკმაყოფილებლები არიან, კაცის ხელი აკლიათ;
- ქალის ნდობა არ შეიძლება და საქმე კაცთან უნდა გაარჩიო;
- ქართველი ქალის ადგილი ოჯახშია/ქალმა მისი ადგილი უნდა იცოდეს;
- ქალი მოკრძალებულად უნდა შეიმოსოს, მოდას არ აჰყვეს.

ქალები ისტერიულები არიან, პოლიტიკოსი ქალების ქცევა გაუწონასწორებელია

გზავნილებში, სადაც გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის ელემენტებს ვხვდებით, ქალებს ძირითადად დამკვიდრებულ ნორმებთან შეუთავსებელ ქცევასა და გამოხატვის ფორმებს უწუნებენ. ამ მხრივ, მარტის მოვლენებთან ერთად, განსაკუთრებული განხილვის საგანი იყო ოპოზიციონერი ქალების დებატები მმართველი პარტიის კაც დეპუტატებთან, ასევე, მინისტრ თეა წულუკიანის პარლამენტში გამოსვლის ეპიზოდიც[99], როდესაც ქალმა დეპუტატებმა მისი სიტყვით გამოსვლისას, პროტესტის ნიშნად ბანერი წარწერით "Русский военный корабль, иди н..уй"! გაშალეს, რასაც, მათ მიმართ სექსისტური კომენტარები მოჰყვა. რიგ შემთხვევებში ისინი „ცოფიან დედაკაცებად[100]" და „სასქესო ორგანოს ფორმის ტიპებად"[101] მოიხსენიებოდნენ.

ქალების ისტერიულობის და ეგზალტირებულობის შესახებ გზავნილს როგორც მმართველი პარტიის წარმომადგენლები, ასევე სხვა აქტორებიც ახმოვანებდნენ.

> შალვა პაპუაშვილი, ქართული ოცნება, პარლამენტის თავმჯდომარე: **„ეს არის დისკრედიტაცია, მათ შორის, ქალის როლისა პოლიტიკაში, როდესაც მთავარი როლი, რაც მათ აქვთ მოსხმული, ეს არის ისტერია, რადიკალიზმი... ვფიქრობ, ეს ქალი დეპუტატები... ჩრდილს აყენებენ ქალის როლს პოლიტიკაში და მათი გამოისობით ხდება ისეთი აღქმის ჩამოყალიბება, თითქოს ქალს პოლიტიკაში შეუძლია მხოლოდ ისტერიის მოწყობა და რადიკალიზმი".**[102]

---

99 ნეტგაზეთი, „წულუკიანის გამოსვლისას პარლამენტში ბანერი გაშალეს", 20 სექტემბერი https://netgazeti.ge/news/688373/

100 ასავალ-დასავალი, 25 სექტემბერი – 1 ოქტომბერი

101 სეზონი, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 21 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4200041&rc=1

102 რეზონანსი, 21 სექტემბერი, https://bitly.ws/3fAhR

ზაზა პაპაუაშვილი, ქართული ოცნება: „ეს [სალომე ზურაბიშვილი] არის უსირცხვილო ქალი, ცუდად გაზრდილი „ისტერიჩკა“.[103]

მაია ბითაძე, ქართული ოცნება: „90-იან წლებში იყო ასეთი ტერმინი – „მდედრიონი“. ეს იყო ეგზალტირებულ ქალთა გაერთიანება, რომელთა წვლილი თბილისში სამოქალაქო ომის დაწყებაში ძალიან დიდი იყო... ქალს, ზოგადად, აქვს დედის ინსტიქტი და მშვიდობა სურს, მაგრამ ჩვენს ოპოზიციონერ ქალბატონებს ეს ინსტიქტი, როგორც ჩანს, გამქრალი აქვთ და ვაგნერელებადაც კი იქცნენ მათ მხარდამჭერებად“.[104]

პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური ქალები სექსუალურად დაუკმაყოფილებლები არიან, კაცის ხელი აკლიათ

გრიშა ონიანი, საზოგადოება „სტალინი“: „ვნებადაუოკებელი ქალების წიოკში ვართ და... ამ დაუოკებელ ენერგიას ამაში ახმარენ... კაცები არა ყავთ სახლში რომ დააოკონ, გააჩერონ ან შვილები არა ჰყავთ რო გაზარდონ...?[105]”

ქალის ნდობა არ შეიძლება და საქმე კაცთან უნდა გაარჩიო

შალვა რამიშვილი, პოსტვ-ის წამყვანი: „ნიკა[მელია], ეს ქალი [თაკო ჩარკვიანი], ნუ, კაბიანია მაინც და მაგის სიტყვას არ დაეჯერება, მაგრამ გეუბნება შენ ეგეთი პრედიავა, ჩემთან სახლში რაღაცა ვილაპარაკეთო. რა ილაპარაკეთ ამასთან სახლში, მე არ ვიცი, ძმაო, ვიღაცა შარვლიანი თუ გყავს, მოიყვანე... და პირდაპირი პრედიავაა, რო გაბოზდი რა ციხეზე...“[106]

ქართველი ქალის ადგილი ოჯახშია/ქალმა მისი ადგილი უნდა იცოდეს

ჯუმბერ თავართქილაძე, პოლიტოლოგი: „არასოდეს არ გვეღირსება ჩვენ ღირსეული ხელისუფლება მანამ, სანამ ქართველი ქალი ოჯახში არ დაჯდება და წესიერ შვილებს ქვეყანას არ გაუზრდის, როგორ შვილებსაც ვუზრდით ქვეყანას, ისეთ ხელისუფლებას ვღებულობთ. [...] ქართველი მანდილოსნები, ქართველი დედები უნდა დაუბრუნდეთ ოჯახებს“[107]...

გიორგი რაზმაძე, სასულიერო პირი: „ქალი თავის ადგილზე უნდა იყოს... ქალმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს[108]“.

---

103 ასავალ-დასავალი, 3-9 ივლისი

104 რეზონანსი, 28 ივნისი, მაია ბითაძე ოპოზიციას: მიზანმიმართულად ქმნით ფონს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნისას ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს, https://bitly.ws/3fAi4

105 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 12 მაისი, https://bit.ly/3P6mBuM

106 პოსტვ, სამნი და კო, 8 ივნისი, https://www.myvideo.ge/v/4184965

107 სეზონიTV, დღის შეჯამება, 20 ოქტომბერი, https://www.myvideo.ge/v/4204636

108 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 3 აპრილი, https://bit.ly/3OZ313j

ჩაცმასთან დაკავშირებულ სტერეოტიპულ გზავნილებს ძირითადად სასულიერო პირები ახმოვანებდნენ.

> **არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი: „პატარა მოზარდ გოგონებს სწორედ ისე აცმევენ დედები, როგორ ანტიქრისტიანულადაც თავად იცვამენ...“[109]**

> **ბასილ იაშაღაშვილი, სასულიერო პირი: „ქალის ქცევა და ბუნება თანდათანობით შეცვალა შარვლის ჩაცმამ. ქალმა გამომწვევად წარმოაჩინა თავისი დაფარული სხეულის ნაკვთები და მოყვანილობა... თუ ქალი მიბაძავს მეძავების მოდას, მათთან ერთად დაიღუპება, როგორც პირადი ცოდვისათვის, ასევე სხვების ცდუნებისათვის“.[110]**

> **სქემიღუმენი საბა (ოსტაპენკო): „ნუ მიბაძავთ მოდას! ის ადამიანებს მოკრძალების დაკარგვას აიძულებს... დედებმა უნდა იზრუნონ, რომ მათი ქალიშვილები სახლშიაც კი მოკრძალებით იცვამდნენ“.[111]**

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიური ქალები, გარკვეულ შემთხვევებში თავდასხმის სამიზნეები მასკულინური თვისებების ქონის ბრალდებით და ნაკლები ფემინურობით ხდებოდნენ. ამ მხრივ ყველაზე ხშირი სამიზნე პარტია „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია იყო. ანონიმური სახელისუფლებო ფეისბუქ ანგარიში „ტერენტი გლდანელი“[112], ასევე „არ აგარევინებთ“[113] აქვეყნებდნენ ფოტომანიპულაციებს, სადაც ხოშტარიას მასკულინობაზე და არაფემინურ ქცევაზე ხდებოდა აქცენტირება.

„რუბლოვნა ხოდზეა 🙂“

„ლიაკას ევოლუცია 🙂 საინტერესოა ბოლოს რას შეახტება 🙂“

[109] მამა სპირიდონ ცქიფურიშვილი, 19 ოქტომბერი, https://bitly.ws/3fAiW
[110] ეროვნული ტელევიზია დიდგორი TV, 29 ნოემბერი, https://bitly.ws/3fApj
[111] ZNEOBA.GE, 9 ივნისი, https://bitly.ws/3fAiV
[112] ტერენტი გლდანელი, 23 სექტემბერი, https://bitly.ws/3fVIo
[113] არ აგარევინებთ, 17 მაისი, https://bitly.ws/3fVIM

არაქალურ გარეგნობასა და ქალისთვის შეუფერებელ ქცევაზე სპეკულირება ოპოზიციონერი დეპუტატების (ანი წითლიძე, თინა ბოკუჩავა), ასევე ყოფილი სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას შემთხვევაშიც ხდებოდა.

> **რამაზ გაგნიძე, ქართული მისია: „თუ ანი წითლიძეზე იტყვით, ქალიაო, ცოტა ეჭვი მეპარება... ნუ არ ვიცი, მე ეს ქალებში გადიან, თუ რაში გადიან... ეს [თინა ბოკუჩავა] ხტუნვა-ხტუნვა იმით განთქმული არის ყოველთვის იმიტომ, რომ აქციებზეც სულ ხტუნაობს ჰაერში და მერე სად ვარდება...“**[114]

> **დიტო ჩუბინიძე, სეზონი ტვ-ს წამყვანი: „... ჯერ ქალს მაინც გავდეს ეგა [ნინო ლო,ჯარია], არც ქალია, არც კაცია, ეს არის რაღაცა ბიპოლარი“.**[115]

2.4. გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა

მედიამონიტორინგის პერიოდში გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფის/დაცინვის შემცველი 189 კომენტარი/პოსტი გამოვლინდა, აქედან 134 – ტრადიციულ მედიაში, 55 – სოციალურში.

ქალებისადმი გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფისთვის იყენებდნენ შემდეგ ტერმინებს: „სულელუკა“[116], „ჭკუიდან გადასული ქალი“[117], „ქერქეტა დედაკაცი“[118], „არცთუისე ჭკვიანი ქალი“[119], „დაბალი განვითარების“[120], „ბლუკუნა“[121].

ამ კატეგორიის ერთ-ერთი მთავარი ადრესატი კვლავ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იყო. სიძულვილის ენის ჯგუფების მხრიდან კრიტიკა, მის მიერ ნიკა გვარამიას შეწყალებას – ევროპულ ტურნეს და იმპიჩმენტის პროცედურას დაუკავშირდა.

> **ზაზა პაპაუაშვილი, ქართული ოცნება: „ასეთი ფსიქიკის ადამიანის პრეზიდენტობა ქვეყნისათვის საშიშია!“**[122]

---

114 სეზონი, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 21 სექტემბერი, https://www.myvideo.ge/v/4200046&rc=1
115 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 31 ოქტომბერი, https://www.myvideo.ge/v/4206090
116 პოსტ ტვ, სამნი და კო, 15 ნოემბერი, https://www.myvideo.ge/v/4208012&rc=1
117 ასავალ-დასავალი, 5-11 ივნისი
118 სეზონი, დღის შეჯამება, 7 სექტემბერი, https://www.myvideo.ge/v/4197726
119 პოსტვ, სამნი და კო, 4 სექტემბერი, https://www.myvideo.ge/v/4197459
120 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 14 ივლისი, https://www.myvideo.ge/v/4192287&rc=1
121 Ermile Nemsadze, 13 ოქტომბერი, https://bitly.ws/3fEkt
122 ასავალ-დასავალი, 3-9 ივლისი

შალვა რამიშვილი, პოსტვ-ის წამყვანი: **„[სალომე ზურაბიშვილი] ეს არცთუისე ჭკვიანი ქალი, მე არ მინდა მიზოგენური ტერმინები ვიხმარო, არის პრობლემაში“.**[123]

დიტო ჩუბინიძე, სეზონი ტვ-ის თანაწამყვანი: **„ამ ქალის [სალომე ზურაბიშვილი] არჩევა როგორ შეიძლებოდა? ამ შიზოფრენიკი, ამ შიზოიდი ქალის... რით ვერ ისწავლა ამ ქალმა ენა ქართული, კაცო?.. ჩინურს ისწავლიდა ამდენი ხნის განმავლობაში საშუალო გონებრივი შესაძლებლობების ადამიანი**[124]**.**

გონებრივი ნიშნით შეურაცხყოფის სამიზნე ოპოზიციონერი და აქტივისტი ქალებიც იყვნენ. ზოგ შემთხვევაში მათი მენტალური მდგომარეობის ეჭვქვეშ დაყენებაც ხდებოდა:

თეა წულუკიანი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი: **„უტვინოა [ანა ნაცვლიშვილი] უბრალოდ, თორემ საყვარელია ბუთქუჩა“.**

შალვა რამიშვილი, პოსტვ-ის წამყვანი: **„არა, ამას ნუ ვებრძვით რა, ამ გოგოს [სოფო ჯაფარიძეს] ნუ ვებრძვით, რა. პროსტა სულელი გოგოა რა, სულელუკაა რა“.**[125]

მიხეილ უკრაინოლოგი: **„ფსიქიატრიული კლინიკა მზე ქალა გამოგექცათ [ანა ნაცვლიშვილი]“.**[126]

შალვა რამიშვილი, პოსტვ-ის წამყვანი: **„რაო, რას იძეხის ის ქალი რომ არის, გიჟი ბაია პატარაია?“**[127]

2.5. გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფა / დაცინვა

ერთწლიანმა მედია მონიტორინგმა ჯამში გამოავლინა 370 პოსტი/კომენტარი, რომელიც გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფასა და დაცინვას შეიცავდა, აქედან, 206 – ტრადიციულ მედიაში, ხოლო 164 – სოციალურში.

გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფის შემცველი გზავნილები მოიცავდა დაცინვას გარეგნობის, ხმის ტემბრის, ჩაცმის სტილის, წონის, ვარცხნილობის, ქალებში ნაკლებად ფემინური გარეგნული ნიშნების გამო. დასავლელი დიპლომატების მიმართ გამოიყენებოდა ტერმინები

[123] პოსტვ, სამნი და კო, 4 სექტემბერი, https://www.myvideo.ge/v/4197459
[124] სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან, 4 დეკემბერი, https://bitly.ws/3fVYj
[125] “პოსტ ტვ, სამნი და კო, 15 ნოემბერი, https://www.myvideo.ge/v/4208012&rc=1
[126] მიხეილ უკრაინოლოგი, 30 ივნისი, https://bitly.ws/3fEk9
[127] პოსტვ, სამი და კო, 10 ოქტომბერი, https://www.myvideo.ge/v/4202741

„ქვაზე დახატული ეშმაკი“[128], „ჭინკასავით რომ გამოიუიყურება“[129], ჟურნალისტ ქალებს მოიხსენიებდნენ, როგორც „ჩაპუტკუნ-ჩაკურატებულებს“[130], „ძროხის სახეობებს“[131]. ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ქალების მიმართ გამოიყენებოდა ტერმინები: „ანაკლიის ჭაობის ბაყაყი“[132], „ცხვირგაჭეჭყილი“[133], „ცხვირის ოპერაციის მსხვერპლი“[134], „ჭყვიტინა ხმა“[135].

გარეგნული ნიშნით დაცინვის სამიზნეებს როგორც პრეზიდენტი, ასევე ოპოზიციონერი პარლამენტარი ქალები, ასევე ცალკეულ შემთხვევებში ხელისუფლების წევრი და სამოქალაქო ატივისტები წარმოადგენდნენ. ერთ შემთხვევაში კი ჰომოფობიური კამპანიის სამიზნე ბიზნესმენი იყო, რა დროსაც ფოტომანიპულაცია გამოიყენებოდა.

> ტრისტან წითელაშვილი, სამხედრო ექსპერტი: **„ანი წითლიძე რომ პოლიტიკაში ეყოლება პარტიას, ანი წითლიძე, ანაკლიის ჭაობის ბაყაყი და ის... სალომე სამადაშვილი, დინგმონგრეული ღორი“.**[136]

> სოსო შატბერაშვილი, მემარცხენე ალიანსი: **„ნაციონალი პარლამენტარი ქალების მიმართ მინდა ვთქვა, რომ სხვა დროს იქნებ ცოტა ნორმალური შესახედავი ქალები აარჩიოთ... როგორიც თავმჯდომარე მამაკაცი გყავთ, ისეთივე ქალები ნუ გყავთ, ნუ გეყოლებათ მომავალ არჩევნებში“.**[137]

> შალვა რამიშვილი, პოსტვ-ის წამყვანი: **„აზრი არა აქ ამ ქალის[ანა ბუჩუკური] ლაპარაკის მოსმენას, ისე გაუშვით უხმოდ...მე უბრალოდ ვუსურვებდი, რო რაღაც უფრო სერიოზული ვარცხნილობა და მაკიაჟი, რა“.**[138]

როგორც წინა წლებში[139] ჩატარებული კვლევა, ასევე 2023 წლის პირველ ნახევარში ჩატარებული მონიტორინგი აჩვენებს, რომ ოპოზიციასთან დაკავშირებული ფეისბუქ ანგარიშები გარეგნული მახასიათებლის ნიშნით დაცინვის სამიზნედ ყველაზე ხშირად კულტურის ამჟამინდელ მინისტრს

---

128 სეზონი ტვ, დღის შეჯამება, 26 ივლისი, https://www.myvideo.ge/v/4193786&rc=1
129 ობიექტივი, სტუდია 8, 23 ივნისი, https://www.myvideo.ge/v/4188140
130 Split-news, 11 ივნისი, https://split.spnews.io/ka/archives/172987
131 Split-news, 11 ივნისი, https://split.spnews.io/ka/archives/172987
132 სეზონიTV, დღის შეჯამება, 29 ივნისი, https://www.myvideo.ge/v/4189274
133 სეზონი, დღის შეჯამება, 12 ოქტომბერი, https://www.myvideo.ge/v/4203543&rc=1
134 სეზონი ტვ, დღის შეჯამება, 21 სექტემბერი, https://www.myvideo.ge/v/4199804
135 ასავალ-დასავალი, 18-24 დეკემბერი
136 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 23 იანვარი, https://www.myvideo.ge/?video_id=4158865
137 სეზონი, ნიკოლოზ მჟავანაძის დღის შეჯამება, 6 სექტემბერი, https://www.myvideo.ge/v/4197580&rc=1
138 პოსტვ, სამნი და კო, 26 ოქტომბერი, https://www.myvideo.ge/v/4205406
139 თამარ კინწურაშვილი, თინა გოგოლაძე, მედიის განვითარების ფონდი 2022. ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/239 ქეთი მსხილაძე, მედიის განვითარების ფონდი 2020 წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/211

თეა წულუკიანს ირჩევდნენ. ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებულმა ფეისბუქ გვერდმა „ლურჯი ვირი“ გააზიარა ვიდეო, სახელწოდებით „წუნწკლიანი“, სადაც სახეზე გრიმასიანი თეა წულუკიანი დანაოჭებულ ვაშლს არის შედარებული. ვიდეოს ახლავს კომენტარი: „ვაიმეეეე ეს ვაშლი უფრო საყვარელია...“[140]



ფოტომანიპულაციები ოპოზიციონერ ქალ პოლიტიკოსებზეც ვრცელდებოდა. ხელისუფლებასთან დაკავშირებული გვერდი „პოლიტიკური სატირა“ დასპონსორებულ პოსტს ავრცელებდა, სადაც ენმ-ის წევრი ანა წითლიძე საფრთხობელას იყო შედარებული[141], ხოლო „პუბლიცისტის“ ფოტომანიპულაციაში ის მაიუმუნს არის შედარებული[142].

„დღეიდან ჯობს ყველამ ყანა წიღლიძე დავუძახოთ“

იპოვეთ ერთი განსხვავება

140 ლურჯი ვირი, 19 ოქტომბერი, https://bitly.ws/3fA8G
141 პოლიტიკური სატირა / Political Satire, 20 სექტემბერი, https://bitly.ws/3fW9H
142 პუბლიცისტი, 30 დეკემბერი, https://bitly.ws/3fA8r

გარეგნული მახასიათებლებით, კერძოდ სიმსუქნის ნიშნით დაცინვის შემთხვევებიც გამოვლინდა: „დროას“ ლიდერის ელენე ხოშტარიას დაკავების ამსახველი ფოტო, რაც ლავროვის ოჯახის წევრის საქართველოში ქორწილის პროტესტთან იყო დაკავშირებული, სახელისუფლებო ანგარიშმა „სირცხვილის კორიდორი“ შემდეგი კომენტარით გაავრცელა: „რავა გასუქებულა ვარდენას ქალიშვილი“[143]. „კონსერვატიულმა ფლანგმა[144]“ კი გურული აქტივისტის ირმა გორდელაძის ფოტო შეურაცხმყოფელი წარწერით („მალე გადააჯვი გავწყდი ნელში შე დედამო*”ნულო “) და კომენტარით (სად არიან ცხოველთა უფლებადამცველები?!“) გამოაქვეყნა.

ფოტომანიპულაციის შედეგად, ხშირად სახელისუფლებო ფეისბუქ გვერდები ოპოზიციონერი პოლიტიკოსების, ან ოპოზიციისა და პრეზიდენტის ვიზუალების გარეგნული ნიშნით შერწყმას და მათი გენდერული როლების შეცვლას ახდენდნენ. მაგალითად, „აგენტურას“[145] ერთ შემთხვევაში სალომე სამადაშვილისა და გიორგი ვაშაძის გენდერული როლები გარეგნობის მხრივ ჰქონდათ შეცვლილი, ხოლო მეორე შემთხვევაში ლელოს ლიდერი მამუკა ხაზარაძე[146] ჟურნალისტ ნანუკა ხაზარაძის ვიზუალში იყო გარდასახული და ქალური გარეგნობითა და ჩაცმულობით წარმოდგენილი. ანალოგიურად ფეისბუქ გვერდს „არ აგარევინებთ[147]“ ფოტომანიპულაციის შედეგად სალომე ზურაბიშვილისა და ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის ლევან ხაბეიშვილის გარეგნობის შერწყმით ჰიბრიდული პირი „სალომე ხაბეიშვილი“ ჰყავდა წარმოდგენილი, რაც პრეზიდენტის პოზიციის მმართველ პარტიასთან აცდენას და ოპოზიციასთან დაახლოებას განასახიერებდა.

143 სირცხვილის კორიდორი, 20 მაისი, https://bitly.ws/3fWcy
144 კონსერვატიული ფლანგი, 17 ოქტომბერი, https://bit.ly/3wVMbvR
145 აგენტურა, 11 დეკემბერი, https://bit.ly/493OpGx
146 არ აგარევინებთ, 30 ნოემბერი, https://bit.ly/48V97sd
147 არ აგარევინებთ, 30 მაისი, https://bit.ly/47CCekl

ჰომოფობიურ კონტექსტში გაავრცელეს ფოტომანიპულაციები ფეისბუქ ანგარიშებმა „არ აგარე-ვინებთ“[148] და „მიხეილ უკრაინოლოგი“[149] „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ დამფუძნებელის და მფლობელის, თემურ ჭყონიას შესახებ, სადაც მისი სახე მომღერალ ელტონ ჯონის ვიზუალშია შერწყმული და ის ჰიბრიდულ პირად ელტონ ჭყონიად არის წარმოჩენილი. სოციალურ ქსელში დისკრედიტაციის კამპანიის საბაბი „მაკდონალდსის“ „ჰეფი მილის“ საოჯახო მენიუს სასაჩუქრე წიგნი გახდა, სადაც ელტონ ჯონი მის პირად ცხოვრებაზე და დაქორწინებაზე საუბრობდა, რაც სახელისუფლებო და სხვა აქტორებმა ლგბტ პროპაგანდად მანიპულაციურად შეაფასეს[150].

ჩაცმულობის გამო სამიზნე ყველაზე ხშირად ექს-პრეზიდენტ სააკაშვილის დედა გიული ალასანია იყო, რომლის მიმართაც ზოგჯერ ფოტომანიპულაციები როგორც სახელისუფლებო ფეისბუქ ან-

148 არ აგარევინებთ, 12 ივნისი, https://www.facebook.com/100087663338616/posts/209660898632687/

149 საქართველო და მსოფლიო, 19 ივნისი „კანონში გვიწერია, რომ არასრულწლოვანთა გარყვნა ისჯება და ის, რაც „ელტონ ჭყონიამ“ გააკეთა, სწორედ გარყვნილების პროპაგანდაა და სხვა არაფერი“ https://geworld.ge/ge/kanonshi-gviweria/

150 ნინო ჩაჩუა, ნეტგაზეთი, 14 ივნისი, თემურ ჭყონიას პოზიცია ელტონ ჯონზე წიგნის გამო ატეხილ კამპანიაზე https://netgazeti.ge/opinion/674817/

გარიშების (აგენტურა[151,152]), ასევე კონსერვატიული პლატფორმების (კონსერვატიული ფლანგი[153]) მხრიდან ვრცელდებოდა.

გიული ალასანია: ჩაცმის გამო მაკჩიტიკებენ, ხან „მერვეკლასელოს“ ხან „თინეიჯერ *ოზს“ მეძახიან რაც ძალიან მწყინს.

თქვენც გაკრათ აზრმა, რომ ეს ნიფხავში ტელეფონს ინახავს და ძუძუებში კრედიტ კარტას? HAHAHA

ყოველ 20 საუკუნეში მოდა მეორდება

სახელისუფლებო გვერდები „ტერენტი გლდანელი[154]“, „მოგიტყანთ მოქალაქეთა კავშირი“[155] და „სირცხვილის კოლიდორი[156]“ „ლელოს“ წევრის სალომე სამადაშვილის ჩაცმულობის ნიშნით დაცინვას კოორდინირებულად იდენტური ვიზუალით ახდენდნენ და მის გემოვნებას აქილიკებდნენ.

„ვინ ხარ ასეთი მოდური“?

„მოვიარეთ ლილო“

„ჩემი მოდური“

2.6. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია (ეიჯიზმი)

მედიამონიტორინგის პერიოდში ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი 76 კომენტარი/პოსტი გამოვლინდა, აქედან ტრადიციულ მედიაში – 60, ხოლო სოციალურში – 16.

151 აგენტურა, 4 ნოემბერი, https://bit.ly/3TE9piQ
152 აგენტურა, 17 ივლისი, https://bit.ly/49QjzCC
153 კონსერვატიული ფლანგი, 16 ივლისი, https://bitly.ws/3fWe4
154 ტერ ენტი გლდანელი, 22 სექტემბერი, https://bitly.ws/3fWaQ
155 მოგიტყანთ მოქალაქეთა კავშირი, 22 სექტემბერი, https://bitly.ws/3fWbM
156 სირცხვილის კორიდორი, 22 სექტემბერი, https://bitly.ws/3fWbx

ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის ადრესატებს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ექს-პრეზიდენტის დედა გიული ალასანია, მომღერლები – თამრიკო ჭოხონელიძე, ირმა სოხაძე და ნანი ბრეგვაძე წარმოადგენენ. მათ წინააღმდეგ ისეთ შეურაცხმყოფელ ტერმინებს იყენებდნენ, როგორიცაა: „ამ ხნის ქალი“[157], „კლიმაქტორულ ასაკში შესული“[158], „ჭირვეული ბავშვი“[159], „გიული ბაბო“.[160]

სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია ერთ შემთხვევაში პრეზიდენტის მიერ ოპოზიციური არხის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას შეწყალებას, მეორე შემთხვევაში კი მის პოლიტიკურ მომავალს უკავშირდებოდა. ზოგ შემთხვევაში ასაკთან ერთად პრეზიდენტის გონებრივი შესაძლებლობების ეჭვქვეშ დაყენებაც ხდებოდა.

ბესო ბარბაქაძე, „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი: **„ბოლოს როდის გამოიკვლიეთ პრეზიდენტი? ხომ შეიძლება, წლების მატებასთან ერთად, რამე პრობლემა ჰქონდეს, ამიტომ ეგებ კვლევა საფუძვლიანად ჩაუტაროთ... რაც უნდა იყოს, პრეზიდენტის გარდა, ამ ქალს ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი ჰქვია“[161].**

გიორგი ახვლედიანი, PostV-ის წამყვანი: **„ყველანაირი ლოგიკით ზურაბიშვილმა ქართულ პოლიტიკაში საკუთარი თავი ამოწურა... ვერ ვიტყვით, რომ ახლა ნამეტანი ახალგაზრდაა, ან ბავშვია... ცოტა ხანში საპენსიო ასაკი მოუწევს... არ აპირებს ვხედავ პენსიაზე გასვლას, მაგრამ ძალიან გამიკვირდება, პრეზიდენტ ყოფილი ქალბატონი უცებ რომელიმე პოლიტიკური პარტიის რიგებში რომ შევიდეს და პარლამენტის წევრობისთვის დაიწყოს ბრძოლა“.[162]**

სალომე ზურაბიშვილის მიმართ იყენებდნენ ისეთ ეიჯისტურ ტერმინებს, როგორიც არის „სალომე ბაბო“[163], „ლიბერასტი ბებო“[164], ფეისბუქზე კი საქართველოს პრეზიდენტის ფოტოები ეიჯისტური კომენტარებით ვრცელდებოდა. მაგალითად, ხელისუფლების მხარდამჭერი ფეისბუქ გვერდი „ლიდერი 41“ აზიარებდა ფოტოკოლაჟს, რომელზეც საქართველოს პარლამენტში ზურაბიშვილის ოპოზიციონერ დეპუტატებთან საუბარს შემდეგი კომენტარი ახლდა: „ნაცები სალომე ბაბოს გარს ეხვევიან, დაუდგა რიგი. დეკანოიძე, ბოკუჩავა და სხვა უცხო ქვეყნის გავლენის აგენტი ენჯეოშნიკები პრეზიდენტს კერავენ და მადლობას უხდიან“. „კონსევრატიული ფლანგის“ ფეისბუქ გვერდის მიერ გაზიარებულ ზურაბიშვილის პოსტს კი, რომელიც პრეზიდენტის დაკარგულ ძაღლს შეეხება, შემდეგი აღწერა ახლდა: „ეტყობა ალტ-ინფოს უყურებდა და ლიბერასტ ბებოს გაემიჯნა“.

157 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 28 ივნისი, https://bit.ly/3TeqzSB (ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის)
158 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 28 ივნისი, https://bit.ly/3TbW93E (ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის)
159 საქართველო და მსოფლიო, 4 სექტემბერი, https://bit.ly/4aa7F6e
160 ლიდერი 41, 12 სექტემბერი, https://bit.ly/3TtvErA
161 „საქართველო და მსოფლიო“, 3 ივლისი, https://bit.ly/3wQ0Los
162 „ობიექტივი“, სტუდიაN8, 22 ნოემბერი, https://bit.ly/3lvOurl (ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის)
163 ასავალ-დასავალი, 4-10 დეკემბერი
164 კონსერვატიული ფლანგი, 21 ნოემბერი, https://bit.ly/4c51cvr

ეიჯისტური განცხადებები პრეზიდენტის მიმართ მის საფრანგეთის პრეზიდენტთან ემანუელ მაკრონთან ვიზიტსაც მოჰყვა, რა დროსაც მაკრონის მეუღლის ასაკზეც ხდებოდა ირიბი მინიშნება.

ხათუნა ხოფერია, ყოფილი პარლამენტარი: **„ტიპიური ცერბერის ძაღლი... საქართველოს სამარცხვინო, უპრინციპო, უთავმოყვარეო პ-რეზიდენტი... ისე, მაკრონის მოსაწონ ასაკობრივ კატეგორიაში გადის კნეინაც... ტიკ-ტოკსაც თუ ჩაწერენ, გამაგებინეთ.[165]“**

ექსპრეზიდენტის დედის, გიული ალასანიას წინააღმდეგ ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია მის ჩაცმულობასა და საჯარო გამოსვლებს უკავშირდებოდა.

დიტო ჩუბინიძე, სეზონი ტვ-ის თანაწამყვანი: **„სამარცხვინო მდგომარეობაა. ქალბატონია, ბებიაჩემის ხნისაა ეს ქალი [გიული ალასანია] და რა უბედურებაა, რანაირად დადიხარ. ამაზე იტყვიან, რომ აშვებულიაო“[166].**

ეიჯისტური კომენტარები მომღერლების – თამრიკო ჭოხონელიძის, ირმა სოხაძისა და ნანი ბრეგვაძის მიმართაც გაკეთდა, რისი მიზეზიც მათი მხრიდან ლგბტქი+ თემის საჯარო მხარდაჭერა გახდა. ნანი ბრეგვაძის შემთხვევაში კი მიზეზი დრეგ ბოლში მონაწილეობის განაცხადი[167] იყო, რასაც მომღერლის წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი კამპანია მოჰყვა:

165 სპლიტ-ნიუსი, 7 სექტემბერი, https://bit.ly/43tMQAV

166 სეზონი ტვ, დღის შეჯამება, 25 ივლისი, https://bit.ly/3wZCcW3

167 რადიო თავისუფლება, 30 დეკემბერი, 2023 სიყვარული მაინც გაიმარჯვებს – ნანი ბრეგვაძემ დრეგ ბოლზე შეკრებილებს მიმართა, https://bit.ly/3lyeXFa

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ-ის წამყვანი: „ხშირად მეც გამიგონია, ჩვენ ფლანგზე ვინც არი ხალხი, რო ჩვენ ვერ გვიზამენ, აბა, შეხედეთ ეგერ თამრიკო ჭოხონელიძე, რომელიც იქცა გეი აქტივისტად, ირმა სოხაძე აიღეთ, ეს ტელე სექს დივები აიღეთ, ესენი ეხლა ასაკი არ უწყობთ ხელს, თორე რეალურადაც ლესბოსელები იქნებიან, სულიერი ლესბოსელები არიან ესენი“.[168]

ჯაბა ჟვანია, „ალტ-ინფოს“ წამყვანი: „ასაკი ცოტა ხელს ვერ უწყობს, მარა მერე რა, 60 წლის ჯენზია [ირმა სოხაძე]“.[169]

ბასილ მკალავიშვილი, სასულიერო პირი: „ქალბატონო ნანი, ამ სიბერის ჟამს რა გეპრა-იდებათ?“[170]

დიტო ჩუბინიძე, სეზონი ტვ-ის თანაწამყვანი: „ქალბატონო ნანი [ბრეგვაძე], მე მინდა მოგ-მართოთ, სად მიდიხართ [Drag Ball] ეს ასაკოვანი ქალბატონი? იქ გინდათ კაბაში გამოწყო-ბილი ელტონ ჭყონია ნახოთ?“[171]

ეიჯისტური კომენტარი ოპოზიციურ ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ფეისბუქ ანგა-რიშის შემთხვევაშიც გამოვლინდა. მაგალითად, გვერდმა „ლურჯი ვირი“ გააზიარა „ქოცი ფაშის-ტის“ ეიჯისტური და სექსისტური შინაარსის პოსტი, რომელშიც პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ხელისუფლების მხარდამჭერი ხათუნა ხოფერია „ბებრუხანა ბოზანდარად“ არის მოხსენიებული.[172]

168 „სეზონიTV“, 20 ივლისი, https://bit.ly/48S5O4Y
169 ალტ-ინფო, რეალპოლიტიკა, 12 დეკემბერი, https://bit.ly/48S5O4Y
170 ასავალ-დასავალი, 8-14 იანვარი
171 „სეზონი ტვ“, დღის შეჯამება, 19 დეკემბერი, https://bit.ly/3v7FJRE
172 „ლურჯი ვირი“, 21 თებერვალი, https://bit.ly/3YKbQkL

III. გენდერული დეზინფორმაცია

3.1. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

2023 წელს ფაქტების გადამოწმების პლატფორმამ „მითების დეტექტორი“ გამოავლინა 62 გენდერული დეზინფორმაცია, რომელთაგან 37 ჰომოფობიური შინაარსის იყო, 25 კი სექსისტურ ან, ქალებზე მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის ნიშნებს შეიცავდა. აღსანიშნავია, რომ გენდერული დეზინფორმაციის ყველაზე დიდი წილი (42) წლის პირველ ნახევარში გავრცელდა, რამაც ასახვა შუალედურ ანგარიშში ჰპოვა[173].

გენდერული ნიშნით დეზინფორმაციის ყველაზე მეტი შემთხვევა დასავლეთის წინააღმდეგ იყო მიმართული (27), საიდანაც ჰომოფობია (18) დომინირებდა. დასავლეთს მოსდევს უკრაინის წინააღმდეგ მიმართული გენდერული დეზინფორმაცია (10), სადაც ყველაზე მეტი შემთხვევა (7) ასევე ჰომოფობიური შინაარსის იყო. ქართველი პოლიტიკოსებისა და მათთან დაკავშირებული პირების (7), ასევე სამოქალაქო აქტივისტების/ორგანიზაციებისა და წიგნის გამომცემლობის წინააღმდეგ (6) დეზინფორმაცია თითქმის თანაბრად იყო წარმოდგენილი. ჟურნალისტების წინააღმდეგ როგორც ჰომოფობიურ (4), ასევე სექსისტურ (3) დეზინფორმაციას ვხვდებით.

დიაგრამა 15. გენდერული დეზინფორმაცია სამიზნეების მიხედვით



173 თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი (2023) გენდერული დეზინფორმაცია. https://www.mdfgeorgia.ge/geo/view-library/241/

სამიზნეები	ჰომოფობიური დეზინფორმაცია / მანიპულაცია	სექსისტური დეზინფორმაცია / მორალური კრიტერიუმებით მანიპულაცია
დასავლეთი	18	9
უკრაინა	7	3
ქართველი პოლიტიკოსები / პოლიტიკური პარტიები / დაკავშირებული პირები	1	6
ჟურნალისტები	4	3
სამოქალაქო აქტივისტები / ორგანიზაციები /		
წიგნის გამომცემლობა	5	1
სხვადასხვა	2	3

დარღვევის ტიპოლოგიიდან ყველაზე ხშირად ვიზუალური მანიპულაცია გამოიყენებოდა (54,8%), რაც ფოტოფაბრიკაციის/მანიპულაციის 22 შემთხვევას და ვიდეომანიპულაციის/ფაბრიკაციის 12 შემთხვევას აერთიანებს. დეზინფორმაციის არავიზუალური ფორმების გამოყენებას 21 შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, მანიპულაციის – 3, ხოლო გაყალბებული ციტატის – 2 შემთხვევაში.

დიაგრამა 16. გენდერული დეზინფორმაციის ტიპოლოგია



3.2. დეზინფორმაცია ქალი პოლიტიკოსების, დაკავშირებული პირების და ჟურნალისტების წინააღმდეგ

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ყველაზე ხშირად გენდერული დეზინფორმაციის და მორალური კრიტერიუმების ნიშნით თავდასხმის სამიზნე დასავლელი პოლიტიკოსები (6), ასევე ქართველი ქალი პოლიტიკოსები და პოლიტიკოსებთან დაკავშირებული პირები (6) იყვნენ, 3 შემთხვევაში სამიზნე უკრაინის პირველი ლედი ოლენა ზელენსკა იყო.

სლატშეიმინგი. გენდერული დეზინფორმაცია, რომლის დროსაც სლატშეიმინგს მიმართავდნენ და საქართველოში ახლადდანიშნულ ამერიკის ელჩს რობინ დანიგანს შეეხებოდა, პორტუგალიელი მოდელის პროგრამულად დამუშავებულ ვიდეოს და პორნოგრაფიული ვიდეოდან ამოჭრილ კადრს იმის დასამტკიცებლად იყენებდა, რომ ამერიკელი დიპლომატი წარსულში პორნოვარსკვლავი იყო.

რობინ დანიგანთან ერთად სლატშეიმინგის სამიზნე გახდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი, რომლის წინააღმდეგ რუსული მედიების გავრცელებული ფოტო, მტკიცებით, რომ ის ახალგაზრდობაში პროფესიონალი მეძავი იყო, რეალურად რუს პორნო მოდელს მარტინა მინკს ასახავდა.

უკრაინის პირველი ლედის ოლენა ზელენსკას წინააღმდეგ გავრცელებული შიშველი ფოტო, თითქოს ის ევროპაში ნუდისტურ პლიაჟზე ისვენებდა, სანამ მისი ქმარი „ევროპაში იარაღს იხვეწებოდა“, რეალურად რუს ტელეწამყვანს ელენა ლენინას ასახავდა.

ქართველი პოლიტიკოსებიდან სლატშეიმინგის სამიზნე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იყო, რომლის წინააღმდეგ პორნოსაიტიდან აღებული ფოტოს დარედაქტირებული ვერსია მას შემდეგ გავრცელდა, რაც მან ოპოზიციური ტელეარხის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია შეიწყალა. ფოტოფაბრიკაციის სამიზნე გახდა ასევე ყოფილი ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალიაც.

გენდერული დეზინფორმაციის ყველაზე ხშირი სამიზნე პატიმრობაში მყოფი საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხელ სააკაშვილის დედა გიული ალასანია გახდა, რომლის წინააღმდეგ რამდენიმე ფოტომანიპულაცია გავრცელდა. ალასანიას წინააღმდეგ სახელისუფლებო ტელეკომპანია PosTV-ის მიერ გავრცელებული სიუჟეტი კი დადგმული დეზინფორმაციის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ნიუ იორკში TSX აპლიკაციით Times Square-ის ერთ-ერთ დიდ ეკრანზე განთავსდა გიული ალასანიას და ნაციონალური მოძრაობის წევრის გიორგი ჩალაძის ფოტოები, რომელზეც მათ დაქორწინებას ულოცავდნენ. აღნიშნული ვიდეო Postv-იმ და სხვა სახელისუფლებო მედიებმა რეალურ ფაქტად გააშუქეს. ქორწინების შესახებ ჭორები, რომელიც გიორგი ჩალაძემ უარყო, სოციალურ მედიაში პერიოდულად გიული ალასანიას დისკრედიტაციის მიზნით ვრცელდება.

მორალური კრიტერიუმებით მავდასხმა. დეზინფორმაცია, რომელიც ქალი პოლიტიკოსების მორალური კრიტერიუმების ნიშნით გაკიცხვას ისახავდა მიზნად, ფინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრ სანა მარინის, ასევე ესტონეთის პრემიერ-მინისტრ კაია კალასის და ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის წინააღმდეგ გავრცელდა.

დეზინფორმაციები იმის შესახებ, რომ ოლენა ზელენსკა ძვირადღირებულ სამკაულებს ყიდულობს და რუსულ პასპორტს ფლობს მორალური კრიტერიუმებით მის გაკიცხვას ისახავდა მიზნად. ქართველ ოპოზიციონერ, „დროას“ ლიდერ ელენე ხოშტარიაზე სახელისუფლებო და სხვა აქტორების მიერ კოორდინირებულად გავრცელებული ვიდეომანიპულაცია კი ამტკიცებდა, რომ ის სტუდენტობის დროს რუსულ სიმღერა „კატუშას“ ასრულებდა. ხოშტარიას წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რაც წინა კვლევებშიც გამოიკვეთა, მისი რუსეთის ინტერესების გამტარებლად წარმოჩენას ისახავს მიზნად.

ცხრილი 3. გენდერული დეზინფორმაცია/მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვა ქალი პოლიტიკოსების და პოლიტიკოსებთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ

დასავლელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ		ქართველი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ		უკრაინის პირველი ლედის წინააღმდეგ	
სამიზნე/მტკიცება	**მეთოდი/წყაროები**	**სამიზნე/მტკიცება**	**მეთოდი/წყაროები**	**სამიზნე/მტკიცება**	**მეთოდი/წყაროები**
საქართველოში აშშ-ს ელჩი რობინ დანიგანი ყოფილი პორნოვარსკვლავია და არგენტინიდან გამოაძევეს[174]	ვიზუალური მანიპულაცია/ სლატშეიმინგი  **ქართული წყარო:** ანონიმური ანტიოპოზიციური FB ანგარიშები	საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბებერი მეძავია[175]	ფოტომანიპულაცია/სლატშეიმინგი **ქართული წყარო:** ანონიმური სახელისუფლებო FB ანგარიშები: ტერენტი გლდანელი **კრემლისტური:** შავი მედია, ინდ. FB ანგარიშები	ოლენა ზელენსკამ CARTIER-ში $1 100 000 ღირებულების სამკაულები იყიდა[176]	დეზინფორმაცია / მორალური გაკიცხვა  **რუსული წყარო:** Russia Today, Gazeta.ru, Московский комсомолец, pravda.ru, Lenta.ru **ქართული წყარო:** ინდივიდუალური FB ანგარიშები **პირველწყარო:** ნიგერიული გამოცემა The Nation

174 მითების დეტექტორი, „საქართველოში ამერიკის ახალი ელჩის, რობინ დანიგანის შესახებ დეზინფორმაცია და ვიზუალური მანიპულაციები ვრცელდება“. 31 ივლისი, 2023. https://bit.ly/3x2aZSV

175 მითების დეტექტორი, ფეისბუკზე სალომე ზურაბიშვილის ფოტოფაბრიკაციები ვრცელდება, 27 ივნისი, 2023 https://bit.ly/4adHXyt

176 ცისია კირვალიძე, მითების დეტექტორი, „დეზინფორმაცია, თითქოს ოლენა ზელენსკამ CARTIER-ში $1 100 000 ღირებულების სამკაულები იყიდა“. 6 ოქტომბერი, 2023. https://bit.ly/3Pr1V0f

დასავლელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ		ქართველი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ		უკრაინის პირველი ლედის წინააღმდეგ	
სავიზე/მტკიცება	**მეთოდი/წყაროები**	**სავიზე/მტკიცება**	**მეთოდი/წყაროები**	**სავიზე/მტკიცება**	**მეთოდი/წყაროები**
გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანა-ლენა ბერბოკი წარსულში პროფესიონალი მეძავი იყო[177] 	ფოტომანიპულა-ცია/სლატშეიმინგი  **რუსული წყარო:** eadaily.com; rf-smi.ru fb ჯგუფები: "Вагончик тронется, вагончик тронется... перрон останется..." ინდ. FB, vk, ტელეგ-რამ ანგარიშები **ქართული წყარო:** ინდივიდუალური FB ანგარიშები	ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ვერა ქობალია[178] 	ფოტოფაბრიცია/ სლატშეიმინგი **ქართული წყარო:** ინდი-ვიდუალური FB ანგარიშები	ოლენა ზელენსკა ისრაელში ნუდისტურ პლიაჟზე ისვენებს, სანამ მისი ქმარი „ევროპაში იარაღს იხვეწება"[179] 	ფოტომანიპულა-ცია/სლატშეიმინ-გი/მორალური გაკიცხვა **რუსული წყარო:** ДОНЕЦК – ВЕСТИ ДНР, dzen.ru, Avia.pro, telegram, twitter ანგარიშები **ქართული წყარო:** ინდივიდუალური FB ანგარიშები
ფინეთის ყო-ფილმა პრემიერ-მინისტრმა სანა მარინიმ გადაწყ-ვიტა ნარკოტიკე-ბის მოხმარებით ზელენსკის დაემსგავსოს[180] 	ფოტოფაბრიკაცია /მორალური გაკიცხვა  Санна Марин решила стать похожей на Зеленьского. **რუსული წყარო:** ტელეგრამ არხი: Политический Юмор, fishki. net, vk **ქართული წყარო:** ინდივიდუალური FB ანგარიშები	„დროას" დამფუძ-ნებელი ელენე ხოშტარია მოსკო-ვის სახელწიფო უნივერსიტეტის ექსკურსიაზე რუსულ სიმღე-რას „კატიუშას" მღერის[181] 	ვიდეომანიპულა-ცია/მორალური გაკიცხვა **ქართული წყარო:** ანონიმური სახე-ლისუფლებო FB გვერდი: ტერენტი გლდანელი, სახე-ლისუფლებო ექს-პერტი გია აბაშიძე, ინდ.FB ანგარიშე-ბი; კრემლისტუ-რი FB გვერდი: მნიშვნელოვანი ცვლილებები და ალტ-ინფოს ინდ. მხარდამჭერები	ოლენა ზელენსკას ყალბი რუსული პასპორტი აღმოაჩნდა[182] 	ფოტომანიპულა-ცია/მორალური გაკიცხვა  РАДИО SPUTNIK В мире СМИ: в бывшей квартире Зеленского найден российский паспорт его супруги

177 მითების დეტექტორი, „ვინ არის გამოსახული ფოტოზე – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი თუ რუსი პორნო მოდელი?" 28 მარტი, 2023. https://bit.ly/4aggXOg

178 მითების დეტექტორი, „სოციალურ ქსელში ვერა ქობალიას პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვრცელდება". 11 იანვარი, 2023. https://bit.ly/3TJqU1n

179 მითების დეტექტორი, „ფოტომანიპულაცია, თითქოს ოლენა ზელენსკა ისრაელში ნუდისტურ პლაჟზე ისვენებს". 6 ივნისი, 2023. https://bit.ly/3PtSVY5

180 მითების დეტექტორი, „ფეისბუქზე სანა მარინის პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვრცელდება." 7 მარტი, 2023. https://mythdetector.ge/rjyc

181 მითების დეტექტორი, „გავრცელებული ვიდეო ელენე ხოშტარიას არ ასახავს". 11 აპრილი, 2023. https://bit.ly/4cnPZpW

182 მითების დეტექტორი, „კრემლის მედია ოლენა ზელენსკას ყალბ რუსულ პასპორტს ავრცელებს". 3 ოქტომბერი, 2023. https://bit.ly/3v7q1WZ

დასავლელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ		ქართველი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ	
სამიზნე/მტკიცება	მეთოდი/წყაროები	სამიზნე/მტკიცება	მეთოდი/წყაროები
ვიდეო ცნობილ ლოთს, ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონს ასახავს[183]	დეზინფორმაცია/ ვიდეოფაბრიკაცია/მორალური გაკიცხვა  **ქართული წყარო:** ინდივიდუალური FB ანგარიშები	პატიმრობაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედა, გიული ალასანია[184]	ვიზუალური მანიპულაცია/ დისკრედიტაციის კამპანია **ქართული წყარო:** სახელისუფლებო POSTV – ანალიტიკა, მარშალპრესი, რეზონანსნიუსი, FunTube, „ქართულ ოცნებასა“ (და „კონსერვატიულ მოძრაობასთან“ დაკავშირებული FB ანგარიშები. „პოლიტიკური აბსურდი“
ევროპარლამენტარ ფონ კრამონი ლუფტვაფეს რაიხსმარშლის ჰერმან გერინგის შთამომავალია[185]	დეზინფორმაცია / მორალური გაკიცხვა  **ქართული წყარო:** კრემლისტური სეზონი ტვ, ინდივიდუალური FB ანგარიშები	პრეზიდენტ სააკაშვილის დედა და ენმ-ის წევრი გიორგი ჩალაძე კამასუტრას ნახატების ფონზე წარწერით „გიული და ჩალაძე“ პოზებს ამუღამებენ[186]	ფოტოფაბრიკაცია/სლატშეიმინგი **ქართული წყარო:** ანონიმური სახელისუფლებო FB გვერდი და ინდ. ანგარიში ტერენტი გლდანელი, სხვა FB ანგარიშები

183 დავით რობაქიძე, მითების დეტექტორი, „ფეისბუქზე ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის დამონტაჟებული ვიდეო ვრცელდება“, 4 აპრილი, 2023. https://mythdetector.ge/5r5e

184 მითების დეტექტორი, „ვინ ავრცელებს და როგორ განთავსდა გიული ალასანიას შესახებ ვიდეორგოლი მანჰეტენის ეკრანზე?“ 1 დეკემბერი, 2023. https://bit.ly/4agf5VI

185 მითების დეტექტორი, დეზინფორმაცია, თითქოს ვიოლა ფონ კრამონი ჰერმან გერინგის შთამომავალია, 13 აპრილი, 2023 https://mythdetector.ge/dnof

186 მითების დეტექტორი, „სოციალურ ქსელში გიული ალასანიასა და გიორგი ჩალაძის პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვრცელდება“. 16 თებერვალი, 2023. https://bit.ly/4cjiFjH

დასავლელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ		ქართველი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ	
სამიზნე/მტკიცება	**მეთოდი/წყაროები**	**სამიზნე/მტკიცება**	**მეთოდი/წყაროები**
ესტონეთის პრემიერ-მინისტრის კაია კალასის ბაბუა ჰიტლერის მომხრეებს საკონცენტრაციო ბანაკებში ებრაელების და სხვების განადგურებაში ეხმარებოდა[187]	დეზინფორმაცია/მორალური გაკიცხვა **რუსული წყარო:** რუსეთის პირველ არხი, გადაცემა КУКЛЫ НАСЛЕДНИКА ТУТТИ, ფბ, ტელეგრამ და vk ანგარიშები	სააკაშვილის დედას, გიული ალასანიას სურათზე ვარდისფერი კაბა აცვია, რიცხვი 69-ისა და ადამიანის ფიგურების გამოსახულებით, რომლებიც ამავე სახელწოდების სექსის პოზას განასახიერებენ[188]	ფოტოფაბრიკაცია/მორალური გაკიცხვა  **ქართული წყარო:** ინდივიდუალური FB ანგარიშები

ქართველი ჟურნალისტების წინააღმდეგ გავრცელებული სამივე გენდერული დეზინფორმაცია ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიების ჟურნალისტებს შეეხებოდათ. ტვ „ფორმულას“ წამყვანის ნინია კაკაბაძის შემთხვევაში გავრცელებული ვიდეომანიპულაციის წყარო კრემლისტურ პარტია კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული ფეისბუქ ანგარიში „შინ ევროპისკენ“ იყო. ჟურნალისტის სიტყვები ადრეული ქორწინების შესახებ ისე იყო დამონტაჟებული, თითქოს ის შვილის გაჩენას შეცდომად აფასებდა, რაც მორალური კრიტერიუმებით მის გაკიცხვას ისახავდა მიზნად.

სლატშეიმინგის ორივე შემთხვევა „მთავარი არხის“ და „ტვ პირველის“ ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ გავრცელდა: ერთ შემთხვევაში ფოტოფაბრიკაციის გზით ის ვიზუალი იყო გაყალბებული, რომელშიც „მთავარი არხის“ ჟურნალისტს დეა მამისეიშვილს პატიმრობაში მყოფი ამავე არხის დამფუძნებლის ნიკა გვარამიას მხარდასაჭერად მაისური წარწერით – „ირაკლი! ნიკა კრიმინალი არ არის!“ – ეცვა. პროგრამულად დამუშავებულ ვიზუალში პრემიერ-მინისტრისადმი (ირაკლი ღარიბაშვილი) მიმართვის ნაცვლად წარწერა „ლიფი მიჭერს“ ფიგურირებს. გაყალბებული ვერსია სექსისტური კომენტარებით – „თავისუფლება ძუძუებს“, „არა გვჯერა, გვანახე“, „სალამი ბიჭებს! მე ლიფი მიჭერს!“ – 2022 წელს გასართობ ფეისბუქ ჯგუფებში (მგლები 2021, დკდკდკდკლდ), 2023 წელს კი კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებულ ჯგუში „ქვეყნის მტრების არქივი“, ასევე ინდივიდუალური ფეისბუქ ანგარიშებით გავრცელდა.

187 ქეთი ხუციშვილი, მითების დეტექტორი, „კრემლის პროპაგანდისტების დეზინფორმაცია ესტონეთის პრემიერ-მინისტრის წინაპრების შესახებ“. 23 მაისი, 2023. https://mythdetector.ge/dgnv

188 მითების დეტექტორი, „სოციალურ ქსელში გიული ალასანიას ფოტოფაბრიკაცია ვრცელდება“. 31 ივლისი, 2023. https://bit.ly/3vo9cH6

სლატშეიმინგის მეორე შემთხვევაც, რომელიც „ტვ პირველის“ ჟურნალისტის ინგა გრიგოლიას წინააღმდეგ იყო მიმართული, 2022 წლიდან იღებს სათავეს და ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური ფეისბუქ ანგარიშების მიერ 2023 წელსაც ვრცელდებოდა. დამონტაჟებულ ვიდეოში უკრაინის რადას დეპუტატის, პრეზიდენტ სააკაშვილის პარტნიორის, ლიზა იასკოს სიტყვები – „ჩემი ძვირფასი მამაკაცი მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმარია“ – ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას მიეწერებოდა, რასაც სექსისტური კომენტარები ახლდა თან.

ცხრილი 4. ვენდერული დეზინფორმაცია/მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვა ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ

საგიზნე/მტკიცება	მეთოდი/წყაროები
ტვ „ფორმულას“ წამყვანი ნინია კაკაბაძე შვილის გაჩენას შეცდომად აფასებს[189] 	ვიზუალური მანიპულაცია/მორალური გაკიცხვა **წყარო:** „კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერი FB პროფილი „შიინ ევროპისკენ“
ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტის დეა მამისეიშვილის ფოტო მაისურზე წარწერით „ლიფი მიჭერს“[190] 	ფოტოფაბრიკაცია/სლატშეიმინგი **წყარო:** FB ჯგუფები „ქვეყნის მტრების არქივი“, მგლები 2021, დკდკდკდკლდ, ინდივიდუალური FB ანგარიშები

189 მითების დეტექტორი, „ჟურნალისტი ნინია კაკაბაძის შესახებ ვიდეომანიპულაცია ვრცელდება“. 20 ოქტომბერი, 2023. https://bit.ly/4agBtOP

190 მითების დეტექტორი, ფეისბუქზე „მთავარი არხის“ ჟურნალისტის პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვრცელდება, 26 აპრილი, 2023. https://mythdetector.ge/e479

სამიზნე/მტკიცება	მეთოდი/წყაროები
ტვ პირველის წამყვანი ინგა გრიგოლიას ვიდეო, რომელშიც ის წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს: „ჩემი ძვირფასი მამაკაცი მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმარია“[191]	ვიდეომანიპულაცია/სლატშეიმინგი **წყარო:** ანონიმური სახელისუფლებო FB გვერდები (არ აგარევინებთ; პოლიტიკური სამარე N5) ჯგუფი „ჟურნალისტი“, FB ანგარიში „ჟურნალისტი“, ინდივიდუალური FB ანგარიშები.

3.3. ჰომოფობიური დეზინფორმაცია პოლიტიკოსების, უკრაინაში მებრძოლების, ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტების და სხვათა მიმართ

ჰომოფობიური დეზინფორმაცია, როგორც ოპონენტების დისკრედიტაციის პოლიტიკური ინსტრუმენტი, სხვადასხვა სამიზნეების მიმართ გამოიყენებოდა.

როგორც ქვემოთმოცემულ ცხრილში ჩანს, ჰომოფობიური დეზინფორმაციის სამიზნე ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და ევროკომისიის პრეზიდენტი, ურსულა ფონ დერ ლაიენი; საქართველოს შემთხვევაში კი, პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები წარმოადგენდნენ, რომლებიც უკრაინის უმაღლეს რადაში უკრაინისადმი საქართველოს სოლიდარობას გამოხატავდნენ. სამივე შემთხვევაში გამოყენებული იყო ვიზუალური მანიპულაცია, ერთ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ვიზუალი, 2 შემთხვევაში კი ფოტოშოპი. დეზინფორმაციის წყარო რუსული და ქართული კრემლისტური ფეისბუქ ანგარიშები იყვნენ. 2 შემთხვევაში ვიზუალური მანიპულაციისთვის უკრაინისადმი როგორც ევროპელი, ასევე ქართველი პოლიტიკოსების სოლიდარობის ამსახველი ფოტოები იყო გამოყენებული.

[191] მითების დეტექტორი, ლიზა იასკო თუ ინგა გრიგოლია – ვინ უწოდა მიხეილ სააკაშვილს „ძვირფასი მამაკაცი“? 8 თებერვალი, 2023. https://mythdetector.ge/wm63

ცხრილი 5. ჰომოფობიური დეზინფორმაცია პოლიტიკოსების წინააღმდეგ

დასავლელი და უკრაინელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ		ქართველი პოლიტიკოსების წინააღმდეგ	
სამიზნე/მტკიცება	**მეთოდი/წყაროები**	**სამიზნე/მტკიცება**	**მეთოდი/წყაროები**
აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენს ტრანსგენდერების მხარდასაჭერად ფერადი საცურაო კოსტუმი აცვია[192] 	ვიზუალური მანიპულაცია/ AI ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ფოტო  **ქართული წყარო:** კრემლისტური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერი FB პროფილი „შიინ ევროპისკენ“, ინდივიდუალური FB ანგარიშები	პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრებს უკრაინის უმაღლეს რადაში ლგბტქი+ დროშა უჭირავთ[193] 	ვიზუალური მანიპულაცია **ქართული წყარო:** კრემლისტური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერი FB პროფილი „შიინ ევროპისკენ“
ვოლოდიმირ ზელენსკის, შარლ მიშელის და ურსულა ფონ დერ ლაიენის ფოტო მამაკაცის სასქესო ორგანოს მქონე ქალის ქანდაკების ფონზე[194] 	ვიზუალური მანიპულაცია  **რუსული წყარო:** ru.gruzinform.ge, ინდივიდუალური FB ანგარიშები **ქართული წყარო:** ინდივიდუალური FB ანგარიშები		

[192] მითების დეტექტორი, „სოციალურ ქსელში ჯო ბაიდენის ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ფოტო ვრცელდება“. 27 აპრილი, 2023. https://bit.ly/3VldLfV

[193] მითების დეტექტორი, „ფოტოფაბრიკაცია, თითქოს უკრაინის უმაღლეს რადაში „ლელოს“ წევრებს ლგბტქი+ დროშა უჭირავთ“. 19 დეკემბერი, 2023. https://bit.ly/3lHhzk3

[194] პოლინა კულიში, მითების დეტექტორი, „ფეისბუქზე ზელენსკის, მიშელისა და ფონ დერ ლაიენის პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვრცელდება“, 30 მაისი, 2023. https://mythdetector.ge/yt1v

უკრაინაში მებრძოლების დისკრედიტაციის მიზნით კრემლისტურ კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული ფეისბუქ პროფილი „შიინ ევროპისკენ“ და სხვა ინდივიდუალური ანგარიშები უკრაინელი სამხედრო ქალისა და აქტივისტის ქორწინების შესახებ ინფორმაციას მცდარ კონტექსტში ჰომოფობიური კომენტარებით ავრცელებდნენ. უკრაინაში მებრძოლი საქართველოს მოქალაქის შესახებ ვიზუალური მანიპულაცია კი ორსულების ფოტოსესიაში მონაწილე ესპანეთის მოქალაქის ფოტოს იყენებდა და მცდარი აღწერით ვრცელდებოდა.

ცხრილი 6. ჰომოფობიური დეზინფორმაცია უკრაინაში მებრძოლების წინააღმდეგ

უკრაინელი სამხედროების წინააღმდეგ		უკრაინაში მებრძოლ ქართველი მებრძოლის წინააღმდეგ	
სამიზნე/მტკიცება	**მეთოდი/წყაროები**	**სამიზნე/მტკიცება**	**მეთოდი/წყაროები**
ხარკივში უკრაინელი სამხედრო მოსამსახურის ალინა შევჩენკოსა და ლგბტქ+ აქტივისტის სტანისლავა პეტლიცას ქორწინება ოფიციალურად შედგა[195]	მანიპულაცია **ქართული წყარო:** FB პროფილი „შიინ ევროპისკენ“, ინდივიდუალური FB ანგარიშები	მამაკაცი ყვავილების გვირგვინით უკრაინაში მებრძოლი საქართველოს მოქალაქე ვანო ნადირაძეა[196] 	ვიზუალური მანიპულაცია **ქართული წყარო:** კრემლისტური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერი FB ანგარიში „შიინ ევროპისკენ“

ჟურნალისტების წინააღმდეგ 2023 წელს 4 ჰომოფობიური შინაარსის დეზინფორმაცია გავრცელდა და ოთხივე სექსუალური იდენტობით მანიპულირებას ახდენდა. 2 შემთხვევაში სამიზნე ოპოზიციური „მთავარი არხის“ იმდროინდელი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია იყო, ამასთანავე ამავე არხის ამჟამინდელი დირექტორი გიორგი გაბუნია. გაყალბებული ფოტო, რომელიც ფოტოს პროგრამულად დამუშავების შედეგად გაბუნიასა და გვარამიას კოცნას ასახავს, სოციალურ ქსელში 2022 წლიდან ვრცელდება და 2023 წელს და 2024-შიც კოორდინირებულად ზიარდებოდა. „მითების დეტექტორმა“ ჯამურად ამ ვიზუალის გავრცელების 30 შემთხვევა გამოავლინა. 2 შემთხვევა, რომელიც ტვ ფორმულას და ნეტგაზეთის ქალი და კაცი ჟურნალისტის წინააღმდეგ იყო მიმართული მათ ლესბოსელად და ჰომოსექსუალად ასახელებდა და ამასთა-

[195] მითების დეტექტორი, 6 სექტემბერი, შედგა თუ არა ხარკივში ლგბტქ+ პირთა ოფიციალური ქორწილი? https://mythdetector.ge/ka/shedga-thu-ara-kharkivshi-lgbtq-pirtha-ophitsialuri-qortsili/

[196] მითების დეტექტორი, „ვინ არის მამაკაცი ყვავილების გვირგვინით, რომელსაც უკრაინაში მებრძოლ ქართველს მიაწერენ?“ 5 ოქტომბერი, 2023. https://bit.ly/43qERVe

ნავე ქვეყნის და ხალხის მტრებად სახავდა. პოსტები ფეისბუქის საზოგადოებრივი სტანდარტების დარღვევის გამო ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის.

დეზინფორმაციის სამიზნე იყვნენ ქალთა უფლებების დამცველი ბაია პატარაია და ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია, რომელთაც ერთი სქესის პირთა ქორწინების კანონპროექტის პარლამენტში ინიცირება მიზანმიმართულად მიეწერებოდათ. საპროტესტო აქციების დროს დაპატიმრებული ლაზარე გრიგორიადისის შემთხვევაში მის მხარდამჭერებად, ვიზუალური მანიპულაციის შედეგად, ბელგიის პრაიდის წევრი და დრეგ ქვინები იყვნენ წარმოდგენილები.

ერთ შემთხვევაში ჰომოფობიური დეზინფორმაცია რუსი პროპაგანდისტის ვლადიმერ სოლოვიოვის შვილის ჰომოსექსუალობას ეხებოდა და მას როგორც ქართული, ასევე რუსული და უკრაინული ფეისბუქ მომხმარებლები აზიარებდნენ, ზოგ შემთხვევაში სოლოვიოვის ორმაგი სტანდარტების საილუსტრაციოდ.

ცხრილი 7. ჰომოფობიური დეზინფორმაცია ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტების და სხვათა მიმართ

ჟურნალისტების წინააღმდეგ		სამოქალაქო აქტივისტების/ორგანიზაციების წინააღმდეგ		რუსი პროპაგანდისტის წინააღმდეგ	
სამიზნე/მტკიცება	მეთოდი/წყაროები	სამიზნე/მტკიცება	მეთოდი/წყაროები	სამიზნე/მტკიცება	მეთოდი/წყაროები
ლაზარე გრიგორიადისის მამას, ბექა გრიგორიადისს, ნიკა გვარამიას შეურაცხმყოფელი ბანერი უჭირავს[197]	ფოტოფაბრიკაცია  **წყარო:** ანონიმური FB ანგარიში Kote Afxazi	უფლებადამცველი ბაია პატარაია და ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია პარლამენტში ერთნაირსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებით კანონპროექტის შეტანას აპირებენ[198]	დეზინფორმაცია **წყარო:** ანონიმური სახელისუფლებო FB გვერდები „პოლიტიკური რენტგენი / Political X-ray“, „ანტირუსული პლატფორმა – AntiRussian Platform“	კრემლის პროპაგანდისტის ვლადიმერ სოლოვიოვის შვილი ჰომოსექსუალია[199]	ვიზუალური მანიპულაცია **წყარო:** ქართულ, რუსულ და უკრაინულენოვანი FB გვერდები და ანგარიშები

197 ელის ბაქრაძე, მითების დეტექტორი, „ფეისბუქზე ბექა გრიგორიადისის საპროტესტო ბანერის დარედაქტირებული ფოტო ვრცელდება“ 9 ნოემბერი, 2023. https://bit.ly/3ve56Bx

198 მითების დეტექტორი, „ვინ ავრცელებს დასპონსორებულ დეზინფორმაციას, თითქოს არასამთავრობები ერთნაირსქესიანთა ქორწინების კანონპროექტის ინიცირებას გეგმავენ?“ 6 აპრილი, 2023. https://mythdetector.ge/iowr

199 მითების დეტექტორი, რა ვიცით დანილ სოლოვიოვის სამოდელო კარიერის შესახებ და ვის ასახავს გავრცელებული ფოტოები? 20 თებერვალი, 2023. https://mythdetector.ge/nsv2

ჟურნალისტების წინააღმდეგ		საზოგადოებრივ აქტივისტების/ოპოზიციის წინააღმდეგ		რუსი პროპაგანდისტის წინააღმდეგ	
სამიზნე/მტკიცება	მეთოდი/წყაროები	სამიზნე/მტკიცება	მეთოდი/წყაროები	სამიზნე/მტკიცება	მეთოდი/წყაროები
ნიკა გვარამიას და გიორგი გაბუნიას ფოტო, რომელშიც ისინი ერთმანეთს კოცნიან[200] 	ვიზუალური მანიპულაცია **წყარო:** ანონიმური სახელისუფლებო FB გვერდები და ანგარიშები, სახელისუფლებო xnews.ge კრემლისტურ ალტ-ინფო/ კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული ანგარიში	ლაზარე გრიგორიადისს მხარდაჭერას ბელგიის პრაიდის წევრი და დრეგ ქვინები უცხადებენ[201] 	ფოტომანიპულაცია **წყარო:** კრემლისტური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერი ქსელი „შიინ ევროპისკენ“		
X ჟურნალისტი ლესბოსელია. ოპოზიციური არხების ჟურნალისტები ყველა არატრადიციული ორიენტაციის მქონე ანტიქართველია	დეზინფორმაცია წყარო: ანონიმური სახელისუფლებო FB ანგარიში: „ჟურნალისტების მარგალიტები“				
X ჟურნალისტი ლგტქი იდენტობისაა და ხალხის მტერია	დეზინფორმაცია **წყარო:** ანონიმური სახელისუფლებო FB ანგარიში „ჟურნალისტების მარგალიტები“				

ჰომოფობიური დეზინფორმაცია ასევე მიმართული იყო:

- “Tbilisi Pride”-ის წინააღმდეგ, რომელსაც „პრაიდ ფესტივალზე“ სატანისტური კერპის – მოლოქის ინსტალაციის განთავსება ბრალდებოდა;[202]

200 ანი ქისტაური, „მითების დეტექტორი“, როგორ გაქრა ჟურნალისტი ანა ასათიანი „მთავარი არხის“ კადრიდან და როგორ იქცა ტერენტი გლდანელი ANUSHKA.ANUSHKA-დ?“ 14 სექტემბერი, 2021. https://mythdetector.ge/z4r1

201 მითების დეტექტორი, „ფოტოები, თითქოს ბელგიის პრაიდის წევრი და დრეგ ქვინები გრიგორიადისს მხარდაჭერას უცხადებენ, ყალბია“. 6 აპრილი, 2023. https://bit.ly/4coWEjt

202 მითების დეტექტორი, „დეზინფორმაცია, თითქოს „პრაიდ ფესტივალზე“ სატანური ღვთაება „მოლოქის“ ინსტალაცია იყო განთავსებული“ 12 ივლისი, 2023. https://bit.ly/3PvfhZn

- ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წინააღმდეგ, რომლის ლოგოზე ლგბტ აკრონიმი პროგრამული დამუშავების შედეგად იყო დატანილი და გამომცემლობის ბოიკოტირების მოწოდებებთან ერთად ვრცელდებოდა[203];
- საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (GCSD) წინააღმდეგ, რომელსაც სკოლებში სქესის შეცვლასა და ლგბტქ საკითხებზე პროექტის განხორციელება მიეწერებოდა;[204]
- უკრაინული საქველმოქმედო ფონდ Вільні-ის წინააღმდეგ, რომელიც თითქოსდა ეძებდა ვოკალისტს, რომელიც ლგბტ იდეოლოგიას იქადაგებდა[205].

3.4. ბავშვები და სექსუალური განათლება დასავლეთში

2023 წელს დასავლეთში ბავშვებთან და მათ სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული 9 დეზინფორმაცია/მანიპულაცია გამოვლინდა, რომელიც 5 გზავნილს ამკვიდრებდა:

1. ამერიკის სკოლებში ლგბტქი+ იდენტობის კვოტირება ხდება
2. დასავლეთში გენდერული იდენტობის შეცვლა მშობლების ნებართვის გარეშე ხდება;
3. დასავლეთში პედოფილიის ლეგიტიმაცია ხდება;
4. დასავლურ სკოლებში სექსუალური განათლება = გარყვნილებას;
5. ჰომოსექსუალობის მიუღებლობის გამო დასავლეთში კონსერვატიულ ოჯახებს ბავშვებს ართმევენ.

ამერიკის სკოლებში ლგბტქი+ იდენტობის კვოტირება ხდება: ანონიმურმა ფეისბუქ-ანგარიშმა Crazy World-მა და ინდივიდუალურმა ფეისქბუქ ანგარიშმა სიეტლის ადგილობრივი მედიის Seattle Met-ის გაყალბებული სტატიის ვიზუალის გამოყენებით გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს სიეტლის განათლების დეპარტამენტმა შეიმუშავა ახალი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც კლასში მოსწავლეების 5% სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო[206]. გავრცელებული ცნობა, სიეტლის სკოლებში ლგბტქი+ იდენტობის მოსწავლეების კვოტირების წესი დადგინდა, ყალბია და მსგავსი მასალის გავრცელება Seattle Met-ის რედაქციამაც უარყო.

Crazy World-მა, რომელიც გასართობი ხასიათის ფეისბუქ გვერდად ფუნქციონირებდა, ყალბი ინფორმაცია დაასპონსორა. იგივე გვერდი ასევე ჩართული იყო ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართულ დასპონსორებულ კამპანიაში, რომელიც „მითების დეტექტორმა“ 2023 წლის ოქტომბერში გამოავლინა[207].

---

[203] მითების დეტექტორი, „სოციალურ ქსელში ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ლოგოს დამუშავებული ვერსია ვრცელდება“. 23 ივნისი, 2023. https://bit.ly/494XH5p

[204] ცისია კირვალიძე, მითების დეტექტორი, „დეზინფორმაცია, თითქოს GCSD სკოლებში სქესის შეცვლასა და ლგბტქ საკითხებზე პროექტს ახორციელებს“. 18 დეკემბერი, 2023. https://bit.ly/49Xs6np

[205] მითების დეტექტორი, 2 ნოემბერი. დეზინფორმაცია, თითქოს უკრაინული საქველმოქმედო ფონდი ლგბტ პროპაგანდისთვის მგალობელს ეძებს. https://bit.ly/43rFNsk

[206] ცისია კირვალიძე, მითების დეტექტორი, „დეზინფორმაცია, თითქოს სიეტლის სკოლებში კლასის მოსწავლეთა 5% ლგბტქ+ თემს უნდა წარმოადგენდეს“. 4 სექტემბერი, 2023. https://bit.ly/3TI4369

[207] მითების დეტექტორი, „გასართობი და ანონიმური FB გვერდების დასპონსორებული კამპანია ევროკავშირის წინააღმდეგ“. 18 ოქტომბერი, 2023. https://bit.ly/3x83oCk

დასავლეთში გენდერული იდენტობის შეცვლა მშობლების ნებართვის გარეშე ხდება. დასავლეთში მშობლების ნებართვის გარეშე სქესის შეცვლაზე 2 დეზინფორმაცია გავრცელდა, ორივე შემთხვევაში წყარო კრემლისტურ გამოცემებთან ერთად სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიები იყვნენ:

- სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის "POSTV"-ის ეთერში გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოს აშშ-ში, კანადასა და ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვებისთვის სქესის შეცვლა მშობლის ნებართვის გარეშე ხდებოდა.[208]
- როგორც კრემლისტურმა „ალტ-ინფომ", ასევე სახელისუფლებო ტელეკომპანია „იმედმაც" გაავრცელეს დეზინფორმაცია, თითქოს კალიფორნიაში ბავშვებში სქესის შეცვლის ოპერაციის ჩატარება მშობლების ნებართვის გარეშე იყო ნებადართული[209]. იმავე შინაარსის მასალა კრემლისტურმა ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიომ" რუსული გამოცემა Свободная Пресса-ს სტატიის პირდაპირი თარგმანის სახით გაავრცელა.[210]

დასავლეთში პედოფილიის ლეგიტიმაცია ხდება: პედოფილიასთან დაკავშირებული ყალბი ამბები წლის პირველ ნახევარში გავრცელდა და სამივე შემთხვევაში რუსული წყაროებიდან იღებდა სათავეს:

- არასრულწლოვნის თანხმობის შემთხვევაში გაერო არასრულწლოვანთან სექსუალური ურთიერთობის დეკრიმინალიზაციას გეგმავს, რაც პედოფილიის ნორმალიზების წინაპირობაა[211];
- პაპ ფრანცისკეს მოსასხამზე „ბიჭების მოყვარული პედოფილების" სიმბოლო ჩანს[212];
- პაპმა განაცხადა, რომ პედოფილია იდუმალი დაავადებაა და ღმერთს პედოფილები უყვარს[213].

3.5. იდენტობის დაკარგვა და ოჯახური ძალადობა

იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია ძირითადად ჰომოფობიური შინაარსის იყო და როგორც ევროკავშირის და მისი ცალკეული ქვეყნების, ასევე ამერიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. 2023 წლის მეორე ნახევარში ამ თემაზე 3 ჰომოფობიური დეზინფორმაცია გავრცელდა:

- ფეისბუქ გვერდი „აი უცნობი", რომელიც ხელისუფლების მხარდამჭერ გია გაჩეჩილაძეს ეკუთვნის, ავრცელებდა მანიპულაციურ ინფორმაციას, რომლის თანახმად ბელგიაში ტრადიციული

---

208 მითების დეტექტორი, „დეზინფორმაცია, თითქოს აშშ-სა და კანადაში ბავშვებს სქესს მშობლის ნებართვის გარეშე უცვლიან". 22 დეკემბერი, 2023. https://bit.ly/4ao7HaV

209 მითების დეტექტორი, „„იმედის" და „ალტ-ინფოს" დეზინფორმაცია, თითქოს კალიფორნიაში ბავშვებისთვის სქესის შეცვლის ოპერაცია მშობლის თანხმობის გარეშე შეიძლება". 26 იანვარი, 2023. https://bit.ly/495Vlxx

210 თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი (2023) გენდერული დეზინფორმაცია. https://www.mdfgeorgia.ge/geo/view-library/241/

211 ანი ქისტაური, მითების დეტექტორი, „ითხოვს თუ არა გაერო არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის დეკრიმინალიზაციას?" 25 აპრილი, 2023. https://mythdetector.ge/rk1e

212 მითების დეტექტორი, „პაპი ფრანცისკეს მოსასხამზე შეთქმულების თეორია ვრცელდება", 17 მარტი, 2023. https://mythdetector.ge/ka/papi-prantsiskes-mosaskhamze-shethqmulebis-theoria-vrtseldeba/

213 დავით რობაქიძე, მითების დეტექტორი, „რა განცხადება ვრცელდება პაპის სახელით პედოფილიის შესახებ და რა თქვა მან რეალურად?" 6 მარტი, 2023. https://mythdetector.ge/cu9y

ოჯახური ღირებულებების პროპაგანდა კრიმინალიზებულია, ამერიკაში კი ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის ახალ ლექსიკონში სიტყვები „დედა-მამა“ გაუქმებული იყო.[214]

- შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, თითქოს ნიუ იორკის მეტროში გაკრული პლაკატები ტრანსგენდერი ადამიანების პატივისცემას სიკვდილის მუქარით ითხოვდა, რაც ქალაქის სატრანსპორტო დეპარტამენტის ოფიციალურ პოზიციას წარმოადგენდა, ქართულევანი და რუსულენოვანი ფეისბუქ ანგარიშების მიერ ვრცელდებოდა.[215]
- სტოუნვოლის აჯანყების 50 წლისთავის აღსანიშნავად შექმნილი „სატანისტური ეკლესიის“ დროშა იმის საილუსტრაციოდ ვრცელდებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებში ლგბტქი+ ადამიანებს ძალადობრივი და სატანისტური მიზნები ამოძრავებთ[216].

ანტილიბერალური და კრემლისტური ჯგუფების სამიზნე იყო ქალების უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობაც. ვრცელებოდა ყალბი ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოში ციხეში მყოფი კაცების უმეტესობა ოჯახური ძალადობის მუხლით ზის და მათი 90% პატიმრობით არა ძალადობის, არამედ ყვირილის, ცოლის გაბრაზების და ფსიქოლოგიური ძალადობის გამო ისჯება[217]. აღნიშნული დეზინფორმაცია ამკვიდრებდა გზავნილს, რომ ოჯახური ძალადობის მუხლით კაცების სამართლებრივი დევნა მიზანმიმართულად და უსაფუძვლოდ ხდება.

[214] მითების დეტექტორი, „„აი უცნობი“ ბელგიასა და ამერიკაში იდენტობის საკითხებზე ინფორმაციას მანიპულაციურად ავრცელებს“. 7 ივლისი, 2023. https://bit.ly/3vq9pJZ

[215] გიორგი მინაშვილი, მითების დეტექტორი. „ვინ გააკრა ნიუ იორკის მეტროში მუქარისშემცველი პლაკატები?“ 7 ივლისი, 2023. https://bit.ly/4a6EKRc

[216] დავით რობაქიძე, მითების დეტექტორი. „დროშა „სტოუნვოლის აჯანყების“ 50 წლისთავის აღსანიშნავად თუ ლგბტქი+ ადამიანების სატანისტური მიზნები – რას ასახავს ფოტო?“ 11 ივლისი, 2023. https://bit.ly/3TKTr6B

[217] ქეთი ხუციშვილი, მითების დეტექტორი, „ალტ-ინფოს დეზინფორმაცია ოჯახში ძალადობის სტატისტიკის და ამ მუხლით დაკავებულთა შესახებ“. 24 ნოემბერი, 2023. https://bit.ly/3x9HrCY

IV. მობილიზება იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტის და ბავშვების დასაცავად

გამოიკვეთა ოთხი სპეციფიკური თემა, რომლის დაცვის საბაბით ანტილიბერალური ჯგუფები საზოგადოების მობილიზებას ახდენენ. ესენია: 1. იდენტობა, 2. ღირებულებები, 3. ოჯახის ინსტიტუტი, და 4. ბავშვები.

მონიტორინგის პერიოდში გაანალიზებული 1936 კომენტარიდან, ყველაზე მეტი გზავნილი იდენტობის დაცვას (40,5%) უკავშირდებოდა. ღირებულებებისა (23,4%) და ბავშვების (21,7%) დაცვის თემატიკა თითქმის თანაბრად იყო წარმოდგენილი, რასაც ოჯახის დაცვის (14,4%) თემაზე საზოგადოების მობილიზების მიზნით გაკეთებული კომენტარები მოსდევდა.

დიაგრამა 17. გენდერთან დაკავშირებული 4 სპეციფიკური თემის ხვედრითი წილი



4.1. იდენტობის დაცვა

იდენტობასთან დაკავშირებული 784 კომენტარიდან ყველაზე დიდი წილი დასავლეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, მათ შორის, ხელისუფლების მიერ უკან გაწვეული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ რუსული ტიპის კანონისა და პრაიდის კვირეულის კონტექსტში.

დომინირებდა გზავნილი, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, გარყვნილებას, რითაც ტრადიციულ იდენტობას გვაკარგვინებს (184), რომ დასავლეთის დაფინანსება იდენტობასთან ბრძოლას/ლგბტ პროპაგანდას ხმარდება (109); ევროკავშირში ინტეგრაცია/კანდიდატის სტატუსის მონიჭება ტრადიციული იდენტობის დაკარგვასთან იყო გათანაბრებული (105); ამავე დროს ისმოდა განცხადებები ჰომოსექსუალობის პროპაგანდის კანონმდებლობით შეზღუდვის შესახებ (105); პროდასავლურობა/ლიბერალობა იდენტობის დაკარგვასთან იყო გაიგივებული (70), რუსეთი კი იდენტობის დამცველად – წარმოჩენილი (16).

იდენტობის საკითხები კონფლიქტებთან მიმართებითაც განიხილებოდა: ვრცელდებოდა გზავნილები იმის შესახებ, რომ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები დასავლეთის ექსპერიმენტი იყო, რომელიც ღმერთთან ბრძოლას და ჰომოსექსუალური იდენტობის თავსმოხვევას ისახავდა მიზნად (18); საქართველოს შემთხვევაში კი აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ იდენტობადაკარგული ქვეყანა აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენის გამონახვას ვერ შეძლებდა (6).

დიაგრამა 18. იდენტობის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები



იდენტობის თემატიკაზე საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებამ განსაკუთრებული სიმწვავე ე.წ. რუსული ტიპის აგენტების შესახებ კანონის განხილვის დროს შეიძინა, რა დროსაც როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე კრემლისტური და კონსერვატიული აქტორები უცხოურ

დაფინანსებას იდენტობასთან ბრძოლის მიზნებთან აკავშირებდნენ, დასავლური დაფინანსებით მოქმედ არასამთავრობოებს კი აგენტებად სახავდნენ:

ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება: „...პირველ რიგში, ყველამ აღიარა, რომ აგენტობა სათაკილოა, ვისი აგენტიც არ უნდა იყო – ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთის თუ აღმოსავლეთის... ის ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობდნენ ბაკურიანის გეგმის[218] განხორციელებას, სცენიდან ითხოვდნენ მთავრობის გადადგომას, ცდილობენ ეკლესიის რეპუტაციის შერყევას, აწარმოებენ ლგბტ პროპაგანდას... სინამდვილეში არა ქართველი ხალხის, არამედ უცხოური გავლენის აგენტები არიან“.[219]

გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა: „ეს დასავლეთიდან წამოსული ფინანსები, აქ საქართველოში ამკვიდრებენ, აფინანსებენ ისეთ ორგანიზაციებს, ტელევიზიებს, რომლებიც პირდაპირ ემუქრებიან ჩვენს იდენტობას, კულტურას, ჩვენს რწმენას“.[220]

დიტო ჩუბინიძე, ასავალ-დასავალის ჟურნალისტი: „გეიაგენტურის თარეში არის აღსაკვეთი ქვეყანაში. ეკლესია არის გასაწმენდი... ქართველი კაცის იდენტობაა გადასარჩენი. ჩვენი ტრადიციებია გადასარჩენი“.[221]

კეთდებოდა ასევე განცხადებები იმის შესახებ, რომ პროდასავლურობა და უკრაინის მხარდაჭერა გეი აქტივისტობას ნიშნავდა:

სპირიდონ ცქიფურიშვილი, სასულიერო პირი: „პროდასავლელობა და „სლავა უკრაინელობა“ არის გეი აქტივისტობა“.[222]

განცხადებას იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას გეი პროპაგანდის ამკრძალავი კანონის მიღება მოუწევს, რუსეთის ეკლესიასთან დაახლოებული, რადიკალურ-ექსტრემისტული მოძრაობის ლიდერი ლევან ვასაძე თბილისი პრაიდის ჩატარების კონტექსტში აკეთებდა:

ლევან ვასაძე, „ერთობა, რაობა, იმედი“: „...სანამ ხელისუფლება ამ ნაბიჯს არ გადადგამს, ჩვენი ქვეყანა მუდმივად იქნება მძევალი მსგავსი პრობლემებისა ყოველწლიურად და ჯობია, ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრათ ეს და საკანონმდებლო დონეზე, ცივილიზებულად ავკრძალოთ გარყვნილების საჯარო პროპაგანდა“.[223]

---

218 რადიო თავისუფლება, 18 ივნისი, 2022, https://bit.ly/3ZeTZD1
219 ობიექტივი, ნამდვილი ამბები, 14 მარტი, https://bitly.ws/3g7cT
220 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 17 ნოემბერი, https://bitly.ws/3g7cY
221 ასავალ დასავალი, https://www.myvideo.ge/?video_id=4186893
222 სეზონი, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 19 ოქტომბერი, https://www.myvideo.ge/v/4204498&rc=1
223 ერი მედია, სიტყვიერი, 3 ივლისი, https://bitly.ws/3g7oL

იდენტობის დაკარგვის საფრთხე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის კონტექსტშიც განიხილებოდა, რაც ულტრამემარჯვენე და კრემლისტური აქტორების მტკიცებით, საქართველოს აფხაზეთთან და ოსებთან საერთო ენის გამონახვის პერსპექტივას უსპობდა:

> ქართული იდეა: „რა წყალობას უნდა ველოდეთ ზეციდან, თუკი ქრისტეს დედულეთში გეიფესტივალებს შევეგუებით?! **ასეთი თავსლაფდასხმა სულიერ-ზნეობრივი გადაგვარების გარდა** პირდაპირ ურტყამს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას, **რადგან ოსებიც და აფხაზებიც მკვეთრად გამოხატული კავკასიური მენტალობის ხალხი არიან და ისინი** არასოდეს მოინდომებენ იმ სივრცეში თანაცხოვრებას, **სადაც** დაკანონებული იქნება მრუშობა, მამათმავლობა და გეიფესტივალები**!!!**“[224]

> მიხეილ ჟღენტი, სოლიდარობა მშვიდობისათვის: **„..ჩვენ კი** რას ვეუნებით აფხაზებს და ოსებს? **რომ** იმ კავშირისკენ **მივისწრაფვით,** სადაც მამაკაცები ერთმანეთზე ქორწინდებიან?!“[225]

4.2. ღირებულებების დაცვა

ღირებულებებთან დაკავშირებული 453 კომენტარიდან დომინირებდა გზავნილი, რომ ჰომოსექსუალების მხარდაჭერა და ჰომოსექსუალობა ტრადიციულ ღირებულებებთან (138), ხოლო დასავლური ღირებულებები, ლიბერალიზმი ზნეობრივ/ქრისტიანულ საზოგადოებასთან იყო შეუთავსებელი (103).

დასავლეთი (63) და ევროინტეგრაციის პროცესი (21) თავსმოხვეულ უცხო ღირებულებებთან და ტრადიციულის დაკარგვასთან იყო დაკავშირებული. კეთდებოდა ასევე განცხადებები იმის შესახებ, რომ ლიბერალური ფაშიზმისა და იდეოლოგიის დრო წარსულს უნდა ჩაბარებოდა (42).

დიაგრამა 19. ღირებულებების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები



[224] ქართული იდეა – qartuliidea.ge, 6 ივლისი, https://bitly.ws/3g7by

[225] ასავალ-დასავალი, 25 დეკემბერი – 7 იანვარი

ქართული ტრადიციული ღირებულებების შეუთავსებლობაზე დასავლურთან, როგორც კრემლისტური აქტორები, ასევე სასულიერო პირები საუბრობდნენ.

ლევან ვასაძე, „ერთობა, რაობა, იმედი“: **„აი, ეს რაღაც დაუდევარი განცხადებები იმის შესახებ თურმე, რომ შეთავსებადია ის, რაც ჩვენი ტრადიციაა, იმასთან, რასაც ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, უცხოეთიდან გვაძალებენ, არის მეამიტური და დადგება მომენტი, როდესაც ხელისუფლებას სადემონსტრაციოდ მოუწევს აირჩიოს საკუთარი ხალხის ნორმები, ღირებულებები, ის ფასეულობები, რომლითაც თითოეული მათგანი საკუთარ ოჯახში იზრდებოდა და რომლის მიხედვითაც მათ უნდათ მათი შვილები იყვნენ აღზრდილი, თუ ამ ღირებულებების ღალატი“.**[226]

სტეფანე კალაიჯიშვილი, მიტროპოლიტი: **„ეს ფემინისტური ინსინუაციები და შტერი ქალების, გარყვნილი კაცების და ჰომოსექსუალისტების დიქტატურა არის ის, რასაც დღეს გვიმკვიდრებენ და რაც არის დასავლური ღირებულებების მთავარი ატრიბუტები“.**[227]

კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული სასულიერო პირი კი დასავლეთის ლობირებულ გეი აღლუმებს ქრისტიანულ მორალთან შეუთავსებლად სახავდა, ხოლო რუსეთში არსებულ გეი პროპაგანდის შემზღუდავ კანონმდებლობას – სანიმუშოდ:

სპირიდონ ცქიფურიშვილი, სასულიერო პირი: **„დასავლეთი ლობირებს გეი აღლუმებს, ჩვენ ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე ვეწინააღმდეგებით სიბინძურეს... რუსეთში აკრძალულია... გაუმარჯოს ღმერთმა, სადაც აკრძალულია სიბინძურე“.**[228]

ექსტრემისტული კონსერვატიული მოძრაობის წარმომადგენელი კი ღირებულებების და იდენტობის დასაცავად ძალის გამოყენებას ქრისტიანულ მოვლენად წარმოაჩენდა, ამავე პარტიასთან დაკავშირებული სასულიერო პირი კი ლიბერალიზმის, როგორც მსოფლიოს ჭირის დამარცხებას, გარდაუვალ აუცილებლობად სახავდა:

ირაკლი მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა: „ძალადობა არ შეიძლება“ არის ლიბერალიზმი! **რაც არასდროს არ თქმულა, მაგას ნუ გამოვიყვანთ ქრისტიანობად... საქართველოს საზოგადოება როცა მართლა ქრისტიანული იყო... გეი პარადი მაშინ წარმოუდგენელ მოვლენად ითვლებოდა იმიტომ, რომ დახოცავდნენ! დახოცავდნენ, პირდაპირ სიკვდილით დასჯიდნენ“.**

სპირიდონ ცქიფურიშვილი, დეკანოზი: **„...გარდაუვლად ჩვენ მათ დავამარცხებთ, ამ ავადმყოფობას, ლიბერალიზმს, რომელიც მოდებული არის როგორც ჭირი მთელ მსოფლიოს[229].“**

[226] ERI Media • ერი მედია, 3 ივლისი, https://bitly.ws/3gbmL
[227] 7 ჭყონდიდის ეპარქია/Diocese of Chkondidi, 22 იანვარი, 21:00, https://bit.ly/44dIYUj
[228] მამა სპირიდონ ცქიფურიშვილი, 21 ივლისი, https://bitly.ws/3g7cg
[229] ვარდიგორის მამათა მონასტერი, 1 თებერვალი, 3:46, https://bit.ly/45XN8jy

4.3. ბავშვების დაცვა

ბავშვების დაცვასთან დაკავშირებული 420 გზავნილიდან ყველაზე მეტი გარყვნილების პროპაგანდისგან/იდენტობის დაკარგვისგან მათ დაცვას (93) შეეხებოდა. სკოლებში სექსუალური/სამოქალაქო განათლების სწავლება გარყვნილების პროპაგანდასთან (58) იყო გაიგივებული. მედია და ინტერნეტი ბავშვთა გარყვნის ინსტრუმენტებად განიხილებოდა (42), ისევე, როგორც მაკდონალდსი[230] (36) და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა[231] (19), რომელთაც არასრულწლოვნებში გარყვნილების პროპაგანდაში ედებოდათ ბრალი.

ასევე აქტუალური იყო არასრულწლოვნებში სქესის შეცვლის და გენდერული თვითგამორკვევის (37) საკითხები, რაც მოზარდებისთვის საფრთხედ განიხილებოდა.

დიაგრამა 20. ბავშვების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები



საგანმანათლებლო სივრციდან რელიგიის განდევნასა და სკოლებში გარყვნილების სწავლებაზე ძირითადად სასულიერო პირები და გამოცემები, ასევე კონსერვატიული მოძრაობა საუბრობდნენ.

230 ნინო ჩაჩუა, ნეტგაზეთი, 14 ივნისი, თემურ ჭყონიას პოზიცია ელტონ ჯონზე წიგნის გამო ატეხილ კამპანიაზე https://netgazeti.ge/opinion/674817/

231 ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამოანია საბავშვო ლიტერატურის („ძილისპირული ზღაპრები მეამბოხე გოგონებისათვის“ და შარლ პეროს „ვირისტყავა“) გამოცემას უკავშირდებოდა. ტაბულა. პენცენტრი: ვგმობთ სულაკაურის გამომცემლობის წინააღმდეგ დაწყებულ ამაზრზენ რუსულ კამპანიას, 3 ივლისი, 2023 https://tabula.ge/ge/news/703689-pentsentri-vgmobt-sulakauris-gamomtsemlobis

ბასილ ფოსური, სასულიერო პირი: „რა უნდა ქნას ქრისტიანმა, თუ სკოლაში შემოვა გარყვნილების პროპაგანდა?.. ის წიგნები უნდა გადავყაროთ, რაც შეილება შორს და თუ მაინცდამაინც გვეტყვიან, რომ ეს საგანი აუცილებლად უნდა ისწავლოს სრულად, წამოდი იმ სკოლიდან... რად გინდა ეგეთი სკოლა, რომელიც გარყვნილებას გასწავლის?"[232]

გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა: „ეკლესია განდევნეს სკოლიდან და სასულიერო პირებს აღარ უშვებს ხელისუფლება, სისტემა და პიდარასტებს უშვებს..."[233]

ZNEOBA.GE: „საქართველოში ლიბერასტული დღის წესრიგის დასრულება განათლების სისტემის დესოდომიზაციით უნდა დაიწყოს".[234]

გარკვეულ შემთხვევებში ხდებოდა სკოლებში „სოდომიის პროპაგანდის" ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირება, ასევე პედოფილიის დასავლეთში ინტეგრაციის თანმდევ საფრთხედ წარმოჩენა და ამ თემაზე რუსეთის პრეზიდენტის შეფასებების უკრიტიკო ტირაჟირება.

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ-ს წამყვანი: „განათლების სისტემაში, ეს ევროკავშირი ახორციელებს სოდომიის პროპაგანდას სკოლებში და შენ გინდა, რომ ბავშვები კიდე ესე მოვწამლოთ ჩვენ?!"[235]

დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: „ვთქვათ, შევასრულეთ ეს 12 პუნქტი და გავხდით კანდიდატი. ამის მერე გვეტყვიან, რომ, აი, ეხლა ელგებეტე უნდა იყოს ყველგან და ყველაფერში, პლაკატები, სკოლები, საბავშვო ბაღებში...".[236]

შოთა მარტინენკო, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: „პროდასავლელობა ხდება პროპედოფილობა... ვინც მანდ ინტეგრაციას ემხრობით, ის ემხრობით სინამდვილეში პედოფილიური დღის წესრიგის დამკვიდრებას".[237]

ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი: „...გარყვნილება, ბავშვების დამცირება, პედოფილიამდეც კი გამოცხადებულია ნორმად".[238]

აღსანიშნავია ისიც, რომ „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯიას" დამფუძნებელის და მფლობელის, თემურ ჭყონიას წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიას, რომელიც „მაკდონალდსის" „ჰეფი მილის" სასაჩუქრე წიგნში მომღერალ ელტონ ჯონის პირად ცხოვრებას უკავშირდებოდა, მანიპულაციურად ბავშვების გარყვნას როგორც მმართველი პარტია, ასევე საპატრიარქო უკავშირებდა:

232 Andria Getsadze, 16 დეკემბერი, https://bitly.ws/3gkQ5 მაცხოვრის ფერიცვალების სამრევლო, 14 დეკემბერი, https://bitly.ws/3g9sC

233 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 11 დეკემბერი, https://www.myvideo.ge/v/4210761&rc=1

234 ZNEOBA.GE, 12 სექტემბერი, https://bitly.ws/3g9sI

235 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 28 ივნისი, https://bitly.ws/3g9sJ

236 ობიექტივი, სტუდია 8, 29 ივნისი, https://www.myvideo.ge/v/4189246&rc=1

237 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 20 აპრილი, https://bit.ly/3PvCUkK

238 საქართველო და მსოფლიო, 22 თებერვალი, https://bit.ly/44UScnS

ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება: **„...იმედია, ამ შემთხვევაშიც გადახედავენ საკუთარი მასალების შინაარსს კონკრეტული კომპანიის წარმომადგენლები.** ბავშვებთან ლგბტ პროპაგანდის ჩატარება გამაოგნებელი და კატეგორიულად მიუღებელია **საზოგადოების** აბსოლუტური უმრავლესობისთვის **საქართველოში“.**[239]

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება: **„საუბარი ჯანსაღ საკვებზე კი, რომელსაც შეფარვით** სულიერი საწამლავი ერევა, **არის კარგად გათვლილი** მზაკვრობა**“.**[240]

4.4. ოჯახის ინსტიტუტის დაცვა

ოჯახის ინსტიტუტის დაცვასთან დაკავშირებულ გზავნილებში (279), წინა კვლევების მსგავსად, კვლავ აბორტის საკითხი დომინირებდა, რაც ცოდვად/მკვლელობად განიხილებოდა, რომელზეც პასუხისმგებლობა მხოლოდ ქალს ეკისრებოდა და მისი აკრძალვის მოთხოვნებიც ისმოდა (106).

კეთდებოდა ასევე განცხადებები ოჯახის ინსტიტუტის მოდერნიზაციისგან/გენდერული პროპაგანდისგან დაცვის შესახებ (48); საფრთხეებზე, რომელთაც ფემინიზმი ტრადიციულ ოჯახს მიზანმიმართულად უქმნის (24); პოლიტიკაზე, რომელიც კაცებს მოძალადეებად მიზანმიმართულად წარმოაჩენს (22) და კანონმდებლობის გადახედვის აუცილებლობაზე (20). ოჯახი მხოლოდ ქალის და მამაკაცის ერთობად (20) განიხილებოდა, ქალს კი საკუთარი ადგილის ცოდნა და ქმრის მორჩილება მოეთხოვებოდა (10).

დიაგრამა 21. ოჯახის ინსტიტუტის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები



239 რეზონანსი, 13 ივნისი, 2023, https://bitly.ws/3g9sP

240 სპლიტნიუსი, 14 ივნისი, 2023, https://bitly.ws/3g9sR

ოჯახის, როგორც ქალის და მამაკაცის ერთობის შესახებ გზავნილები, მეტწილად საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, უნგრეთში ამერიკელი ულტრაკონსერვატორების კონფერენციაში მონაწილეობას უკავშირდებოდა, რა დროსაც „ოჯახის დაცვის" რიტორიკა ჰომოფობიურ თემებზე მანიპულირებას ეფუძნებოდა.

> ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერ-მინისტრი: **„ჩვენ ასევე ვიცავთ უმრავლესობის უფლებებს, რომელთათვის ოჯახი ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობაა, დედა ქალია, მამა კი – კაცი[241]"... „როგორ ცდილობენ ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარ მიზნებს მიაღწიონ? სწორედ ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევით და ყალბი თავისუფლების თავს მოხვევით – ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით, ასეთი ე.წ. „სიახლეების" იძულებით, რომელიც ადამიანს საკუთარ ფესვებს, ოჯახს, საკუთარ ტრადიციას, კულტურას, ისტორიას მოწყვეტს.[242]**

კონსერვატიული მოძრაობის წევრები და სასულიერო პირები ფემიციდის უარყოფას ყველაზე აქტიურად ახდენდნენ და ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობას ოჯახების მიზანმიმართული ნგრევის ინსტრუმენტად განიხილავდნენ. გარკვეულ შემთხვევებში კი, ოჯახის შენარჩუნების მიზნით ფემიციდსაც კი ამართლებდნენ:

> გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა: **„ოჯახი, როგორც მტკიცე, მყარი უჯრედი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფემიციდი! ჯერ ერთი, ფემიციდი საერთოდ არ არსებობს როგორც მოვლენა, ეგ ლიბერასტების სველ ფანტაზიებშია მოგონილი, ფემინისტების[243]"...**
>
> დავით ქვლივიძე, სასულიერო პირი: **„...ეს ყველაფერი არის იმიტომ, რომ ოჯახის ტრადიცია, ოჯახს ინსტიტუტი მოირღვეს და მოიშალოს, ოჯახში შემოყონ ცხვირი და ოჯახში დაიწყონ თვითონ მართვა".[244]**

---

241 იმედი, იმედი-ლაივი, 4 მაისი, https://bit.ly/3EyrxST

242 მთავარი არხი, ღამის მთავარი, 5 მაისი, https://bitly.ws/3g9tM

243 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 4 დეკემბერი, https://www.myvideo.ge/v/4210552&rc=1

244 qadageba.ge, 30 ივნისი, https://bitly.ws/3g9tA

WWW.MDFGEORGIA.GE

WWW.MYTHDETECTOR.GE

WWW.MDFGEORGIA.GE

WWW.MYTHDETECTOR.GE